

„თავისუფლება სინდისის პატიმრებს“ A2



დაპირისპირების გამწვავების ახალი საფრთხე A3



ჩიკაგო-თბილისი A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 1 ივლისი, 2006 წელი. №145 (1297) — ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე www.24saati.ge

"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

### არის თუ არა მზად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ცვლილებებისთვის?

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფიზიკის ფაკულტეტს შორის დაწყებულმა მოლაპარაკებებმა უნივერსიტეტის აკადემიური ალტერნატიული საბჭოს გაღიზიანება გამოიწვია. საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ დიდი სამეცნიერო საბჭო სახელისუფლო სტრუქტურებში შეიტყუეს.

A2

## ამბები

### თვითმმართველობის იმიტაცია

ქალაქ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე თავზარაშვილი თანამდებობიდან ოფიციალურად გადადგა. მისი ადგილი რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ყოფილმა მოადგილემ ზვიად ხმალაძემ დაიკავა.

A2

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 1/07 | 2/07 |
|---|---|---|
| თბილისი | 33 | 30 |
| ბათუმი | 28 | 27 |
| სოხუმი | 30 | 27 |
| ქუთაისი | 32 | 29 |
| გორი | 29 | 25 |
| ონი | 26 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 29 |
| ახმეტა | 33 | 28 |
| სამტრედია | 32 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7720 |
| ევრო | 2.2520 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2470 |
| რუბლი | 0.0658 |

ამბები A 2
პოლიტიკა A 3
სამართალი A 4
სპორტი A 5
ტენდერი A 6
ტენდერი A 7
სხვადასხვა A 8

# გირგვლიანის საქმის საფუძველი

თამარ კაციტაძე

*ბოლო დროის ყველაზე გახმაურებული პროცესი - სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმის სასამართლო განხილვა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო. მიზეზი გასაგებია - სხდომაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ის ყოფილი მაღალჩინოსნები დაიკითხნენ, რომლებიც დაზარალებულთა მიერ მკვლელობის შემკვეთებად სახელდებოდნენ. დავით ახალაია, ვასილ სანოძე, ოლეგ მელნიკოვი, გურამ დონაძე და შს მინისტრის მეუღლე თამარ სალაყაია მართლმსაჯულების წინაშე ჩვეულებრივი მოწმეების სტატუსით წარდგნენ.*

პროცესი შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას დაკითხვით დაიწყო.

გაგრძელება A4 გვერდზე



*მთავარი მოწმეები სასამართლოზე გაძლიერებული დაცვით მივიდნენ.*

# პოლიტიკური კრიზისი და საფეხბურთო განმუხტვა

*უკრაინა მინიმუმ ერთი კვირა კვლავ პრემიერ-მინისტრის გარეშე დარჩება. იულია ტიმოშენკოს ტრიუმფის გადადების მიზეზი ვიქტორ იანუკოვიჩია, რომელთანაც „ნარინჯისფერებმა“ ჯერ კიდევ ვერ გამონახეს საერთო ენა.*

სოფო ბუკია

„ნარინჯისფერი რევოლუციის“ ანტიგმირი და 19 მარტის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ვიქტორ იანუკოვიჩი კვლავ განაგრძობს უკრაინის პოლიტიკური ცხოვრების საბოტაჟს. „რეგიონების პარტიის“ ლიდერი, რომელსაც უკრაინის პრემიერ-მინისტრობის ამბიცია აქვს, უკვე მერამდენე დღეა უმაღლესი რადას პრეზიდიუმთან და ტრიბუნასთან მდუმარე პიკეტს აწყობს. ასე მოხდა გუშინაც, როდესაც უკრაინელ დეპუტატებს იულია ტიმოშენკო პრემიერ-მინისტრად, ხოლო პეტრ პოროშენკო სპიკერად უნდა დაესახელებინათ.

„ნარინჯისფერი“ კოალიციის წევრებმა თავიდან იანუკოვიჩის მოქმედებებზე იხალისეს, მაგრამ მალე მობეზრდათ და გუშინ მათ პარლამენტის შენობა დატოვეს. როგორც უკრაინის ყოფილი და მომავალი პრემიერ-მინისტრის იულია ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენლები აცხადებენ, „ნარინჯისფერები“ პარლამენტში სამშაბათამდე არ მივლენ. **„იმედი გვაქვს, მანამდე დავარწმუნებთ „რეგიონების პარტიას“, რომ მათ მიერ გამოცხადებული ბლოკადის გაგრძელებას აზრი არ აქვს,“** - აცხადებენ ტიმოშენკოს პრესცენტრში.

„ნარინჯისფერები“ ორშაბათისთვის მრგვალი მაგიდის გამართვას გეგმავენ, რომელსაც ყველა საპარლამენტო ფრაქციის წარმომადგენელთან ერთად, სავარაუდოდ, პრეზიდენტი იუშენკოც დაესწრება. მრგვალი მაგიდა მოწოდებული იქნება უკრაინის პარლამენტში არსებული წინააღმდეგობები საბოლოოდ გადალახოს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალი ფასები და ახალი გაზსადენები

დიმიტრი ავალიანი

*რუსეთმა და თურქმენეთმა გაზის ფასზე ვერ მოილაპარაკეს. როდესაც „გაზპრომი“ „საბაზრო ფასების“ დამკვიდრებას ცდილობს, იგივე სურვილი თურქმენბაშისაც უჩნდება. შესაბამისად, ჯერ კიდევ უცნობია, როდის და რამდენით გაძვირდება გაზი უკრაინისათვის. ამასობაში, რუსებიც და ევროპელებიც ახალი გაზსადენების მშენებლობას გეგმავენ. რუსები -უკრაინის გვერდის ავლით, ევროპელები - რუსეთის.*

მოლაპარაკებები რუსეთსა და თურქმენეთს შორის რუსეთში მიწოდებული თურქმენული გაზის ახალი ფასის დასადგენად ჩაიშალა. **„თურქმენულმა მხარემ ათასი კუბური მეტრის 100 დოლარად შეძენა შემოგვთავაზა. მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, რის გამოც მოლაპარაკებები შეწყდა,“** - ნათქვამია „გაზპრომის“ ოფიციალურ განცხადებაში. თავის მხრივ, თურქმენეთის მთავრობის განცხადებით, ახალი კონტრაქტის გაუფორმებლობის შემთხვევაში გაზის მიწოდება რუსეთს უკვე სექტემბრიდან შეუწყდება.

რუსეთი დღეისათვის თურქმენეთიდან გაზს 65 დოლარად ყიდულობს, ეს კი რუსეთისათვის ძალზე მომგებიანია, ვინაიდან ამავე გაზს „გაზპრომი“ ევროპის ქვეყნებში გაცილებით ძვირად ყიდის. თურქმენეთიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია რუსეთზე, როგორც ერთადერთ ტრანზიტულ ქვეყანაზე.

თუ თურქმენეთი რუსეთისათვის გაზის მოწოდებას შეწყვეტს, ამით პირველ რიგში უკრაინა დაზარალდება. თურქმენეთთან წარუმატებელი მოლაპარაკების კომენტირებისას, „გაზპრომის“ ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა განაცხადა, რომ **„ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, როგორ მიეწოდება გაზი უკრაინას მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში“**. მისი თქმით, **„თუ საუბარია ფასის გაზრდაზე, ის ნებისმიერ შემთხვევაში ჩამოყალიბდება კომპანია „როსუკრენერგოს“ მიერ, ევროპაში გაზის მიწოდების ფორმულის მოხედვით“**.

დღეისათვის უკრაინას გაზს ექსკლუზიურად რუსულ-შვეიცარიული კომპანია „როსუკრენერგო“ ათას კუბურ მეტრში 95 დოლარად აწვდის. ეს ფასი ძვირადღირებული რუსული გაზისა და იაფფასიანი შუააზიური გაზის შეზავების შედეგად დაფიქსირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამომრჩეველთა სიების დახვეწაზე ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად იმუშავებენ

გიორგი ასანიშვილი

ამომრჩეველთა სიები ყოველთვის იყო და დღემდე რჩება საარჩევნო პროცესის აქილევსის ქუსლად. შესაბამისად, არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევების ლომის წილი სწორედ ამ სიების არასრულყოფილებას უკავშირდება. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ საკმაოდ ბევრ ხარვეზს შეიცავს საარჩევნო ადმინისტრაციების განკარგულებაში ამჟამად არსებული სიებიც, რომლებიც, თავის დროზე, სახელმწიფო-ადმინისტრაციული ორგანოების მიერ არის შედგენილი.

თუ ხელისუფლება მხოლოდ იმ მექანიზმებს გამოიყენებს, რომლებიც საარჩევნო კოდექსით არის გათვალისწინებული, სიების გადამოწმება მხოლოდ საარჩევნო პროცედურების დაწყების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ეს ვადა კი საკმაოდ მცირეა, რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველთა სიების სრულყოფა, პრაქტიკულად, ვერ მოხერხდება.

არსებობს სხვა გამოსავალიც: ამომრჩეველმა თავად გადაამოწმოს, არის თუ არა მისი გვარი შეტანილი საარჩევნო სიაში. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შემოდგომაზე შედარებით „დაბალი რანგის“ არჩევნები (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) ტარდება, სავარაუდოა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა დაბალი იქნება და ამდენად, საარჩევნო სიების დასახვეწად არც ეს გზა გამოდგება.

ხელისუფლების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ადგილობრივი არჩევნების სამართლიანად ჩატარება მათ ინტერესებში შედის. სწორედ ამით ხსნიან ისინი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, რომელიც გუშინ პარლამენტმა პირველი მოსმენით ერთხმად დაამტკიცა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# Don`t Cry For Me, Argentina!




*გერმანია ნახევარფინალშია.*

## დღეს "24 საათში"



# საქართველოს ხელისუფლებას

## ქართული პენ-ცენტრის განცხადება

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა, 2006 წლის 29 ივნისს, სააპელაციო სასამართლოს ეზოში მწერლები, ირაკლი კაკაბაძე და ზურაბ რთველიაშვილი თანამოაზრეებთან ერთად იმ დროს დააკავეს, როდესაც ისინი, დავით კოხრეიძისა და ჟურნალისტ შალვა რამიშვილის პატიმრობასთან დაკავშირებულ საქმეს აპროტესტებდნენ. დაკავებულებს ოცდაათდღიანი პატიმრობა მიესაჯათ.

გაცნობებთ, რომ მწერალ ირაკლი კაკაბაძის ჯანმრთელობა საფრთხეშია და გთხოვთ, გაამახვილოთ ყურადღება, რათა მათზე არ განხორციელდეს თვითნებური, უკანონო ზეწოლა, რითიც ასე გამოირჩევა საქართველოს სამართალდამცავი სისტემა და სასამართლო ხელისუფლება.

**p.s.** განცხადების ასლი ეგზავნება საერთაშორისო პენ-კლუბის სათავო ოფისს.

*ქართული პენ-ცენტრის პრეზიდენტი*
*დათო მაღრაძე*

# სტამბულში შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე კონფერენცია გაიმართა

ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი ბარამიძე ოფიციალური ვიზიტით სტამბულში იმყოფება, სადაც მონაწილეობას იღებს კონფერენციაში „დემოკრატიზაცია და უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში".

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, ვიცე-პრემიერი ორდღიანი ვიზიტით თურქეთში ხუთშაბათს გაემგზავრა. ის კონფერენციაზე თავის მოხსენებაში ისაუბრებს რეგიონალურ თანამშრომლობასა და საქართველოში, როგორც შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეყანაში, მიმდინარე დემოკრატიულ რეფორმებზე.

კონფერენციაზე განიხილება კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და ენერგოუსაფრთხოების საკითხები, რეგიონში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესი.

კონფერენციის პარალელურად სახელმწიფო მინისტრს დაგეგმილი აქვს ორმხრივი შეხვედრები მსოფლიო პატრიარქთან, ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან სამხრეთ კავკასიაში პიტერ სემნებისთან, აშშ-ს ელჩთან თურქეთში როს ვილსონთან, ასევე თურქეთში მცხოვრებ ქართულ დიასპორასთან. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველო-ეუთოს თანამშრომლობა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი მანჯგალაძე საქართველოში ეუთოს მისიის ხელმძღვანელს როი რივს შეხვდა.

მხარეებმა განიხილეს ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებზე ეუთოს ეგიდით ბრიუსელში 14 ივნისს გამართული საერთაშორისო დონორთა კონფერენციის, ასევე 22-23 ივნისს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კარელ დე გუხტის საქართველოში ვიზიტის შედეგები და ამ შედეგების გათვალისწინებით საქართველოს მთავრობისა და ეუთოს მისიის შემდგომი თანამშრომლობის გზები. აღინიშნა, რომ ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაციის მიზნით დაგეგმილი პროექტების პრაქტიკული იმპლემენტაციის თვალსაზრისით აუცილებელია როგორც კონფლიქტის მხარეების, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ერთიანი, მიზანმიმართული მოქმედება, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში. **მედიანიუსი**

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 98.0

*ახალი მედიაპროექტი რადიო „უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ეკა ხოფერიას, სტუდიის სტუმარია დავით ბერძენიშვილი.*

**ეკა ხოფერია:** საინტერესოა თქვენი ხედვა და შეხედულებები აჭარაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით...

**დავით ბერძენიშვილი:** საქართველოს სახელმწიფოს აქვს ვალდებულება და პასუხისმგებლობა თითოეული თავისი მოქალაქის მიმართ. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ბევრი ოჯახის მდგომარეობა გაუარესდა, მაგრამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ხარისხი დევნილების მიმართ არის განუზომლად მეტი, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა მოქალაქეების მიმართ. ჩვენ, ქართულმა საზოგადოებამ, ხელისუფლებამ, პოლიტიკურმა სპექტრმა ვერ მოვახერხეთ დაგვეცვა ის ხალხი იქ, სადაც ცხოვრობდნენ. დღეს მათი საკუთრების უფლება დაცული არ არის. შვიდი ათასი დოლარი საკმარისი თანხა არ არის. მთელ პოლიტიკურ სპექტრს უკეთ უნდა შეგვეფასებინა ის პასუხისმგებლობა, რაც საქართველოს სახელით მოლაპარაკე ადამიანებს გვაქვს, მაშინ უკეთ გავიაზრებდით იმას, რომ ღირსეული დაბრუნების მოლოდინში კი არ უნდა ვაცხოვროთ ეს ხალხი მრავალი წლის განმავლობაში უღირსად, არამედ ღირსეული ცხოვრების პირობები უნდა შეუქმნათ დაბრუნებამდე. საკუთრების უფლებაშელახული მოქალქეების მიმართ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მეტია, ვიდრე სხვა მოქალაქეების მიმართ. აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა უფრო მეტ თანხაზე ყოფილიყო საუბარი, ვიდრე შვიდი ათასი დოლარია. პრეზიდენტმა სააკაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ რესპუბლიკური საავადმყოფოდან გამოსახლებულ დევნილებს, სადაც 200-ზე მეტი დევნილია, 10 ათასს გადაუიხდიან, რადგან თბილისში ბინები გაძვირდა. მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმშიც არანაკლებად გაძვირდა ბინები. შეეძლოთ იგივე ოდენობის თანხა ბათუმში მცხოვრები დევნილებისთვისაც მიეცათ. დევნილთა ნაწილი, რომლებიც ენგურამდე მივიდნენ და უკანვე დაბრუნდნენ... არ შეიძლება პასუხისმგებლობა მათ დააკისროს სახელმწიფომ. გასაგები იყო, რომ ისინი იყვნენ უკიდურესად გაჭირვებულ ვითარებაში. გასაგები იყო, რომ ბაგაფშიც არ შეუშვებდა და ფაქტობრივად ორცეცხლსშუა იყვნენ. არ შეიძლება საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირებმა მათ მოღალატეები უწოდონ. კიდევ უფრო გაუგებარია ის ვითარება, რაც სასტუმრო „მესხეთთან" მიმართებაში ხდება. ამ ხალხს არც შვიდი ათასი არ აქვს ხელთ. მე ვიცი რამდენიმე ოჯახი, რომლებიც „მესხეთში" ცხოვრობდნენ, სეზონზე ვიწროვდებოდნენ და აქირევებდნენ ფართს. ამით ისინი შემოსავლის წყაროს იჩენდნენ.

**მსმენელი:** რაც თქვა ბაგაფშმა, მთლიანად ვეთანხმები. ბოლოს და ბოლოს, ხიზილალას ხომ არ აჭმევენ ჯარისკაცებს, ან ბირთვულ იარაღს ხომ არ ვიძენთ? 415 მილიონი ლარია და კიდევ 77 მილიონი დაამატეს. თუკი მაინც მშვიდობიანი გზით ვაპირებთ შესვლას, რაღა საჭიროა ამდენი ფული თავდაცვისთვის? ეს ერთი საკითხი და მეორე, დღეს პარლამენტში თქვეს, რომ სიების დაზუსტებას უნდა 3 მილიონი ლარი. რა გახდა ეს სიები და რითი ვერ დაადგინეს? ეს ფული ინვალიდებს და პენსიონერებს მისცენ, უკეთესი იქნება. რაც შეეხება დევნილებს, მე კატეგორიულად ვგმობ ბურჯანაძისა და ნოღაიდელის გამოსვლას.

**დავით ბერძენიშვილი:** დევნილებზე სახელმწიფომ გაცილებით მეტი უნდა იზრუნოს, ვიდრე ზრუნავდა და ზრუნავს. რაც შეეხება თავდაცვის ბიუჯეტს, მართალია, ეს არ უნდა მოხდეს თავდაცვის ხარჯზე. „რესპუბლიკელები" ვართ ძალიან ლოიალურები და არ ვემხრობით აფხაზეთის ძალის გამოყენებით დაბრუნებას, მაგრამ არის ერთი საკითხიც. სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პაციფისტი. ჩვენ ჯარი გვჭირდება არა იმისთვის, რომ აფხაზეთში სრულმაშტაბიანი ომი ვაწარმოოთ, არამედ ჯარი გვჭირდება, ისევე როგორც გვჭირდება დემოკრატია, ეკონომიკა და ა.შ.

# „თავისუფლება სინდისის პატიმრებს"

## პოეზიის 5 წუთი საპყრობილესთან

ნათია მსხილაძე

*არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის" მომხრეებმა, ამ ორგანიზაციის წევრების დაკავების გამო, პროტესტის გამოხატვის ორიგინალურ ხერხს მიმართეს. შემოქმედებითი საზოგადოების წარმომადგენლებმა გათავისუფლების მოთხოვნით ორთაჭალაში, N7 საპყრობილის წინ პოეზიის რამდენიმეწუთიანი საღამო მოაწყვეს. თანასწორობის ინსტიტუტის წევრებთან ერთად ამ უჩვეულო აქციაში ახალგაზრდა მწერლები, პოეტები და რეგიონიდან ჩამოსული ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ.*



შეგახსენებთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრები ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი პოლიციამ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში წესრიგის დარღვევის ბრალდებით დააკავა და სასამართლო პროცესის გარეშე ოცდაათდღიანი პატიმრობა შეუფარდეს. დაკავებულები ტელეკომპანია „202"-ის დამფუძნებლების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის, სასამართლო პროცესის პარალელურად, შენობის წინ მეგაფონით მოსამართლეებს სასამართლო პროცესის ობიექტურად ჩატარებისკენ მოუწოდებდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ თანასწორობის ინსტიტუტის წევრი ირაკლი კაკაბაძე ჯანმრთელობის გაუარესების გამო, დღეს დილით სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N2 საპყრობილიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს. ირაკლი კაკაბაძე დიაბეტით არის დაავადებული, რის გამოც ინსულინით მკურნალობის მკაცრ რეჟიმს და ექიმების მეთვალყურეობას საჭიროებს.

როგორც მისი მკურნალი ექიმი ირინა თოფურია განმარტავს, პაციენტის მდგომარეობა რთულია და მას პირველ ეტაპზე სამდღიანი მკურნალობის კურსი ესაჭიროება. ირაკლი კაკაბაძეს კლინიკაში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები იცავენ.

შემოქმედებითი საზოგადოების წარმომადგენლებმა, დაკავებულების მხარდასაჭერად საკმაოდ ორიგინალური აქცია გამართეს. № 7 საპყრობილის წინ მისულებმა აქციას პოეზიის სახე მისცეს და ერთ-ერთი დაკავებული პოეტის, ზურაბ რთველიაშვილის ლექსები წაიკითხეს. **„დღევანდელი ხელისუფლება და სასამართლო სისტემა შემოქმედებითი საზოგადოების მიმართ აგრესიით გამოირჩევა. სანდრო გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთები გარეთ არიან და სასამართლო მწერლებს, პოეტებს და საზოგადოების ღირსეულ წევრებს აპატიმრებს,"** - აღნიშნა პოეტმა რატი ამაღლობელმა.

მოგვიანებით, მშვიდობიანმა აქციამ პარლამენტის წინ გადაინაცვლა. „თანასწორობის ინსტიტუტის" მხარდამჭერებმა ლექსების კითხვა სტვენით ჩაანაცვლეს. ლოზუნგი კი უცვლელი იყო - „თავისუფლება სინდისის პატიმრებს".

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, აქციას პერმანენტული ხასიათი მიეცემა. ამავდროულად, ისინი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ხალხმრავალი აქციისათვის ემზადებიან.

# არის თუ არა მზად უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ცვლილებებისთვის?

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და ფიზიკის ფაკულტეტს შორის დაწყებულმა მოლაპარაკებებმა უნივერსიტეტის აკადემიური ალტერნატიული საბჭოს გაღიზიანება გამოიწვია. საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ დიდი სამეცნიერო საბჭო სახელისუფლო სტრუქტურებში შეიტყუეს.*

ეკა ჭანაშია

ალტერნატიული საბჭოს წევრმა გურამ შარაძემ დიდი სამეცნიერო საბჭო მერკანტილურ ზრახვებში დაადანაშაულა. მისი თქმით, დიდი საბჭოს წევრები მხოლოდ საკუთარი თანამდებობების გადარჩენას ცდილობენ.

**„მე მომხრე ვარ დიდი საბჭოს რეანიმაციის, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ დიდი საბჭოს რეაბილიტაციის, ამ საბჭომ აღაზევა საბავშვო ბაღების არქიტექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე და აირჩია უნივერსიტეტის რექტორად"**, - განაცხადა შარაძემ.

როგორც ცნობილია, მოლაპარაკებებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან აბუნტებული პროფესორ-მასწავლებლების წარმომადგენლები ჯემალ მეზონია და თენგიზ სანაძე აწარმოებენ. ჯემალ მეზონიამ არ გამორიცხა, რომ ალტერნატიული საბჭოს გაღიზიანება ამ მოლაპარაკებების დაწყებამ გამოიწვია: **„მნიშვნელობა არ აქვს, ვინ რას იტყვის. ჩვენ ვერავის გამონათქვამებს ყურადღებას ვერ მივაქცევთ. გვაქვს ჩვენი გეგმა და ამ გეგმის მიხედვით ვმოქმედებთ."**

დღეს უნივერსიტეტში უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართება. ამ სხდომაზე მიღებული დადგენილება, ისევე როგორც მომავალი მოქმედების გეგმა, დიდწილად დამოკიდებულია ადმინისტრაციის პოზიციაზე. ჯემალ მეზონიამ „24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ თუ ადმინისტრაცია მზად იქნება დათმობებისთვის და ცვლილებებისთვის, დიალოგი გაგრძელდება.

**- ბატონო ჯემალ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ მზად არის ცვლილებებისთვის, თუ ამის საჭიროება იქნება...**

- ეს კი არ უნდა განაცხადოს, უნდა დაადასტუროს საკუთარი ქმედებებით. ჩვენ მოვითხოვთ გაჩერდეს კონკურსები და ნულიდან დავიწყოთ მუშაობა უნივერსიტეტში დაგეგმილ ცვლილებებზე. ანუ თუ არ შესრულდება საწყისი პირობა, რომ კონკურსი გაჩერდეს, დიალოგი ვერ გაგრძელდება. ჩვენ ამის შესახებ განვაცხადეთ ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის დროსაც. ჩვენ გვაქვს გეგმები და პროექტებიც, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ცვლილებები, რომელიც უნივერსიტეტისთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ თუ კონკურსები არ გაჩერდება...

**- თქვენ უარს იტყვით თანამშრომლობაზე, შესაბამისად არც პროექტებს წარმოადგენთ, რომელიც უნივერსიტეტისთვის სასარგებლოა? საბოლოოდ კი გამოვა, რომ უნივერსიტეტი დაზარალდება...**

- უნივერსიტეტი არ დაზარალდება, ვინაიდან ჩვენ ვაიძულებთ ადმინისტრაციას, მიიღოს ჩვენი პირობები. იძულების კანონიერი გზების მონახვას კი, გარწმუნებთ, შევძლებთ.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ოპტიმისტურად არის განწყობილი. უნივერსიტეტის პრორექტორმა ვანო ბოკერიამ განაცხადა, რომ შეიქმნა ორი მუშა ჯგუფი უნივერსიტეტის ადმინისტაციისა და ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან. ეს ჯგუფები ცალ-ცალკე მუშაობენ და ერთმანეთთან სამუშაო შეხვედრებზე, რომელიც მომავალი კვირიდან დაიწყება, ცვლილების თითოეულ პუნქტს ცალ-ცალკე განიხილავენ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მუშა ჯგუფში ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, რამდენიმე პროფესორი და პრორექტორი ვანო ბოკერია შედიან.

**- ბატონო ვანო, გია ხუბუას ბრძანების საფუძველზე, მართლა გაათავისუფლეთ უნივერსიტეტიდან ყველა თანამშრომელი?**

- ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა. კონკურსის შემდეგ უქმდება ის აკადემიური თანამდებობები, რომელიც აქამდე იყო. აქედან გამომდინარე, ყველა თანამშრომელი, კონკურსი გაიარა თუ არა, გათავისუფლებულია თანამდებობიდან. კონკურსგავლილებს გაუფორმდებათ ახალი ხელშეკრულებები. ადრინდელი შრომითი კოდექსის მიხედვით, ადამიანები სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ერთი თვით ადრე უნდა გაგვეფრთხილებინა. ახალი კოდექსი ამას არ მოითხოვს, მაგრამ ჩვენ ეს პროცედურა მაინც დავიცავით.

**- რაც შეეხება სამუშაო ჯგუფებს - ისინი ფაკულტეტის სისტემური შეცვლის სტრატეგიაზე იმუშავებენ?**

- ჯგუფების შეხვედრა სამუშაო პროცესი იქნება, რომლითაც, ფიზიკის ფაკულტეტზე არსებული ვითარების ანალიზის შემდეგ, სისტემური ცვლილებები უნდა მომზადდეს. შემდეგ ასევე დეტალურად იქნება შესწავლილი სხვა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების პრობლემები და ასეთივე ფორმატით მოხდება ცვლილებები. ჩვენ მზად ვართ, შევცვალოთ ფაკულტეტის უკვე დამტკიცებული გეგმა, სტრატეგია, თუკი მუშაობის პროცესში გამოვლინდება ამის საჭიროება. უბრალოდ, საჭიროა, რომ იმ ადამიანებმა, ვინც ღირებულნი არიან უნივერსიტეტისთვის, კონკრეტულ საკითხებზე კონკრეტული არგუმენტები და პროგრამები წარმოადგინონ.

# თვითმმართველობის იმიტაცია

## გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობის შემსრულებელი

*ქალაქ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კოტე თავზარაშვილი თანამდებობიდან ოფიციალურად გადადგა. მისი ადგილი რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის ყოფილმა მოადგილემ ზვიად ხმალაძემ დაიკავა. კოტე თავზარაშვილი ერთი კვირის წინ აცხადებდა, რომ ის შვებულებაში გასვლას გეგმავდა, საკუთარ მოადგილედ კი ზვიად ხმალაძეს ნიშნავდა, რომელიც გამგებლის მოვალეობას შეასრულებდა.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

„24 საათთან" საუბრისას, თავზარაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ შვებულებიდან შესაძლო იყო არ დაბრუნებულიყო საკუთარ კაბინეტში , რადგან მომავალი თვითმმართველობის არჩევნებში აპირებდა კენჭისყრას. თუმცა, შვებულებაში გასვლის ნაცვლად, იგი თანამდებობიდან საერთოდ წავიდა. წასვლამდე თავზარაშვილი პროკურატურაში იყო დაბარებული, როგორც თავად ამბობდა, გამგეობის დიკუმენტაციის შემოწმებასთან დაკავშირებით.

წასვლამდე კოტე თავზარაშვილმა მოადგილედ ზვიად ხმალაძე დანიშნა, თანაც სწორედ იმ ადგილზე, რომელზეც თვითონ იყო დანიშნული. გორში არჩეული გამგებელის პაატა ჩხეიძის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მისი მოვალეობის შესრულებას პირველი მოადგილე კოტე თავზარაშვილი შეუდგა.

ბოლო საკადრო ცვლილების საკითხზე „რესპუბლიკური პარტიის" გორის კომიტეტმა პრესკონფერენცია გამართა. **„გამგებლის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ შეიქმნა თანამდებობრივი ვაკუუმი, რითაც კარგად ისარგებლა დღევანდელმა ხელისუფლებამ და კანონით მანიპულირების გზით, აღნიშნულ თანამდებობაზე მოიყვანა მისთვის სასურველი პირი, რითაც მყარი დასაყრდენი შეიქმნა მომავალი არჩევნებისთვის. აღნიშნული ფაქტი კიდევ უფრო გააღრმავებს ადგილობრივი თვითმმართველობის კრიზისს და ხელს შეუშლის რეალურად თვითმმართველი ორგანოების ჩამოყალიბებას,"** - განაცხადა რესპუბლიკური პარტიის გორის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელმა დავით რაზმაძემ.

**„დარღვეულია თვითმმართველობის ძირითადი პრინციპი, - ავირჩიოთ ჩვენს ტერიტორიულ ერთეულში ჩვენი ბიუჯეტის და ჩვენი ქალაქის მმართველი. ხელისუფლება ნუ იტყუება და გვითხრას, რომ საქართველოში თვითმმართველობა არ არსებობს და არ იარსებებს ახალი ორგანული კანონით,"**- აღნიშნა რესპუბლიკური პარტიის წევრმა შალვა ტლაშაძემ.

„რესპუბლიკელების" თქმით, რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაზე უარის თქმის უფლება ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს, როცა არჩევნებამდე ექვსი თვეა დარჩენილი. **„ჩვენ რეალურად არ ვიცით, რამდენი თვეა დარჩენილი არჩევნებამდე, რადგან არჩევნები ჯერ დანიშნული არ არის,"** - ამბობენ რესპუბლიკელები.

თავად ზვიად ხმალაძე კი მიიჩნევს, რომ მისი დანიშვნის დროს კანონდარღვევებს ადგილი არ ჰქონია. **„მე არ დავინიშნულვარ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად, მე გამგებლის მოადგილედ დავინიშნე ფინანსურ საკითხებში, ხოლო იმის გამო, რომ კოტე თავზარაშვილი წავიდა, მე მიწევს გამგებლის მოვალეობის შესრულება,"**- აცხადებს ზვიად ხმალაძე.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გორის ოფისის ხელმძღვანელი ქეთევან ბებიაშვილი მიიჩნევს, რომ გორის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ვაკუუმი არსებობს. **„პაატა ჩხეიძის წასვლის შემდეგ აუცილებელი იყო ორ თვეში ჩატარებულიყო გამგებლის რიგგარეშე არჩევნები, ეს პროცედურა ფაქტობრივად დაირღვა და ასე „შერჩა" კოტე თავზარაშვილი მოვალეობის შესრულებას, რაც ფაქტობრივად იყო არარსებული თანამდებობა. ზვიად ხმალაძის შემთხვევაში, არანაირი იურიდიული საფუძველი მის თანამდებობას არ აქვს. ისეთ ხელმოწერას, რომელიც დღეის მდგომარეობით არსებობს - „გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის მოვალეობის შემსრულებელი", არ იცნობს საქართველოს კანონმდებლობა. სამწუხაროდ, საქართველოს ყველა ქალაქში, სადაც არჩეული გამგებელი გადადგა, ანალოგიური მდგომარეობაა,"**- ამბობს ქეთევან ბებიაშვილი.

## მოკლედ

### ნავთობის ახალი ინდექსი-ჯეიჰანი

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიიღო გადაწყვეტილება, ჯეიჰანის ნავსადგურში სანავთობო ბირჟის შექმნის შესახებ.

თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ხილმი გიულერის განცხადებით, ნავსადგურში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ნავთობის, ბუნებრივი აირისა და თხევადი გაზის მიწოდება მოხდება. შედეგად, გაჩნდება ნავთობის ახალი ინდექსი - ჯეიჰანი.

როგორც მინისტრმა განაცხადა, მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.

ჯეიჰანში შეერწყმებიან ნავთობსადენები: კერკუკ-იუმურტალიკი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და სამსუნ-ჯეიჰანი.

„შედეგად, მოცემული ნავსადგური გადაიქცევა მსოფლიო ეკონომიკის ცენტრად, სადაც სახეზე გვექნება ენერგორესურსის სამივე სახეობა,"- აღნიშნავს მინისტრი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ამერიკა ენერგიის ალტერნატიული წყაროების მიღებაზე ზრუნავს

ამერიკულმა კომპანია „Petro-Sun Drilling Inc."-მა, რომელიც ნავთობისა და გაზის მომპოვებელ კომპანიებს სერვისულ მომსახურებას სთავაზობს, შვილობილი საწარმოს „Algae BioFuels Inc."-ის შექმნის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. ახალ საწარმოში ამერიკული კომპანიის წილი 100 პროცენტი იქნება.

შვილობილი კომპანია ენერგიის ალტერნატიული წყაროს კვლევასა და დამუშავებაზე იმუშავებს.

საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება წყალმცენარეების მოყვანა და მათგან ბიოსაწვავის მიღება.

„Algae BioFuels"-ის ქარხნები და კვლევის კომპლექსები ამერიკის შტატ არიზონაში და ავსტრალიაში განლაგდება.

კომპანია „ PetroSun Drilling Inc."-ის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ „Algae BioFuels"-ის ჩამოყალიბება „შორს მიმავალი ნაბიჯია", ვინაიდან ენერგიის ალტერნატიული წყაროს წარმოება ხელს შეუწყობს, პლანეტაზე ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნებას მომავალი თაობისათვის. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ჩინეთში ენერგომოხმარების წილი შემცირებულია

ჩინეთის რეფორმებისა და განვითარების სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, ჩინეთი, ბოლო წლების განმავლობაში, ენერგომოხმარებას ამცირებს.

ენერგომოხმარების შემცირებას, უპირველესად, ხელი შეუწყო ქვეყანაში ჩატარებულმა აქტიურმა კამპანიამ, ელექტროენერგიის ეკონომიურად ხარჯვასთან დაკავშირებით.

შეგახსენებთ, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩინეთში ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა. ჩინეთის ხელისუფლება ამუშავებს პროგრამას ნავთობსა და ნახშირზე ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულების შემცირების შესახებ, ენერგიის ალტერნატიული წყაროს გაზრდის ხარჯზე.

კერძოდ, 2020 წლისთვის ენერგიის ალტერნატიულმა წყარომ ენერგიის საერთო მოხმარებაში უნდა შეადგინოს 13%, ნაცვლად დღევანდელი 7 პროცენტისა.

ცნობისათვის, ჩინეთი არის მსოფლიოში მეორე ადგილზე ნავთობის მოხმარების მხრივ და მოხმარების დაახლოებით 40% უზრუნველყოფილი იქნება იმპორტის ხარჯზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პარიზის კონფერენცია საქართველოს თემაზე

გუშინ პარიზში, სენატში გასტონ მონერვილის დარბაზში საფრანგეთის სენატის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა კომისიის ვიცე-პრეზიდენტის, ანდრე ბოიერის, პატრონაჟით საქართველოს პრემიერ-მინისტრის დიპლომატიურმა მრჩეველმა, გოჩა ლორთქიფანძემ კონფერენცია ჩაატარა.

კონფერენციის თემა იყო „საქართველო, კარგი მეზობლობის პოლიტიკის სტრატეგია". კონფერენციას პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის ასპირანტი თორნიკე ფორდაძე უძღვებოდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კონგრესი ამერიკული მედიისაგან დახმარებას ითხოვს

აშშ-ის კონგრესმა გააფრთხილა აშშ-ის მედია ტერორიზმთან ბრძოლაში სახელმწიფოსთან თანამშრომლობის შესახებ და მოუწოდა დაზვერვის მუშაობის შესახებ საიდუმლო მასალები გაამხილონ.

შესაბამისი რეზოლუცია აშშ-ის წარმომადგენლობითმა პალატამ გუშინდელ სხდომაზე მიიღო.

კონგრესი იმედოვნებს, რომ აშშ-ის მედია საიდუმლო პროგრამების გამხელის გარეშე, თავისი საქმიანობით დაეხმარება ამერიკის მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებაში, ხოლო ხელისუფლებას გამოავლინოს, აღკვეთოს და დააკავოს ტერორისტები.

რეზოლუციაში საუბარია, რომ ივნისის ბოლოს ზოგიერთმა მედიასაშუალებამ შეგნებულად გამოაქვეყნა საიდუმლო პროგრამები, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება კანონის სრული დაცვით ახორციელებდა ტერორიზმის დაფინანსების წყაროების გამოსავლენად.

მედიაში გავრცელდა დაზვერვითი ინფორმაციის მოპოვების კონკრეტული მეთოდები, კონგრესმა მხარი დაუჭირა დაზვერვისა და სამართალდაცვით პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს ტერორისტებისა და მათი დაფინანსების ქსელების გამოვლენას. **ჯი-ეიჩ-ენი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ახალი ფასები და ახალი გაზსადენები

პირველი გვერდიდან

თუმცა, თურქმენული გაზის, როგორც „ნაზავის“ ერთ-ერთი სერიოზული კომპონენტის, გაძვირების შემთხვევაში, ეს ფასი აიწევს.

„როსუკრენერგოს“ ხელმძღვანელს იგორ ვორონინს იმედი აქვს, რომ მოხერხდება თურქმენეთთან კონტრაქტის გაფორმება გაზის მოწოდებაზე ათას კუბურ მეტრში 60-65 დოლარის ფარგლებში. ამ შემთხვევაში უკრაინისათვის ფასი არ გაიზრდება.



იმ შემთხვევაში, თუ უკრაინას თურქმენეთისაგან გაზის მიღება თურქმენბაშის პირობებით და კვლავ „როსუკრენერგოს“ შუამავლობით მოუწია, შესაძლოა ფასი 180 დოლარამდე ავარდეს. ექსპერტთა შეფასებით კი, გაზის ფასი, რომელიც ათას კუბურ მეტრში 100 დოლარს აღემატება, უკრაინის ეკონომიკისათვის კრიტიკული ნიშნულია. გარდა ამისა, სადავოდ რჩება თავად თურქმენეთის უნარი უზრუნველყოს გაზის საჭირო მოცულობით მიწოდება როგორც „გაზპრომისათვის“, ასევე უკრაინისათვის.

„გაზპრომი“ და იტალიური კომპანია „ენი“ უახლოეს მომავალში ხელს მოაწერენ შეთანხმებას თურქეთში სამსუნი-ჯეიჰანის ახალი გაზსადენის მშენებლობის თაობაზე. ამის შესახებ გუშინ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა. ეს საკითხი მან იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრთან მასიმო დალემასთან შეხვედრაზე განიხილა. მინისტრის თქმით, ამ გაზსადენით გაზი შესაძლოა ისრაელს, საბერძნეთს და იტალიას მიეწოდოს.

ამგვარად, რუსეთის პრეზიდენტის მიერ დეკლარირებული გეგმის განხორციელებას ევროპისათვის გაზის ახალი სატრანზიტო გზებით - ბალტიის ზღვითა და სამხრეთიდან, მიწოდების თაობაზე, საფუძველი ეყრება. ყველაზე მეტად მისი რეალიზაციით უკრაინა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა სატრანზიტო ქვეყნები დაზარალდებიან, რომლებიც ნაკლებად დაცულნი იქნებიან რუსეთის მხრიდან პოლიტიკური ნიშნით გაზის ფასებით მანიპულირებისაგან.

რამდენიმე დღის წინ კი ბრიუსელში ევროკომისარმა ენერგეტიკის საკითხებში ანდრის პიბალგსმა და თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის ენერგეტიკის მინისტრებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტებს „ნაბუკოს“ პროექტის განხორციელების თაობაზე. იგეგმება, რომ ახალი გაზსადენი, რომლის მშენებლობაშიც ევროკავშირი 5,8 მილიარდი დოლარის ინვესტირებას აპირებს, საქართველოს დასავლეთი საზღვრიდან თურქეთის გავლით, ევროპას თურქმენეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის გაზს მიაწვდის. ანუ, ახალი გაზსადენი ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენს, მომავალში კი ტრანსკასპიურ გაზსადენს შეუერთდება, რომლის მშენებლობის საკითხსაც ამჟამად ევროკავშირი განიხილავს.

„ნაბუკოს“ პროექტი ევროპისათვის რუსული გაზის რეალური ალტერნატივა გახდება. მისი მშენებლობის დაწყება 2008 წელს იგეგმება, ამოქმედება - 2012 წელს.

# პოლიტიკური კრიზისი და საფეხბურთო განმუხტვა

პირველი გვერდიდან

„ნაშა უკრაინას“ წარმომადგენელმა რომან ბესმერტნიმ აღნიშნა, რომ საპარლამენტო კოალიცია („ნაშა უკრაინა“, „იულია ტიმოშენკოს ბლოკი“, „სოციალისტური პარტია“) მრგვალი მაგიდის მონაწილეებისგან იმთავითვე მკაცრად მოითხოვს ულტიმატუმების ენაზე უარის თქმას. **„თუ ვინმე მოისურვებს ულტიმატუმების წამოყენებას და საკითხების ბლოკირებას, უნდა გავაფრთხილოთ, რომ შესაძლოა მათ წინააღმდეგ სასამართლო პროცედურა დაიწყოს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს,“** - აცხადებს ბერსმერტნი.

თავად უკრაინის პრეზიდენტს მრგვალ მაგიდაში მონაწილეობა ჯერჯერობით არ დაუდასტურებია, თუმცა დიალოგის გამართვის იდეას დიდი ინტერესით გამოეხმაურა.

იულია ტიმოშენკო დარწმუნებულია, რომ **„მრგვალი მაგიდა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რა სულელურად იქცევა იანუკოვიჩი“.**

**„იანუკოვიჩი უბრალოდ სტრესშია, რადგან მან ვერ მიიღო საზოგადოების სათანადო მხარდაჭერა და ვერ გამოამჟღავნა პოლიტიკური მოლაპარაკებების ოსტატურად წარმართვის ნიჭი,“** - მიიჩნევს ტიმოშენკო.

თავად „რეგიონების პარტია“ და მისი ლიდერი „ნარინჯისფერთა“ „მრგვალ“ ინიციატივას ფრთხილად ხვდება. **„ჩვენ მზად ვართ მონაწილეობა მივიღოთ მორიგ მრგვალ მაგიდაში, მაგრამ კარგად გვესმის, რომ ეს უშედეგო მოლაპარაკება იქნება. ჩვენმა ოპონენტებმა ჯერ თავადაც არ იციან რა უნდათ,“** - აცხადებს „რეგიონების პარტიის“ ფრაქციის წევრი ტარას ჩორნოვილი.

„ნარინჯისფერები“ აცხადებენ, რომ თუ „რეგიონების პარტია“ სამშაბათამდე „გონს არ მოეგება“, პრემიერ-მინისტრსა და სპიკერს მათი დახმარების გარეშეც დაამტკიცებენ. **„ჩვენ სამი გეგმა გვაქვს, ყველა მათგანი საიდუმლოა“,** - აცხადებს ტიმოშენკოს ბლოკის წარმომადგენელი ნიკოლაი ტომენკო.

ამ პოლიტიკური აურზაურის გამო ეჭვის ქვეშ დადგა იუშენკოს გადაფრენა ჰამბურგში. გერმანიაში განვითარებული მოვლენები კი უკრაინელებისთვის დღეს ნებისმიერ პოლიტიკურ ბატალიაზე მნიშვნელოვანია. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში გასულ უკრაინის ნაკრებს საკუთარი პრეზიდენტის მხარდაჭერა სჭირდება. იტალია-უკრაინის მატჩზე დასწრება ვიქტორ იუშენკოს სამმა ადამიანმა წერილობით სთხოვა. იუშენკომ უკრაინის ნაკრების მწვრთნელის ოლეგ ბლოხინის, ანდრეი შევჩენკოს და უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელის გრიგორი სურკისის წერილები მიიღო. ისინი მიიჩნევენ, რომ უკრაინის პრეზიდენტის დასწრება მატჩზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს „ბიჭების“ საბრძოლო სულისკვეთებას ერთიორად აამაღლებს“. **„თქვენი დასწრების შემთხვევაში ჩვენ უფრო მეტი შანსი გვექნება ნახევარფინალში ვითამაშოთ,“** - ასეთი სიტყვები მისწერეს იუშენკოს.

თავდაპირველად პრეზიდენტის ადმინისტრაციაში აცხადებდნენ, რომ იუშენკო მუნდიალზე აუცილებლად გაემგზავრება. გუშინ კი ადმინისტრაციამ ნაკლებადოპტიმისტური ინფორმაცია გაავრცელა. **„შესაძლოა, პრეზიდენტი ვერ დაესწროს უკრაინა-იტალიის მატჩს, რადგან უკრაინის პარლამენტის მუშაობაში გარკვეული პრობლემებია შექმნილი“.**

გუშინ საღამოსთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი გაემგზავრებოდა თუ არა იუშენკო ჰამბურგში.

# ამომრჩეველთა სიების დახვეწაზე ხელისუფლება და ოპოზიცია ერთად იმუშავებენ

პირველი გვერდიდან

დეპუტატ პავლე კუბლაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებისა და სრულყოფის მიზნით, შეიქმნა საუბნო საარჩევნო ჯგუფები, რომლებშიც „ნაციონალებთან“ ერთად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც შევლენ. ეს ჯგუფები მუშაობას შეუდგებიან არა არჩევნების დღის განსაზღვრის შემდეგ, არამედ გაცილებით ადრე, - ივლისის ბოლოს. სამუშაო ჯგუფების ერთადერთი ფუნქცია თითოეული ამომრჩევლის მონაცემების გადამოწმება და შესაბამისად, სიების დაზუსტება იქნება.

თუმცა, ზოგიერთი დეპუტატი ეჭვობს, რომ ეს საკანონმდებლო ინიციატივა სათანადო ეფექტს ვერ გამოიღებს. ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარების“ თავმჯდომარის მოადგილის ვალერი გელბახიანის განცხადებით, არ არსებობს ქვეყნიდან გასულების, გარდაცვლილების, 18 წელს მიღწეული მოქალაქეების ზუსტი აღრიცხვა და ამდენად, საარჩევნო სიები მაქსიმალურად ზუსტი ვერ იქნება.

**„არადა, თუ სიების დახვეწა ვერ მოხერხდება, გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც არჩევნების ლეგიტიმურობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებენ“,** - აფრთხილებს სახელისუფლებო ფრაქციის წევრებს ვალერი გელბახიანი.

საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მეორე და მესამე მოსმენით პარლამენტი რიგგარეშე სესიაზე განიხილავს, რომელიც 13-14 და 25 ივლისს ჩატარდება.

# დაპირისპირების გამწვავების ახალი საფრთხე

**ისრაელ-პალესტინის გამწვავებული ურთიერთობები - ისრაელის საავიაციო იერიშის შედეგი**

საავიაციო დარტყმების შემდეგ ისრაელმა დროებით შეაჩერა სამხედრო ოპერაციები ღაზას სექტორში, რადგან კონფლიქტში შუამავლის სახით ეგვიპტეც ჩაერთო, რომელიც ისრაელს „ჰამას“-თან მოლაპარაკებების წარმოებას დაპირდა, რის შემდეგაც პალესტინელებმა გატაცებული ისრაელელი ჯარისკაცი გილად შალიდი უნდა გაათავისუფლონ. მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა, რადგან შუამავლის როლში მყოფი ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი ჯერ ვერ ახერხებს ორივე მხარისთვის მისაღები გადაწყვეტილების მიღებას. მუბარაქის განცხადებით, „ჰამას“-ი უკვე დათანხმდა პალესტინელი ბოევიკების მიერ გატაცებული ისრაელელი ჯარისკაცის გარკვეული პირობების სანაცვლოდ გათავისუფლებას, მაგრამ ისრაელის მხარე ჯერჯერობით თავს იკავებს „ჰამას“-თან მოლაპარაკებაზე თუნდაც შუამავლის მეშვეობით.



ოფიციალური თელ-ავივი გატაცებული ჯარისკაცის გილად შალიდის უპირობოდ გათავისუფლებას მოითხოვს. უპირობოდ გათავისუფლებას კი პალესტინური მხარე გამორიცხავს. როგორც პალესტინის ავტონომიის პრემიერ-მინისტრმა ისმაილ ხანიამ აღნიშნა მოსახლეობისადმი მიმართვაში - **„პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ მოქმედებს ძალა, რომელსაც მისი შეურაცხყოფა და ავტონომიის ხელისუფლების გაუქმება სურს. ჩვენ დათმობებზე წასვლას არ ვაპირებთ. ერთი ჯარისკაცის გატაცებით პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ აგრესია გაუმართლებელია. საკმაოდ დაძაბული მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ ეგვიპტის პრეზიდენტის დახმარებით, მაგრამ ისრაელის ინტერვენცია ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს“.**

კაპრალ გილად შალიდის გათავისუფლებამდე კი ისრაელის მხარე მძევლად იტოვებს საპასუხოდ გატაცებული პალესტინის მინისტრთა კაბინეტის 8 წევრსა და 20-ზე მეტ დეპუტატს.

ისედაც დაძაბული ურთიერთობები კი კიდევ უფრო გამწვავდა მოვლენების შემდეგი სცენარით განვითარებით - ისრაელის მიერ პალესტინელი მაღალჩინოსნების დაკავებას კიდევ უფრო მკაცრი ღონისძიებები მოჰყვა, კერძოდ, ისრაელის არმიამ საავიაციო იერიშიც მიიტანა ავტონომიის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც სერიოზულად დაზიანდა პალესტინის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა.

გავრცელებული ცნობებით, იერიშს ერთი პალესტინელი ბოევიკიც ემსხვერპლა. პალესტინელთა მტკიცებით, რაკეტები „ფათჰ“-ის შტაბბინასაც მოხვდა. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ისრაელის სპეცსამსახურების წარმომადგენლებსა და პალესტინელ ბოევიკებს შორის შეტაკება ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილშიც მოხდა, რასაც ისრაელის მხარე არ ადასტურებს და აცხადებს, რომ სექტორის ამ ნაწილში მას საერთოდ არ ჰყავს გადასროლილი სამხედრო ნაწილები. ისრაელის მხარე, რასაკვირველია, არც ღაზას სექტორის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებული ელექტრომომარაგების ქსელის დაზიანებას ადასტურებს, რაც პალესტინური მხარის თქმით, სწორედ, ისრაელის ქმედების შედეგია. ოფიციალური თელავივის განცხადებით, ელექტროგადამცემი ხაზები სარაკეტო იერიშზე პალესტინური მხარის მიერ საბრძოლო იარაღის გამოყენების შედეგად დაზიანდა.

ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მორიგ გამწვავებაზე გაეროშიც საუბრობენ.ს გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის თქმით, საჭიროა ღაზას სექტორში ჰუმანიტარული კრიზისის საფრთხის დროულად აღკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არა მარტო სამოქალაქო ინფრასტრუქტურას მიაყენებს ძლიერ დარტყმას, არამედ ამ სახელმწიფოების ფარგლებსაც გასცდება და მწვავე რეგიონული დაპირისპირების სახესაც მიიღებს.

როგორც ჩანს, კონფლიქტის ესკალაციის საფრთხე მარტო გაერო-ს გენერალურ მდივანს არ აღელვებს, რადგან შუამავლის როლის შესრულების სურვილი მხარეთა შერიგებისთვის უკვე გამოთქვა ეგვიპტემ. ეგვიპტის პრეზიდენტის, ხოსნი მუბარაქის თქმით, იგი უკვე ესაუბრა პალესტინის ხელისუფლებაში „ჰამას“-ის დაჯგუფების რამდენიმე წევრსა და ისრაელის პრემიერ-მინისტრს ეჰუდ ოლმერტს.

*24 საათი*

# ლიცენზია მკვლელობისათვის

7 ივლისს რუსეთის ფედერაციის საბჭო მიიღებს დადგენილებას, რომელიც რუსეთის პრეზიდენტს საშუალებას მისცემს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისა და რუსეთისა და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვის მიზნით საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ რუსეთის სპეცსამსახურები გამოიყენოს.

როგორც ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვი აცხადებს, დადგენილება მიღებული იქნება „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ“ კანონის საფუძველზე. მირონოვი დასძენს, რომ მსგავსი დადგენილების მიღების აუცილებლობა ერაყში რუსი დეპუტატების სიკვდილით დასჯის ფაქტმა წარმოშვა.

რუსი დეპუტატები ერაყში 3 ივნისს გაიტაცეს და რამდენიმე დღეში სიკვდილით დასაჯეს. ტერორისტები რუსეთის ხელისუფლებისგან გატაცებულთა სიცოცხლის სანაცვლოდ ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების გაყვანას ითხოვდნენ.

რუსი დიპლომატების დაღუპვის შემდეგ, 28 ივნისს პრეზიდენტმა პუტინმა სპეცსამსახურებს დიპლომატების გამტაცებელთა განადგურება უბრძანა. უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა მუშაობა უკვე დაიწყეს და ყველაფერს გააკეთებენ, რომ ტერორისტები დაისაჯონ. მისი თქმით, რუსეთი მზადაა გადაუხადოს 10 მილიონი დოლარი მას, ვინც სპეცსამსახურებს რუსი დიპლომატების მკვლელების შესახებ ინფორმაციას მიაწვდის.

*24 საათი*

# სეპარატისტთა გაერთიანებული სამშვიდობო ძალები

რამდენიმე ხნის წინ, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის სეპარატისტული რესპუბლიკების ე.წ. პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი, ერთობლივი სამშვიდობო კონტინგენტის ჩამოყალიბების შესახებ ხელშეკრულების რეალიზება დაიწყო.

რამდენიმე დღის წინ სეპარატისტმა დნესტრისპირელმა „პრეზიდენტმა“ იგორ სმირნოვმა სპეციალური სამშვიდობო სამხედრო ფორმირების ჩამოყალიბება დაიწყო.

სმირნოვის თქმით, საი რესპუბლიკის გაერთიანებული სამშვიდობო ძალები, სტრუქტურის მიხედვით, არსებული სამშვიდობოთა ფორმატისაგან არ განსხვავდება.

„თუ რუსეთს კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობოთა გაყვანას აიძულებენ, რუს მშვიდობისმყოფელთა ადგილს ჩვენი სამშვიდობოები დაიკავებენ“, - განაცხადა სმირნოვმა ტირასპოლში.

რაც შეეხება აფხაზეთს, იქ გაერთიანებული სამშვიდობო კონტინგენტისათვის განკუთვნილი მობილური ჯგუფების ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

„რუსების სამშვიდობო ჯარებს ჩვენი ჯარებით ჩავანაცვლებთ. არავითარი სხვა სამშვიდობოების ფეხი, გარდა რუსეთისა და სამი რესპუბლიკის სამშვიდობოებისა, აქ არ იქნება“, - აცხადებენ აფხაზეთში.

ე.წ. სამხრეთ ოსეთს კი უბეჯითია და თუ აფხაზეთი და დნესტრისპირეთი ახლა აყალიბებენ ჯგუფებსა და ფორმირებებს, კოკოითს სწრაფი რეაგირების ბატალიონი უკვე ჩამოყალიბებული ჰყოლია და ამჟამად მუშაობა მხოლოდ მის სრულყოფილებაზე მიდის.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# რა ვიცით პოსტსაბჭოთა სივრცეზე

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან საერთორეგიონული და კულტურული ურთიერთობების სამმართველოს ხელმძღვანელი მოდესტ კოლეროვი აცხადებს, რომ რუსეთის ამოცანა, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და დნესტრისპირეთში მცხოვრები საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და უფლებების, მათ შორის საკუთარი ბედის გადაწყვეტის უფლების დაცვაა.

ეს მოსაზრება კოლეროვმა საჯარო ლექციის „რა ვიცით პოსტსაბჭოთა სივრცეზე?“ კითხვის დროს გამოთქვა.

მისივე აზრით, პოსტსაბჭოთა ქვეყნების კონსტიტუციები არ შეიძლება იწყებოდეს სიტყვებით „ჩვენ ვართ ერი“, უფრო მართებული იქნებოდა კონსტიტუციები დაწყებულიყო სიტყვებით „ჩვენ უფლება მოგვცეს“, რაც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ მათ დამოუკიდებლად არსებობის უფლება მისცეს.

*ჯი-ეიჩ-ენი*


Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცედენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით: ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ. კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისათვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
ზაფხულის სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანკტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | ჩაფრენა | გამოფრენა | ჩამოფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

# გირგვლიანის საქმის საფუძველი

პირველი გვერდიდან

ბრალდების მხარის მოთხოვნით, ახალაიამ დეტალურად გაიხსენა, როგორ მივიდა 2006 წლის 27 იანვარს „შარდენ ბარში“. მისი თქმით, ის და ოლეგ მელნიკოვი ბარში, დაახლოებით, 00.00 საათიდან 00.30 ნახევრამდე მივიდნენ, სადაც მათ დახვდათ შს მინისტრის მეუღლე თაკო მერაბიშვილი, ვასილ სანოძე, ანა კალანდაძე და უცნობი ქალბატონი, რომელიც, როგორც შემდეგ გაირკვა, თათია მაისურაძე აღმოჩნდა. დაახლოებით ნახევარ საათში, გურამ დონაძეც შეუერთდათ, საბოლოოდ კი 02.30 საათზე დაიშალნენ.

ახალაიას განცხადებით, ახლობლები წინასწარ იყვნენ შეთანხმებულები, რომ ბარში ვასილ სანოძის დაბადების დღე უნდა აღენიშნათ. ადვოკატების მიერ დასმულ შეკითხვაზე, რომელიც „შარდენ ბარში“ თათია მაისურაძის გადაადგილებას შეეხებოდა, დათა ახალაიამ განაცხადა, რომ დეტალები არ ახსოვს, თუმცა იხსენებს, რომ რაღაც პერიოდი მაისურაძის ადგილი თავისუფალი იყო. მაღალჩინოსანი პოლიციელი ვერც იმას იხსენებს, მიუახლოვდა თუ არა უცნობი პიროვნება მათ მაგიდას. სამაგიეროდ, ახალაიას კარგად ახსოვს, რომ ოლეგ მელნიკოვი სიგარეტის საყიდლად გაგზავნა და იგი, დაახლოებით, 20 წუთში დაბრუნდა.

დათა ახალაიამ მართლმსაჯულებას კიდევ ერთხელ დაუდასტურა, რომ ტელეფონით სამჯერ ესაუბრა გია ალანიას, რადაგან აინტერესებდა, როდის მივიდოდა იგი ბარში. საბოლოოდ ალანია მეგობრებთან აღარ მისულა; თუ რატომ არ მივიდა, ამით ახალაია, თურმე, აღარც დაინტერესებულა.

შეკითხვა, თუ როდის გაიგო „კუდ“-ის ყოფილმა უფროსმა, რომ გია ალანია (რომლის მეჯვარეც არის) „ემელის“ ჯიპით სარგებლობდა, დათა ახალაიამ ასე განმარტა:

**„დასავლეთის სამსახურის უფროსმა დამირეკა და მითხრა, რომ მათ ალანია სთხოვდა ავტოსადგომზე „ემელის“ ჯიპი დაეყენებინა. ვინაიდან უკვე ვიცოდი, რომ გირგვლიანის მკვლელობაში აღნიშნული მარკის ავტომობილი ფიგურირებდა, ეჭვი შემეპარა დანაშაულში მის თანამონაწილეობაზე და ამიტომ შიდამოკვლევა ჩავატარეთ. გავშიფრეთ სატელეფონო ზარები და მივხვდი, რომ ოქროყანის ანძასთან ალანიას ტელეფონის ზარები დაფიქსირდა“,** - განაცხადა ახალაიამ.

ტრაგედიის ღამეს „შარდენბარში“ არსებულ სიტუაციაზე ახალაიასგან განსხვავებული თითქმის არაფერი უთქვამთ ვასილ სანოძეს, თაკო სალაყაია-მერაბიშვილს, ოლეგ მელნიკოვს და გურამ დონაძეს. თუმცა, დაზარალებულთა ადვოკატების შეკითხვებით და საქმის მასალების გამოქვეყნებით, აშკარად გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ მოწმეთა მიერ წინასწარი გამოძიების პერიოდში მიცემულ ჩვენებებსა და სასამართლო დაკითხვას შორის არსებითი განსხვავებებია, რასაც მაღალჩინოსანი პოლიციელები, ძირითადად, მეხსიერების პრობლემით ხსნიდნენ.

მართლმსაჯულებას არგუმენტირებული პასუხი არც ერთ-ერთ მთავარ შეკითხვაზე არ მიუღია - ის, რომ გია ალანია „შარდენ-ბარში“ უნდა მისულიყო, წინასწარი გამოძიებისას, პირველ დაკითხვაზე (18 თებერვალი) არც ერთ მაღალჩინოსან პოლიციელს არ განუცხადებია. სამაგიეროდ, ერთი თვის შემდეგ, განმეორებით დაკითხვაზე, როდესაც გია ალანია და მისი ახლობლები უკვე დაპატიმრებულები იყვნენ და ჩვენებებიც ჩააბარეს, ყველა მათგანმა ზუსტად გაიხსენა, რომ ბარში ალანიას მისვლა წინასწარ იყო დაგეგმილი და მას მოუთმენლად ელოდნენ.

**„პირველი დაკითხვის დროს არ გვიფიქრია, რომ ალანიას გვარის დაფიქსირებას გამოძიებისთვის მნიშვნელობა ექნებოდა“,** - ასეთია ყოფილ მაღალჩინოსანთა პასუხი.

პროცესზე ადვოკატებმა კიდევ ერთი საკითხი გაარკვიეს. მოგეხსენებათ, გირგვლიანის მკვლელობის გახმაურებისთანავე დაზარალებულთა ოჯახის ადვოკატები ირწმუნებოდნენ, რომ ბარში შეკრებილებს სიგარეტის პრობლემა არ ჰქონდათ და, აქედან გამომდინარე, ოლეგ მელნიკოვი შარდენის ქუჩიდან ჭავჭავაძის გამზირზე, „კენტის“ საყიდლად კი არა, „დამსჯელ ბრიგადასთან“ ერთად ოქროყანაში ავიდა.

წინასწარი გამოძიების დროს და სასამართლოზე დაკითხული მოწმეები ამტკიცებდნენ, რომ სუფრის ორ წევრს მელნიკოვს და დონაძეს სიგარეტი არ ჰქონდათ და ისინიც თაკო სალაყაიას სიგარეტს ეწეოდნენ (ცნობისთვის, მინისტრის მეუღლეს მძღოლმა ბარში მისვლისას ორი კოლოფი „კენტი“ მიუტანა).



თაკო სალაყაია-მერაბიშვილი მართლმსაჯულების წინაშე მოწმის სტატუსით წარსდა.

ადვოკატების გამოთვლით, აღნიშნული რაოდენობის სიგარეტი რომ ბოლომდე დახარჯულიყო, სამივე მათგანს სამ წუთში ერთი ღერი უნდა მოეწია, რაც აბსურდულია. აქედან გამომდინარე, დაცვის მხარე მელნიკოვის სიგარეტის მოსატანად წასვლის აუცილებლობას გამორიცხავს.

გურამ დონაძემ სასამართლოს სიგარეტის მოტანის აუცილებლობა შემდეგი გარემოებით აუხსნა: **„მე ყვითელ „გალუაზს“ ვეწეოდი, რაც ბარში არ იყიდებოდა“.**

მოგვიანებით დაკითხულმა ბარმენმა რუსიკო არჩვაძემ კი, რომელიც ჩინიანი სტუმრების მაგიდას ემსახურებოდა, განმარტა, რომ „შარდენ ბარს“ ექსკლუზივი აქვს სიგარეტ „გალუაზზე“ და ბარში მისი დეფიციტი არასოდეს არ აქვთ.

**„გურამ დონაძე სხვა დროსაც მოდიოდა ჩვენს ბარში და „გალუაზს“ ხშირად ყიდულობდა, თუმცა 27 იანვარს იგი ბართან არც მოსულა და სიგარეტი არც მოუთხოვია“,** - აღნიშნა ბარმენმა.

პოლიციის მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, მართლმსაჯულების წინაშე შედარებით მოუმზადებელი წარდგა სუფრის ერთ-ერთი წევრი თაკო სალაყაიას მეგობარი ანა კალანდაძე, რომლის ჩვენებაც არსებითად განსხვავდებოდა წინა დღეს დაკითხული თათია მაისურაძის ჩვენებისგან.

მართალია, ანა კალანდაძე, ყოფილი პოლიციელების მსგავსად, ამტკიცებს, რომ არც ბარში და არც მის გარეთ არანაირი ინციდენტი არ მომხდარა, მაგრამ მეგობრებისგან განსხვევებით, ვერ უარყოფს იმას, რომ სანდრო გირგვლიანი მათ სუფრასთან მივიდა და თათია მაისურაძეს ხელზე ეამბორა. მოწმე იმასაც კარგად იხსენებს, რომ მაისურაძე გვერდით მაგიდასთან გადაჯდა და ცოტა ხნის შემდეგ უკან რომ დაბრუნდა, თათია მაისურაძეს მან უცნობთან დაკავშირებით შეკითხვები დაუსვა.

რაც შეეხება ვასილ სანოძისა და თათია მაისურაძის ნაცნობობას, ანა კალანდაძის განცხადებით, ისინი ერთმანეთს მანამდე არ იცნობდნენ და „შარდენ ბარში“ თავად გააცნო ერთმანეთს. თუმცა, ანა კალანდაძე არც იმას გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, სანოძე და მაისურაძე ბათუმში, რომელიმე ბარში შეხვდნენ. სხვათა შორის, ვასილ სანოძემ დაკითხვისას კატეგორიულად უარყო თათია მაისურაძის ნაცნობობა.

ტრაგედიის მიზეზის გია ალანიასეულ ვერსიას, რომელზეც ბრალდებაა აგებული, საფუძველი გამოაცალა ბარის დაცვის თანამშრომლის დაკითხვამ. ალანიას მტკიცებით, გირგვლიანი და ბუხაიძე, რომლებიც გურამ დონაძეს ხმამაღლა აგინებდნენ, მას ბარის კარებთან შეხვდნენ, რის გამოც, ისინი ოქროყანის სასაფლაოზე აიყვანეს. გუშინდელ დაკითხვაზე კი ბარის თანამშრომელმა განმარტა, რომ ბარის გარე პერიმეტრი ვიდეო-თვალით კონტროლდება და რამე ინციდენტს ადგილი რომ ჰქონოდა, დაცვა აუცილებლად მოახდენდა რეაგირებას. ასეთი რამ კი იმ ღამეს არ დაფიქსირებულა.

სასამართლო სხდომაზე მთავარი მოწმეების დაკითხვამ მშვიდობიანად ჩაიარა, რასაც ვერ ვიტყვით დაკითხული ყოფილი მაღალჩინოსანი პოლიციელების ეზოში გამოჩენაზე. ახალაია, სანოძე, სალაყაია-მერაბიშვილი, დონაძე და მელნიკოვი სასამართლოს შენობიდან გაძლიერებული დაცვის თანხლებით გადიოდნენ. „მკვლელები“, „ჯალათები“ - ამგვარი ეპითეტებით ამკობდნენ მოწმეებს ეზოში შეკრებილი პროტესტანტები. ყოფილი პოლიციელების დამცველებმა ამის საპასუხოდ აქციის მონაწილეებს დაუმტვრიეს მეგაფონი და ფეხით გათელეს პლაკატები.

„რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელის თქმით, აღნიშნული ინციდენტის გამო, თავისუფლად შეიძლება სისხლის სამართლის საქმის აღძვრა.

პროცესიდან გამოსულმა სანდრო გირგვლიანის დედამ ირინე ენუქიძემ პროკურორები და მოსამართლე უსამართლობაში დაადანაშაულა.

**„ბრალდება და მართლმსაჯულება დაზარალებული მხარის მიმართ არანაირ მხარდაჭერას არ ამჟღავნებს, მოწმეების მიმართ შეკითხვებიც კი არ აქვთ მძაფრი, რაზეც ეტყობათ, რომ პროცესის სწრაფად დასრულება სურთ. ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა, რომლებსაც ვერ გაექცევიან. დაკითხვების დროს მოწმეებს სხვადასხვაგვარი ჩვენებები აქვთ მიცემული, რაც ეჭვებს ბადებს. დღევანდელი ჩვენებები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ მკვლელობა დაკვეთილია“,** - განაცხადა ირინე ენუქიძემ.

გირგვლიანის ოჯახის ადვოკატის განცხადებით კი, ამ დღეებში ჩატარებული დაკითხვების შედეგად მკვლელობის მოტივი ნათლად გამოიკვეთა. მისი თქმით, აშკარად ჩანს, რომ სუფრის წევრები განაწყენებულები იყვნენ და გირგვლიანის წინააღმდეგ ეს დანაშაული შურისძიების მოტივით ჩაიდინეს.

ტრაგედიის ადვოკატისეული ახსნა ასეთია: თათია მაისურაძე „შარდენ ბარში“ ვასილ სანოძის ინიციატივით დაპატიჟეს, მოგვიანებით კი, როდესაც ის სანდრო გირგვლიანმა თავის სუფრასთან გადაიყვანა, ეს ფაქტი მათთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. მისი განცხადებით, ამას დაემატა გირგვლიანის მიერ გურამ დონაძის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოხსენიება. საბოლოოდ კი, სუფრაზე სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ გირგვლიანთან და თათია მაისურაძესთან ანა კალანდაძე მივიდა და მაისურაძეს ჰკითხა, ხო მშვიდობააო. ადვოკატის თქმით, სუფრაზე დაბრუნების შემდეგ თათია მაისურაძესთან იგივე შეკითხვა თაკო მერაბიშვილსაც გაუჩნდა. ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ კონფლიქტი „შარდენ ბარში“ დაიწყო.

## რამიშვილი-კოხრეიძის განაჩენი უცვლელია

*„არ დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულების - შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის სარჩელი. მათთვის გამოტანილი განაჩენი დარჩეს უცვლელი“, - ასეთი გახლავთ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ანა ჭიჭილეიშვილის მიერ გამოტანილი ვერდიქტი. მეორე ინსტანციის სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოში რამიშვილი-კოხრეიძის საქმის არსებითი განხილვა სრულყოფილად ჩათვალა და მათთვის მისჯილ ოთხ და სამწლიან პატიმრობას ერთი წელიც არ მოაკლო. მოსამართლემ განაჩენი სამ წუთში წაიკითხა და სხდომის დარბაზი დაუყოვნებლივ დატოვა.*

განაჩენის გამოცხადებას ცოტა ხნის წინ მოსამართლის მიერ დარბაზიდან გაძევებული შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძეც ესწრებოდნენ. პირველი ინსტანციის სასამართლოსგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლოს ვერდიქტს არც მსჯავრდებულებისა და არც მათი ახლობლების მხრიდან ხმაური არ მოჰყოლია. კოხრეიძე-რამიშვილისა და მათი ახლობლებისთვის მოსამართლე ანა ჭიჭილეიშვილის განაჩენი მოულოდნელი არ ყოფილა. მათ უნდობლობა და პროტესტი მოსამართლეს პროცესის დაწყებისთანავე მაშინვე გამოუცხადეს, რაც მან პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქმის სასამართლო გამოძიებას განსასჯელების მიერ არჩეული ადვოკატები დავით კორკოტაშვილი და გოჩა სვანიძე ჩამოაშორა.

იძულებით დანიშნულმა სახაზინო ადვოკატებმა საქმეში დაზარალებულად ცნობილი ყოფილი პარლამენტარის, კობა ბექაურის დაკითხვა და ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებიდან სატელეფონო ამონაწერების წარმოდგენა მოითხოვეს, თუმცა მოსამართლისგან ამ შუამდგომლობაზე კატეგორიული უარი მიიღეს. **„ის მტკიცებულებები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიკვლია, მეორე ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული აღარ იქნება“,** - ასეთი იყო მოსამართლის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ფაქტობრივად, სააპელაციო სასამართლომ საქმე არსებითად არ განიხილა, რამდენიმე პროცესი ცარიელ დარბაზში განსასჯელების გარეშე ჩატარდა.

**„დაზარალებულ კობა ბექაურს დაუბრუნდეს მტკიცებულება - ფული - 30 ათასი დოლარი, რომელიც საქმეში ფიგურირებდა“,** - ასეთია მოსამართლის ბრძანება.

**„აბსოლუტური უსამართლობა; შესრულდა პოლიტიკური დაკვეთა, მოხდა ის, რასაც ველოდით, გასაკვირი აქ არაფერია“,** - ასე შეაფასეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენი კოხრეიძე-რამიშვილის სახაზინო და მათთვის ჩამოშორებულმა ადვოკატებმა და ახლობლებმა. შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის საქმეს ქართული მართლმსაჯულების ბოლო ინსტანცია დარჩა გასავლელი. მსჯავრდებულები კანონით მინიჭებულ უფლებას გამოიყენებენ და სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ერთი თვის ვადაში უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

*24 საათი*

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.05.04**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**

**დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოები**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის საბავშვო ბაღის შენობის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სათემო კავშირთან "ლიახვი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სათემო კავშირი "ლიახვი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 03 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3000 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 03 აგვისტოს 12:00** -მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 03 აგვისტოს 13:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39, www.mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 03.05.18**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**

**ყაზბეგის რაიონის, სოფ. გორისციხის სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ყაზბეგის რაიონის, სოფ. გორისციხის სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. გორისციხის სათემო კავშირთან "გორისციხე-2005", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სოფ. გორისციხის სათემო კავშირი "გორისციხე-2005" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 1 ივლისიდან** (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 600 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 14 ივლისს 14:00**-მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 14 ივლისს 14:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)**

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 10.05.01**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**

**დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სკოლის სპორტდარბაზის**
**შენობის სარემონტო სამუშაოები**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სკოლის სპორტდარბაზის შენობის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სათემო კავშირთან "ლიახვი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, დიდი ლიახვის ხეობის, ქურთის თემის, სოფ. კეხვის სათემო კავშირი "ლიახვი" იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 03 ივლისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3400 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 03 აგვისტოს 12:00-**მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 03 აგვისტოს 12:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**

**ngagua@mdf.org.ge**
**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

# Don’t Cry For Me, Argentina!



**გერმანია - არგენტინა 1:1 (4:2, პენ)**
**გოლები:** 0:1 აიალა (49), 1:1 კლოზე (80)
**გაფრთხილება:** პოდოლსკი, ოდონკორი, ფრიდრიხი - სორინი, მასკერანო, მაქსი, კრუზი
**გერმანია:** ლემანი, ფრიდრიხი, მერტეზაკერი, მეტცელდერი, ლამი, შნაიდერი (ოდონკორი 62), ფრინგსი, ბალაკი, შვაინშტაიგერი (ბოროვსკი 74), კლოზე (ნოივილი 86), პოდოლსკი
**მწვრთნელი:** იურგენ კლინსმანი
**არგენტინა:** ადონდანსიერი (ლეო ფრანკო 71), კოლოჩინი, აიალა, ჰაინცე, სორინი, მაქსი, მასკერანო, ლუჩო გონსალესი, რიკელმე (კამბიასო 72), კრესპო (კრუზი 79), ტევესი
**მწვრთნელი:** ხოსე პეკერმანი
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
**5 კარში დარტყმა 5**
**10 კარისკენ დარტყმა 12**
**23 ჯარიმა 32**
**4 კუთხური 6**
**3 თამაშგარე 3**
**42% ბურთის ფლობა 58%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მიხაელ ბალაკი

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებიდან საუბრობენ, რომ იურგენ კლინსმანზე განაწყენებული ოლივერ კანი ბუნდესნაკრებში მარტოა და არავისთან არა აქვს ურთიერთობაო. რაც შეეხება კანისა და ლემანის ურთიერთობას, ერთი იმას არ ამბობდნენ, რომ ეს ორი ფეხბურთელი მუშტიკრივით არკვევს ურთიერთობასო, თორემ დანარჩენი ალბათ ყველაფერი თქმულა.

ახლა ძნელია იმის თქმა, რა ურთიერთობაა ლემანსა და კანს შორის, ვისზეა გაბრაზებული ლეგენდარული ოლივერ კანი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: გაიხსენეთ კადრი, რომელიც ტელეტრანსლაციის დროს გამოჩნდა. პენალტების სერიის დაწყებას რამდენიმე წუთი უკლია, ოლივე კანი მიდის ლემანთან და ამხნევებს....

ვინ იცის, შესაძლოა, სწორედ ამ გამხნევებამ იმოქმედა და ლემანმა არგენტინელთა ორი პენალტი მოიგერია, შეიძლება არგენტინის ნაკრებში არ გამოჩნდა ფეხბურთელი, როგორც თანაგუნდელებს საჭირო მომენტში ისე გამხნევებდა, როგორც ეს იოლივერ კანმა გააკეთა, მაგრამ შედეგი აშკარაა - გერმანია ნახევარფინალშია, ატირებული არგენტინის ნაკრები კი, რომელსაც უმრავლესობა ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად თვლიდა, სამშობლოში ბრუნდება.

არგენტინელებს სწორედ ის დრო დაუდგათ, რომ ჩვენს მიერ სათაურში მოყვანილი ცნობილი ფრაზა არანაკლებ ცნობილი მიუზიკლიდან იმღერონ.

არგენტინის ნაკრები მართლაც კარგი გუნდი იყო, მარცხის მთავარი მიზეზი კი არგენტინელებმა საკუთარ თავში უნდა ეძებონ, პირველ რიგში კი - საკუთარ მწვრთნელში.

რა უნდოდა პეკერმანს, ძნელი გასაგებია. რატომ დაატოვებინა მან მინდორი რიკელმეს, ალბათ ბევრისთვის გაუგებარია, რატომ დასვა სკამზე კრესპო, თუ ლიო მესის არ გაუშვებდა მინდორზე. ეს კითხვები ალბათ მაინც უპასუხოდ დარჩება.

# ეს იტალიაა!



*ლუკა ტონის პირველი გოლი უკრაინელთა კარში.*

**იტალია - უკრაინა 3:0**
**იტალია:** ბუფონი, გროსო, კანავარო, ბარძალი, გატუზო (ძაკარდო, 77`), ტონი, ტოტი, კამორანეზი (ოდო, 68`), ძამბროტა, პეროტა, პირლო (ბარონე, 68`).
**უკრაინა:** შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ტიმოშჩუკი, რუსოლი (ვაშჩუკი, 47`), შევჩენკო, შელაევი, გუსევი, გუსინი, მილევსკი (ბელიკი, 72`), კალინიჩენკო, სვიდერსკი (ვორობეი, 20`).
**გოლები:** 1:0 - ძამბროტა (6`), 2:0 - ტონი (59`), 3:0 - ტონი (69`).
**გაფრთხილება:** სვიდერსკი, კალინიჩენკო, მილევსკი..
**მსაჯი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია).
**10 კარში დარტყმა 13**
**7 კარისკენ დარტყმა 7**
**15 ჯარიმა 31**
**1 კუთხური 3**
**2 თამაშგარე 2**
**41 ბურთის ფლობა 59**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** ჯენარო გატუზო

იტალიის ნაკრები ნახევარფინალში გავიდა და გერმანიას შეხვდება. ბევრმა შეიძლება ეს თამაში 1982 წლის ფინალის განმეორებად, თუ რევანშად მიიჩნიოს, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ გერმანელები საკუთარ მინდორზე ფავორიტები იქნებიან და ყოველმხრივ ეცდებიან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვონ, როგორც ეს 1974 წელს მოხდა, როცა გერმანელებმა, ფინალში შეიძლება ითქვას თავისზე უკეთესი გუნდი, ჰოლანდიის ნაკრები დაამარცხეს - 2:1.

არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იტალია მარჩელო ლიპის ხელმძღვანელობით ყველაზე პრაგმატული გუნდია მუნდიალზე. იტალიელებმა შეიძლება კარგი თამაში არ აჩვენეს, ვთქვათ, ისეთი, როგორიც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ჯგუფურ ეტაპზე, მაგრამ შედეგს აღწევენ. ამიტომ ამ გუნდის ჩამოწერა ძალიან ადრეა, როგორც ეს ბევრ სკეპტიკოსს მიაჩნია.

რაც შეეხება უკრაინასთან დაპირისპირებას, იტალიელებმა სლავებს ტრადიციული თამაში შესთავაზეს დაცვიდან და არც გაემტყუნებათ, რადგან როგორც არ უნდა ვთქვათ, მარჩელო ლიპის გუნდს ასეთი თამაში ყველაზე უკეთ გამოსდის. და როგორც არ უნდა შეაფასონ იტალია - უკრაინის თამაში ჩვენმა კომენტატორებმა, მოულოდნელობა სულაც არ არის, რომ იტალიამ მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში უკრაინას მოუგო.

საკმარისია ითქვას, რომ მარჩელო ლიპის გუნდი, ახლად აღმოცენებული ქვეყნის უკრაინისგან განსხვავებით, დამარცხებას ჩვეული არ არის და ეს ტრადიცია იტალიელებს მას შემდეგ მოსდევთ, რაც საერთოდ ფეხბურთმა ევროპა მოიცვა. მეორე კი ის, რომ უკრაინის ნაკრები აშკარად არ არის ის ვარსკვლავური გუნდი, როგორიც ხორვატებს 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ჰყავდათ. რეალურად, თუ ვიმსჯელებთ, უკრაინის ნაკრებში ერთადერთი მსოფლიო მნიშვნელობის ფეხბურთელია - ანდრეი შევჩენკო და ამიტომ ის, რაც უკრაინის ნაკრებმა გერმანიაში მოახერხა ამ გუნდისთვის, ალბათ მაქსიმუმი იყო.

აქედან გამომდინარე, იმის თქმა, რომ იტალიელთა გამარჯვება უკრაინაზე მოულოდნელი იყო, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. პირიქით ძალიანაც მოსალოდნელი იყო და ფეხბურთის გურმანების გულის გასახარად, მათ შესანიშნავი ნახევარფინალები ელით და ქართველი გულშემატკივარსაც, ალბათ, ურჩევნია ამით უფრო დატკბეს.

# მარტინა უიმბლდონს დაემშვიდობა



*მარტინა ჰინგისმა უიმბლდონი დაასრულა.*

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| მაქს მირნი - ჯეიმს ბლეიკი | 6:4,3:6,4:6,6:1,6:0 |
| ენდი მიურეი - ჟულიენ ბენეტო | 7:6,6:4,4:6,6:1 |
| ლეიტონ ჰიუიტი - ჰუნგ ტაეკ ლი | 6:7,6:2,7:6,6:7,6:4 |
| როჯერ ფედერერი - ნიკოლას მაჰუტი | 6:3,7:6,6:4 |
| ხუან კარლოს ფერერო - რადეკ სტეპანეკი | 7:5,7:6,4:6,2:6,9:11 |
| დავიდ ნალბანდიანი - ფერნანდო ვერდასკო | 6:7,6:7,2:6 |
| იონას ბიორკმანი - დანიელ ბრაჩალი | 7:5,6:2,6:1 |
| ნოვაკ ჯუკოვიჩი - მიხაილ იუჟნი | 4:6,6:2,6:3,6:3 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ანა ჩაკვეტაძე - ჟუსტინ ენინ-არდენი | 2:6,3:6 |
| სევერინ ბრემონდი - ჟიზელა დულკო | 7:6,5:7,7:5 |
| დანიელა ჰანტუჩოვა - კატარინა სრებოტნიკი | 6:4,7:6 |
| აი სუგიამა - მარტინა ჰინგისი | 7:5,3:6,6:4 |
| სვეტლანა კუზნეცოვა - ნა ლი | 6:3,2:6,3:6 |

მსოფლიო ჩემპიონატის დრამატული მეოთხედფინალების პარალელურად ინგლისში უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირი გრძელდება. გუშინდელი სათამაშო დღე ბევრით არაფრით ყოფილა განსაკუთრებული. ერთეულთა თანრიგში არც ისე ბევრი მატჩი გაიმართა, ვინაიდან გუშინ კორტები ძირითადად წყვილებს ჰქონდათ დათმობილი.

ვაჟთა ასპარეზობაში ფავორიტებმა იოლად იმარჯვეს, ფედერერმა სრულიად უპრობლემოდ მოუგო მაჰუტს და შემდეგ ტურშიც გავიდა. მოიგო იონას ბიორკმანმაც. დამარცხდნენ დავიდ ნალბანდიანი და ხუან კარლოს ფერერო, მაგრამ ამას მოულოდნელობათა რანგში ვერ განვიხილავთ, რადგან ორივე ჩოგბურთელი თიხის კორტების ოსტატია და ბალახზე თამაში არ ეხერხებათ.

ვაჟებისგან განსხვავებით, საინტერესო გამოდგა ქალთა ასპარეზობა. მთავარი ინტრიგა იაპონელი აი სუგიამასა და მარტინა ჰინგისის მატჩზე გველოდა. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი და უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებული მარტინა ჰინგისი, ცხადია, ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ იაპონელმა კარგად ითამაშა და ქალთა ასპარეზობის პირველი სენსაციაც გვაჩუქა.

ამ წრეში დამარცხდა რუსეთის სახელით მოასპარეზე ანა ჩაკვეტაძეც. მისი მეტოქე ბელგიელი ჟუსტინ ენინ არდენი იყო და ამიტომ ქართული წარმოშობის რუსი ჩოგბურთელის მარცხი გასაკვირი არ არის.

## მოკლედ

### რონალდინიოს კბილებს ფუნქცია მოუძებნეს



რას არ მოიფიქრებს გონიერი ადამიანი, მით უმეტეს, თუ მას ხელსაქმეც ეხერხება. ერთ-ერთმა ასეთმა ბრიტანელმა ქალბატონმა, რომელსაც ფეხბურთმა მისცა შემოქმედების მუზა, გააკეთა ლუდის ბოთლის ორიგინალური ფორმის გასახსნელი. რონალდინიოს 12-სანტიმეტრიანი ფიგურა იდეალურ გასახსნელადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ქალბატონს ვერც მახვილგონიერებას დავუწუნებთ. ბრაზილიის ნაკრების ფორმაში გამოწყობილ რონალდინიოს პირი ღია აქვს და მოუჩანს ორი დიდი კბილი. სწორედ ეს კბილები ხსნის ბოთლს.

ქალბატონმა ეს გამოგონება დააპატენტა. ჯერჯერობით ასეთი გასახსნელის მხოლოდ ერთი ეგზემპლარი არსებობს, რომელიც 5 ივლისს ინტერნეტ-აუქციონზე გაიყიდება.

### კლინსმანის ქუჩა

გერმანია-არგენტინის მეოთხედფინალურ მატჩამდე იურგენ კლინსმანს პატივი მიაგეს მშობლიური ქალაქის მესვეურებმა. ქალაქ გაისლინგენში, სადაც კლინსმანმა ბავშვობა გაატარა, ამიერიდან მისი სახელობის ქუჩა იარსებებს.

### ლამპარდი დაშავდა

ინგლისის ნაკრების ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე მსუბუქი ტრავმა მიიღო ფრენკ ლამპარდმა. მან პარასკევს ვარჯიში გამოტოვა, თუმცა, პორტუგალიასთან მეოთხედფინალურ მატჩში მაინც ითამაშებს.

### პელეს პროგნოზი

ფეხბურთის მეფე პელეს მიაჩნია, რომ ბრაზილია-საფრანგეთის მეოთხედფინალურ მატჩში ფრანგები გაიმარჯვებენ.

„ცუდი წინათგრძნობა მაქვს. საფრანგეთის ნაკრებმა მოახერხა ბრაზილიის გუნდის დამარცხება მსოფლიო ჩემპიონატებზე გამართულ ბოლო ორ შეხვედრაში. თანაც ჩვენს გუნდს მხოლოდ ერთხელ აქვს მოგებული მსოფლიო ჩემპიონატი ევროპაში, ვფიქრობ, რომ ნახევარფინალში სწორედ ფრანგები გავლენ“, - ამბობს პელე.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ პელეს პროგნოზები არასდროს არ ამართლებს. ბოლო ხანს ეს სახუმარო თემადაც კი იქცა. ცხადია, ამის თაობაზე თავად პელემაც მშვენივრად იცის და, შესაძლოა, ასეთი პროგნოზი სწორედ ამით იყოს გამოწვეული.

### მსაჯთა შეცდომები ფეხბურთელების ბრალია

მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ფრანც ბეკენბაუერმა განაცხადა, რომ სიმულანტი ფეხბურთელები მთავარი მიზეზია მსაჯების უამრავი შეცდომისა.

„ფეხბურთელთა სიმულაცია ისე გახშირდა, რომ ჩვენ, უბრალოდ, ვალდებული ვართ დავიცვათ არბიტრები. დიახ, ამ ტურნირზე საკმაოდ ბევრი იყო მსაჯთა შეცდომები, მაგრამ პირველ რიგში ეს სწორედ ფეხბურთელთა სიმულაციის ბრალია. მიმაჩნია, რომ ტურნირის შემდეგ ფიფამ კიდევ ერთხელ უნდა განიხილოს ეს საკითხი“, - ამბობს ბეკენბაუერი.

### ანრი ბრაზილიელთა ფანია

საფრანგეთის ნაკრების ფორვარდი ტიერი ანრი, რომელიც დღეს მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩში ბრაზილიელებს უნდა დაუპირისპირდეს, აცხადებს, რომ ბრაზილიის ნაკრების ფანია.

„შეხედეთ ხუთ ვარსკვლავს მათ ფორმაზე და მიხვდებით, თუ რას ნიშნავს ფეხბურთი ბრაზილიელებისთვის. მე ძალიან მომწონს მათი თამაშის სტილი. ბრაზილიელებისთვის ფეხბურთი ცხოვრებაა, ისინი ბურთთან ერთად იბადებიან. შემიძლია ვთქვა, რომ ბრაზილიის ნაკრების ფანი ვარ“, - ამბობს ანრი.

### პოლმა კარიერა დაასრულა

ინგლისელმა არბიტრმა გრემ პოლმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ სამი ყვითელი ბარათის შემდეგ გააძევა მინდვრიდან ხორვატი ფეხბურთელი იოსიპ შიმუნიჩი, განაცხადა, რომ ამთავრებს საერთაშორისო სამსაჯო კარიერას.

42 წლის არბიტრმა მას შემდეგ მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაც ფიფამ იგი არ დატოვა მუნდიალის დარჩენილი მატჩების სამსაჯოდ.

„შეცდომა მართლაც ძალიან დიდი იყო, მაგრამ მას არ უმოქმედია მატჩის მსვლელობაზე. ფეხბურთელმა მინდორზე ზედმეტი 2-3 წუთი გაატარა. რაც შეეხება ჩემს გადაწყვეტილებას, საერთაშორისო მატჩებზე აღარ ვიმუშავებ. მხოლოდ ინგლისის პრემიერლიგის შეხვედრებს ვიმსაჯებ. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩემზე გაცილებით ძლიერ მსაჯებს დაუსრულებიათ კარიერა“, - აცხადებს პოლი.

### თავისუფალი ზონა

უიმბლდონის ორგანიზატორებმა უარი განაცხადეს საფეხბურთო მატჩების ტელეტრანსლაციაზე. არადა, ტურნირის წინ დაგეგმილი იყო, რომ კორტებთან ახლოს, პატარა მთაზე, დიდი ეკარანი დამონტაჟდებოდა და გულშემატკივარს ჩოგბურთის პარალელურად საფეხბურთო მატჩების ხილვის საშუალებაც ექნებოდა. თუმცა, ბოლო მომენტში ორგანიზატორებმა გადაიფიქრეს, რადგან ფეხბურთის ემოციური ფანები თავისი შეძახილებით ჩოგბურთელებს თამაშში ხელს შეუშლიან. ამიტომ უიმბლდონი ფეხბურთისგან თავისუფალ ზონად გამოცხადდა.

### გამჭრიახი ბიზნესმენი

გამჭრიახმა ჩინელმა ბიზნესმენმა ცზე ლიმ, რომელიც თავის დროზე მთავარეზე ნაკვეთების გაყიდვით გამდიდრებას აპირებდა, ახლა გამდიდრების ახალი გზა მონახა. ცზე ლი ჩინეთში პოლიეთილენის პაკეტებს ყიდის, რომლებიც, მისი თქმით, მსოფლიო ჩემპიონატის ჰაერით არის სავსე. თითო ასეთი პაკეტი 6,25 დოლარი ღირს. ლი ამტკიცებს, რომ ჰაერი სწორედ გერმანიაში შეაგროვა. იგი მსოფლიო ჩემპიონატის ყველა სტადიონზე ყოფილა პოლიეთილენის პაკეტების ჰაერით შესავსებად.

### იანასი გაუშვეს

პოლონეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა პაველ იანასმა. მუნდიალის შემდეგ იანასი წასვლას არ აპირებდა, თუმცა ერთკვირიანი ფიქრის შემდეგ მაინც გადაწყვიტა ნაკრების დატოვება.

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაცია ახლა მის შემცვლელს ეძებს. გამორიცხული არ არის, რომ პოლონეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს ლეო ბეენჰაკერი, რომელთანაც ქვეყნის ფეხბურთის მესვეურები უკვე მართავენ მოლაპარაკებას.

### ორიგინალური პოლიტიკოსი

უკრაინისა და იტალიის ნაკრები გუნდების მეოთხედფინალურ მატჩამდე უკრაინის პარლამენტის წევრი ვლადიმირ სივკოვიჩი აცხადებდა, რომ თამაშს ცოლთან ერთად უყურებს და თან მეუღლესთან სექსი ექნება.

„ფეხბურთის ყურებისას საოცრად აგზნებული ვარ და ადრენალინის დიდი რაოდენობა გამომიმუშავდება. ცოდვაა ამ მდგომარეობის გამოუყენებლობა“, - უთხრა სივკოვიჩმა ჟურნალისტებს. ამავე დროს პოლიტიკოსმა აღიარა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე უკვე წააგო 1000 დოლარი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრი" - ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. №31 "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს დაცვის მომსახურების შესასყიდად 1 ლოტად და გიწვევთ მონაწილეობის მისაღებად.

2. დასაცავი ობიექტების ნუსხა:

ა) ქ. თბილისში რუსთაველის გამზ. №31-ში განლაგებული შენობა, ფართით 21166 კვ მ.

ბ) მცხეთის რაიონის სოფ. მისაქციელში მდებარე სატრანზიტო კვანძი "ობიექტი-425" ფართით 7200 კვ მ.

3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა 2006 წლის 1 აგვისტოდან 2007 წლის 1 აგვისტომდე.

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სათანადო ლიცენზიის მქონე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

5. მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ან სატენდერო წინადადება, მოთავსებული ერთ დახურულ პაკეტში 2006 წლის 19 ივლისიდან 20 ივლისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31, VII სართული. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის ადმინისტრაცია.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არქონის შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

ე) სასამართლოს დადგენილება ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ. წესდება (ასლი), ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის - დებულება ან წესდება (ასლი) დამტკიცებული ზემდგომი ორგანოს მიერ და რეგისტრირებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროში;

ვ) საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ზ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის და სანაციის საქმის წარმოება.

ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის მიმართ დავალიანების შესახებ;

დ) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

გარდა ამისა, საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურების შესახებ.
- მომსახურების გაწევისათვის საჭირო აღჭურვილობის დახასიათება.
- პერსონალი, რომელიც განახორციელებს ტენდერით გათვალისწინებული ობიექტების დაცვას, აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უნიფორმით, კავშირგაბმულობის საშუალებებით (რაციები, მობ. ტელეფონები). სასურველია უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ტრანსპორტით და რეგიონული ოფისით.
- მონაწილე იურიდიული პირის ხელმძღვანელი ზემოთ ჩამოთვლილ საკვალიფიკაციო მონაცემებსა და ინფორმაციაზე თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს, რომ იგი შეესაბამება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ყველა წინა საკვალიფიკაციო მოთხოვნას.

7. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი და ვადაგასული.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ განცხადების გამოქვეყნებიდან 2006 წლის 20 ივლისამდე, სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31. VII სართული. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის ადმინისტრაცია.

9. სატენდერო მოსაკრებელი (200 ლარი) გადარიცხული უნდა იქნეს: მიმღები ბანკი: ბაზის ბანკი ა/ა 134048; კოდი №220101956; საიდენტიფიკაციო კოდი №203925851.

10. პაკეტები გაიხსნება 2006 წლის 20 ივლისს 17 საათზე.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ფიქრია მეგრელიშვილი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი. საკონტაქტო ტელ.: 98-86-50; ნუგზარ ზეიკიძე - იურისტი. საკონტაქტო ტელ.: 98-86-90 ან (877) 422790. ფაქსი: 98-86-60.

მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №31. VII სართული. საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის ცენტრის ადმინისტრაცია.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს სახურავების შეკეთების და გადახურვის სამუშაოების შეძენაზე (5 ლოტი)

შესაკეთებელი ობიექტების ჩამონათვალი:

| ლოტი № | დასახელება | სამუშაოს ადგილი | სამუშაოს შესრულების სასურველი ვადები |
|---|---|---|---|
| 1 | ქ.ს "მენჯი" | ქ. სენაკი, ჯანაშიას №2 | 45 დღე |
| 2 | ქ/ს "ფერო" | ქ. ზესტაფონი, ფეროშენადნობთა ქარხანა | 45 დღე |
| 3 | ქ/ს "რუსთავი" | ქ. რუსთავი, მთა ჩამთა | 45 დღე |
| | ნავთლუღის ზეთის მეურნეობა | ქ. თბილისი, ნაკადულის №2 | |
| | ქ/ს "მარნეული" | ქ. მარნეული, იალღუჯას მთა | |
| 4 | ქ/ს "ლისი" | მცხეთის რ-ნი, სოფ. ლისი | 45 დღე |
| | ქ/ს "გლდანი" | ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, სამრეწველო ზონა | |
| | ქ/ს "ქსანი" | მცხეთის რ-ნი, სიფ ქსანი. | |
| 5 | ქ/ს "ჯუგაანი" | სიღნაღის რ-ნი, სოფ. ჯუგაანი | 30 დღე |

სამუშაოს შესრულების ვადაა აითვლება შემსყიდველის მიერ ობიექტზე დაშვების შემდგომ.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის ნომერი T-0606-G-0203 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 ივლისის 15:00 (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 21 ივლისის 15:00 (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0606 G 0203

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს სააკუმულატორო ბატარეების მონტაჟის შეძენაზე.

პრეტენდენტი ვალდებულია ჩაატაროს შემდეგი სამუშაოები:

- მოახდინოს სსე-ის თბილისის სასაწყობო მეურნეობიდან ცხრა კომპლექტი 6OPzS-300 ტიპის სააკუმულატორო ბატარეისა და ცხრა ცალი D400/G220/80BW ტიპის დამტენი მოწყობილობის ტრანსპორტირება და გადმოტვირთვა სსე-ის შემდეგ ქ/ს-ებზე "გლდანი 220", "დიდუბე 220", "ნავთლუღი 220", "ქსანი 500" 220კვ-ის მხარე, "მარნეული 220", "წყალტუბო 220", "დიდი ქუთაისი", "ზუგდიდი 220" და "ზესტაფონი-500".
- აღნიშნულ ქ/ს-ებში არსებული სააკუმულატორო ბატარეიების ("გლდანი 220" ნგპ-25, "დიდუბე 220" CK-8, "ნავთლუღი 220" CK-8, "ქსანი 500" 220კვ-ის მხარე ნგC-25, "მარნეული 220" 7-EAN 70, "წყალტუბო 220" CK-8, "დიდი ქუთაისი" CK-8, "ზუგდიდი 220" CK-5 და ზესტაფონი 500 CK-8 დემონტაჟი.
- ახალი სააკუმულატორო ბატარეიის მონტაჟი, ფორმირება და ექსპლუატაციაში შეყვანა.
- D400/G220/80BW ტიპის ცხრა ცალი დამტენი მოწყობილობის მონტაჟი, გაწყობა-გაშვება და ექსპლუატაციაში შეყვანა.
- ქვესადგურებში "დიდუბე-220", "ნავთლუღი-220, "წყალტუბო-220", "ქუთაისი-220", "ზუგდიდი-220" და "ზესტაფონი-220" დასაწყობდეს დემონტირებული ჟკ ტიპის სააკუმულატორო ბატარეები სსე-ს პერსონალის მიერ მითითებულ ადგილას ქვესადგურის ტერიტორიაზე და გაფორმდეს მირება ჩაბარების აქტი.
- ქვესადგურებში "ლისი-220", გლდანი-220", "მარნეული-220" და "ქსანი-220" მოახდინოს დემონტირებული სააკ. ბატარეების დასაწყობება სსე-ს ქ. თბილისის სასაწყობე მეურნეობაში(ქინძმარაულის ქ. N29) ქილების ჰერმეტიულობის დაცვით და გაფორმდეს მიღება ჩაბარების აქტი..

ასევე საჭიროა ჩატარდეს სააკუმულატორო ბატარეის სათავსო ოთახში სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც მითითებულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგ ქვესადგურებში:

**ლოტი N1**
**ქვესადგურები "გლდანი 220", "დიდუბე 220" " და "ქსანი 500" 220კვ-ის მხარე**

**ლოტი @N2**
**ქვეადგურები "ნავთლუღი 220" და "მარნეული 220"**

**ლოტი N3**
**ქვესადგურები "წყალტუბო 220", "დიდი ქუთაისი", "ზუგდიდი 220"**
**და "ზესტაფონი-500"**

თითოეულ ობიექტზე სამუშაოს შესრულების ვადაა მიმწოდებლის ობიექტზე დაშვებიდან 20 დღე.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის ნომერი T-0506-G-0188 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 21 ივლისის 17:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 21 ივლისის 17:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირთათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0506 G 0188

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ვახტან გორგასლის ხიდის, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის, თამარ მეფის ხიდის, მშრალი ხიდის, შალიკაშვილის სახელობის (დიღმის) ხიდის, გლდანის ხიდის სავალი ნაწილის მიმართულების მაჩვენებელი სანათების მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 6 პოზიციად (ლოტად):

1.პოზიცია (ლოტი) - ვახტან გორგასლის ხიდი;
2. პოზიცია (ლოტი) - ვახუშტი ბაგრატიონის ხიდი;
3. პოზიცია (ლოტი) - თამარ მეფის ხიდი;
4. პოზიცია (ლოტი) - მშრალი ხიდი;
5. პოზიცია (ლოტი) - შალიკაშვილის სახელობის (დიღმის) ხიდი;
6. პოზიცია (ლოტი) - გლდანის ხიდი;

**2.** სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე.

**3.** განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 24 ივლისის 12 საათიდან 24 ივლისის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**4.**პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ; ფიზიკური პირის შემთხვევაში ინფორმაცია ფიზიკური პირის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

**5.** თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

**6.**სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 3 ივლისის 12 საათიდან 2006 წლის 24 ივლისის 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**7.**ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

**8**.ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

**9**.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

# განცხადება

## სამოქალაქო რეესტრის აცხადებს ტენდერს საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკების შესყიდვაზე

**საქართველო, ქ. თბილისი ვანის ქ.N4.**
შესყიდვის ობიექტია:

| N | მისაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა ცალობით | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქართველოს მოქალაქის პასპორტის ბლანკი. | 500.000 | სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საწყობი, საქართველო, ქ. თბილისი, ვანის ქN4. | 2007 წლის 15 იანვრიდან 2008 წლის 31 იანვრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. |

პასპორტი უნდა შეესაბამებოდეს: **ICAO**-ს რეკომენდაციებს, დოკუმენტი **N** 9303, მესამე გამოცემა;

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიული წესით დამოწმებული თარგმანის დართვით) **არა უგვიანეს 2006 წ. 20 ივლისის 14 საათისა, მისამართზე: თბილისი (0146), ვანის ქ. N4, II სართული, შესყიდვების სამსახურის ოთახში ტელ. (+995 32) 34-07-01.** საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროდან, რომ მის ქონებზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

2. ცნობას სგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგნიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

3. ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არა არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

4. ცნობას იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ)

5. ცნობას სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული პოლიგრაფიული მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

7. საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

2. ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის მფლობელობაში არსებული პოლიგრაფიული მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი და მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

5. საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება დაიშვება შეფასებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1. წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ ალმოჩნდება ყალბი;

2. წარმოადგენს სატენდერო წინადადებას, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნათა დაცვით.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებელის 200 ლარის გადახდის შემდგომ, მისამართზე - სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, ქ. თბილისი, ვანის ქ.N4.

**2006 წლის 30 სექტემბრამდე წარმოდგენილი უნდა იყოს პასპორტის ბლანკის 6.000 ცალი ნიუმუში.**

**სატენდერო მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტებია:**

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო ინსპექცია ა/ა N200122900, ეროვნული ბანკი კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, ს/კ 206160606. აუცილებლად უნდა მიეთითოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტო, სატენდერო მოსაკრებელი (200 ლ.).

პრეტენდენტის სატენდერო წინადადებები უნდა შედგეს შესყიდვის ობიექტის მიხედვით. პრეტენდენტები წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით. ტენდერში გამოცხადდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება ერთდროულად, ერთი დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზაზა ჭაბუკიანს. ტელ: (+995 32) 34-07-01, 8 (95) 58-11-22 ვანის ქ. N4,

დამატებითი ინფორმაცია:

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება შემდეგი საკანონმდებლო აქტებით:

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ";

დებულება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ";

შესყიდვების პროცედურის განხორციელების დროს წარმოქმნილი პრეტენზიები გასაჩივრდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 23 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 33-37 ე მუხლებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის შპს "მუნიციპალური ავტოტრანსპორტის საწარმო" (ქ. თბილისი, გ.ცაბაძის ქ.N8, სს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) მოწყობილობა-დანადგარების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს და მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 4 ლოტად:

I ლოტი - 3 ცალი ავტოსარეცხი აპარატი;

II ლოტი-3 ცალი კომპრესორი, 100მ. მაღალი წნევის შლანგი;

III ლოტი- 3 ცალი უკამერო საბურავის დასაშლელი მოწყობილობა, ერთი ცალი-235/70 R17.5 და R16 ზომის საბურავებისათვის, ორი ცალი-275/70 და295/80 R22.5 ზომის საბურავებისათვის; 6 ცალი მექანიკური ამწე (დომკრატი).

IV ლოტი- 3 ცალი გენერატორი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის ვადაში. ტენდერში გამარჯვებულმა მოწყობილობა-დანადგარების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში შემდეგ მისამართებზე: ხევძმარის ქ. N1, ჟორესის ქ. N7 და სარაჯიშვილის ქ.N23.

3. ტენდერში მონაწილეობის მსურველი მოსაკრებლის 200ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ(სს საქართველოსბანკისცენტრალური ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 202207307 კოდი N220101502 ანგარიშის N400467860) ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღებას შეძლებს 2006Qწლის 1 ივლისის 10 საათიდან 20 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ცაბაძის ქ.N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი.

4. პრეტენდენტმა ტენდერში მონაწილეობის სურვილის განაცხადი უნდა წარმოადგინოს 2006 წლის 21 ივლისის 10 საათიდან, 24 ივლისის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ცაბაძის ქ. N8 VII სართული, სატენდერო კომისიის აპარატი. წარმოდგენილ განაცხადს თან უნდა ერთვოდეს დახურულ კონვერტში მოთავსებული სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (უცხო ენაზე წარმოდგენილს უნდა ერთვოდეს ქართულ ენაზე ნოტარიულიდ დამოწმებული თარგმანი) და საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი და 3 Aასლი).

5. პრეტენდენტების მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

5.1 იურიდიულ პირთათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების და რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) ცნობა, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

5.3 დამატებითი ინფორმაცია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიულ პირთათვის:

ა) ინფორმაცია პრეტენდენტის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

ბ) ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან)

6. ტენდერი ტარდება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის წევრებს: მ.ჭამპურიძე, ტელეფონი 95-17-46, მობ: 899 720-860; ზ.შენგელია, ტელეფონი 34-10-29 მობ: 899 909-303.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვაზე.**

**ლოტი N1**

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს, მდებარე ჯავახიშვილის ქ. N56ა, შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. ტერიტორიის ფართი -2 652 მ2**
**2. განაშენიანების ფართი - 444,10 მ2**
**3.სამშენებლო მოცულობა - 4 706,4 მ3**
**4. სამუშაო ფართი - 367,2 მ2**
**5. დამხმარე ფართი - 178,1 მ2**
**6. საერთო ფართი - 543,3 მ2**

**ლოტი N2**

ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს, მდებარე თავისუფლების ქ. N13, შენობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესყიდვა, რომლის ტ/ეკონომიკური მაჩვენებლებია:

**1. ტერიტორიის ფართი -936 მ2**
**2. განაშენიანების ფართი 352 მ2**
**3. სამშენებლო მოცულობა - 2 393 მ3**
**4. სამუშაო ფართი - 188,4 მ2**
**5. დამხმარე ფართი - 111,3 მ2**
**6. საერთო ფართი - 299,7 მ2**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 21 ივლისიდან 24 ივლისის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.)

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად.

ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში (2005) შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ ერთ მილიონ ლარს;

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

ტენდერში მონაწილეს მიერ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო დარგში მოღვაწეობის შესახებ მოქმედი ლიცენზია. ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

ფინანსური რესურსები (ბოლო ერთი წლის განმავლობაში, შესრულებული სამუშაოს ღირებულება უნდა შეადგენდეს მინიმუმ ერთ მილიონ ლარს;

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 20 ივლისის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

6. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 921189

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** შპს "თბილწყალკანალი" აცხადებს ღია ტენდერს **მაღალი გამავლობის (4X4), პიკაპის ტიპის მსუბუქი ავტომანქანების (ნამუშევარი)** შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის ძირითადი მახასიათებლებია:

**მაღალი გამავლობის (4X4), პიკაპის ტიპის მსუბუქი ავტომანქანები (10 ერთეული):**

- გამოშვების წელი: **არა ნაკლებ 1998**
- ძარის ტიპი: **პიკაპი, 2 კაბინიანი, ოთხკარიანი**
- ადგილების რაოდენობა: **4/5**
- საწვავის ტიპი: **დიზელი**
- ძრავის მოცულობა: **არა ნაკლებ - 2.400 სმ? და არა უმეტეს 3.000 სმ?**

- სიჩქარის გადამცემი კოლოფი: **მექანიკური ( 5 წინა, 1 უკანა)**
- საჭე: **ჰიდროგამაძლიერებლით**
- სამუხრუჭე სისტემა: **ABშ**
- ფერი: **თეთრი**
- **უსაფრთხოების ღვედები**
- **რადიო, მაგნიტოფონი,**
- **კონდიციონერი, გათბობა**

**2.** მიწოდების სასურველი ვადაა 5 კვირა. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. დასაშვებია, აგრეთვე ეტაპობრივი მოწოდება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 21 ივლისის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები: შპს "თბილწყალკანალი"
ს/კ: 203826002;
ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 220101502.

**5.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **24 ივლისის 10 სთ-დან - 15.00 სთ-მდე**, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**7.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან:

**ზურაბ ღონღაძე**, ტელ: 487140, ფაქსი; 932825 ელ.ფოსტა: **zgongadze@Tbilisiwater.com**, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, შპს "თბილწყალკანალი"-ს შესყიდვების სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" აცხადებს აუქციონს ავტომანქანების რეალიზაციის შესახებ

1. ავტომანქანა "შევროლე-ბლეიზერი" - ჯიპი. გამოშვების წელი 1995. დაზიანებული აქვს სიჩქარის კოლოფი. ბენზინის საწვავზე. ძრავა 4.2. კონდიციონერით, ელექტროპაკეტით, ავტომატიკა, ჰიდრავლიკით. ფასი 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარი);

2. ავტომანქანა "კია-კლარუსი". გამოშვების წელი 1998. კარგ მდგომარეობაში. ბენზინის საწვავზე. ძრავა 2.0. კონდიციონერით, ელექტროპაკეტით, ჰიდრავლიკით, მექანიკა. ფასი 2 500 (ორი ათას ხუთასი) აშშ დოლარი.

განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში.

კონკურენციის შემთხვევაში ჩატარდება აუქციონი. აუქციონის ჩატარების შემთხვევაში მსურველებს ეცნობებათ წინასწარ.

აღნიშნული ავტომანქანების დათვალიერება შესაძლებელია შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" ტერიტორიაზე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა).

მისამართი: თბილისი, 300 არაგველის №24.

საკონტაქტო ტელეფონებია:

899 97-88-18 გიორგი
899 48-60-06 ირაკლი
899 14-02-03 ივანე

# ჩიკაგო-თბილისი

## ბებერი ჯაზმენებისა და ლუიზიანელი ქალბატონების ელვარება

ია ვეკუა

ჩიკაგოს მტვრიან ქუჩაზე მდებარე ძველი ბარი სიგარის ბოლითა და ვისკის სურნელითაა გაჟღენთილი. მკრთალი შუქით განათებულ სცენაზე ოქროს სამკაულით დახუნძლული, თეთრთმიანი, სიბერისგან წელში მოხრილი ჯაზმენები გამოდიან, ინსტრუმენტებს მიუსხდებიან, თავს უკან გადააგდებენ, თვალებს დახუჭავენ და პატარა მრგვალი მაგიდებით გაჭედილ დარბაზში მუსიკის ინექციას უშვებენ...

დაახლოებით ასეთი კადრების ნახვის საშუალება ჰქონდა „კოკაკოლას თბილისის ჯაზფესტივალის“ ყველაზე „გემრიელი ლუკმის“ - ფრედი კოლის კვარტეტისა და სამი ბლუზ-ლედის ფოიერვერკული გამოსვლის მაყურებელს. ვინც „ჯემიროქუაის“ რიტმებზე ვერ იფრინა, მაგრამ ფესტივალის ბოლო კონცერტზე მოახერხა წასვლა, ჯეი კეის დარდი აუცილებლად გაუნელდებოდა, რადგან ფრედი კოლის წმინდა ჯაზი დანაკარგის საუკეთესო სამკურნალო საშუალება აღმოჩნდა.

ფრედი კოლი ბებერი ჯაზმენია, მრავალი წლის განმავლობაში ფორტეპიანოსთან ჯდომისგან წელში მოხრილი. ხმაც ტიპური ჯაზური აქვს, ოდნავ ხრინწიანი, თბილი და გაბზარული. უყვარს ბავშვები - სახეც კეთილ ბაბუას მიუგავს და აშკარად არ უყვარს თავისი გვარი, რომელიც მსოფლიოში ცნობილ ნეტ კინგ კოლთან და ნატალი კოლთან ნათესაობას ახსენებს. მათზე საუბარს გაურბის, თუმცა ჟურნალისტების კითხვაზე პასუხის გაცემა მაინც უწევს: „ნეტი ჩემი ძმა იყო და ამით ყველაფერი ნათქვამია. ის აშკარად ლეგენდაა, ფანტასტიკური პიროვნება იყო. ნატალი კი ჩემი ძმისშვილია... თავის საქმეს კარგად აკეთებს, ვამაყობ მისით. რამდენიმე კვირის წინ ტელეფონით ვესაუბრე“.

ფრედი კოლი თავის ოჯახზე საუბარს აქ ამთავრებს, თუმცა კონცერტზე კიდევ ერთხელ უწევს ყველაფრის გახსენება, როდესაც ლამის კოლების საგვარეულო ჰიტად ქცეული Unforgetteble შეასრულა, შემდეგ კი ის კომპოზიცია, რომელშიც სიმღერით ითხოვს, ნუ გააიგივებენ ძმასთან, რადგან ის სულ სხვა კოლია.

„ჩემს ცხოვრებაში მუსიკა რომ არ ყოფილიყო, ვერც კი წარმომიდგენია, ვინ გამოვიდოდი. ახალგაზრდობაში ამერიკულ ფეხბურთს ვთამაშობდი, მიყვარს გოლფიც, თუმცა მუსიკას ვერაფერი შეედრება“, - ამბობს ფრედი კოლი, ჩვენ კი ვპასუხობთ, რომ მის მუსიკას ვერ შეედრება ვერაფერი. მით უმეტეს, ჰერბი ჰენკოკის კონცერტის შემდეგ, რომლის მიერ დატოვებული მცირედი ნაკლებობის შევსება საუკეთესოდ შეძლო კეთილმა ბაბუამ ფრედი კოლმა.

1951 წლიდან ნიუ იორკის ჯულიარდის ხელოვნების სკოლაში სწავლობდა. მისი თქმით, სწორედ ამ პერიოდში მოისმინა ჯონ ლუისის, ოსკარ პიტერსონის, ტედი უილსონისა და სხვათა მუსიკა და მათი გავლენის ქვეშაც მოექცა. „ისინი დიდი მუსიკოსები იყვნენ. მაგალითად, ოსკარ პიტერსონი - შეუძლებელი იყო, მისი გავლენა არ გეგრძნო. ეს ჩემს შემოქმედებაშიც ჩანს და ჰერბი ჰენკოკთანაც. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ის გენიალური მუსიკოსია. ვფიქრობ, ჯაზის მომდევნო ლეგენდა სწორედ ის გახდება.“

მანამდე კი ფრედი კოლი საკუთარ ლეგენდას ქმნის გიტარისტ ჯერი ბერდისთან, დრამერ კერტის ბიოდთან და ბასისტ ელიას ბეილისთან ერთად. ეს უკანასკნელი თეთრკანიანი ახალგაზრდა სათვალიანი ყმაწვილია, რომელიც თავადვე გრძნობს, რომ ამ ბებერი ჩიკაგოელების გვერდით კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა ალბათ ძალიან იშვიათია ასეთი ემოციური მუსიკოსი - კონტრაბასს იხუტებს და ვიდრე უკანასკნელ ბგერას არ ამოაღებინებს, გულიდან არ იცილებს.



ფრედი კოლისა და მისი ბებრების ჯაზი ფესტივალის ბოლო დღის მეორე ნაწილი იყო. მანამდე თბილისის ბიგ ბენდი, მაია ბარათაშვილი და 14 წლის საქსოფონისტი ნანუკა ბითაძე ქართული ჯაზის წარდგენით იყვნენ დაკავებულნი. ბიგ ბენდს მომავალ წელს ათი წელი შეუსრულდება, ამიტომ იუბილესთვის განსაკუთრებული მზადება აქვთ. წელს კი გივი გაჩეჩილაძის შეგირდებს კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარებამ მოუწიათ - აკომპანემენტი გაუწიეს არა მხოლოდ ამ ფესტივალის, არამედ საქართველოს ყველა სტუმარს შორის ყველაზე ეგზოტიკურ სტუმრებს - The Three Ladies Of Blues.

„ისინი მღერიან სწორედ ისე, როგორც გამოიყურებიან“, - „ისტერნ პრომოუშენისთვის“ ეს მოკლე დახასიათება საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ სრულიად უმართავი, ბუმბულებით შემკული და ჩვენთვის უჩვეულოდ თამამი მოელვარე სამი ქალი თბილისის ჯაზფესტივალის ჩაროზად ქცეულიყვნენ.

სამი ლუიზიანელი ქალბატონი - ამ ადგილებისთვის ასე ნაცნობი ვუდუს ქურუმებივით მორთულ-მოკაზმულები, თბილისში საკუთარ ბენდთან ერთად ჩამოვიდა. მათი ბენდის მუსიკოსებიც დაახლოებით იმავე ვიზუალური მახასიათებლებით გამოირჩეოდნენ, როგორითაც ფრედი კოლი და მისი თანმხლები ბებრები. თუმცა ბუმბულებიანი ქალები უკონკურენტონი იყვნენ სცენაზეც და დარბაზშიც.

მათი გამოსვლა ძველი ისტორიების გახსენების ფონზე მიმდინარეობდა. ხან უიღბლო სიყვარულით გატანჯულებზე ჰყვებოდნენ, ხანაც მსუბუქი ყოფაქცევის ქალებზე. რომლებსაც მამაკაცები კი არ უყვართ, არამედ ძალიან უყვართ. ბლუზის, გოსპელისა და ჯაზის სინთეზირებით ამღერებული ქალები თითქმის საათნახევრის განმავლობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ხმების დიაპაზონისა და სითამამის დემონსტრირებაში.

„აბა, დარბაზში მსხდომი ყველა ქალი ფეხზე ადექით, მარჯვენა ხელი საჯდომზე დაიდეთ და უკანალები გააქნიეთ! კაცებმა კი დამანახეთ, სად მალავთ მამაკაცურ ღირსებას!“ - ქალების ამ მოწოდებას ქართული (კავკასიური) პუბლიკა მხოლოდ ოვაციით ხვდება, უკანალის ქნევას და ღირსების დემონსტრირებას კი არავინ აპირებს...

„ისტერნ პრომოუშენმა“ თბილისის ჯაზფესტივალის მეათე, საიუბილეო გამოშვება ნამდვილ დღესასწაულად აქცია. თუმცა სადღესასწაულო „სუფრა“ ლუიზიანელი ქალების ელვარებით არ დასრულებულა. 26 სექტემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრში კიდევ ორი ლეგენდა გაიელვებს - ჩიკ კორეა და ჰარი ბარდონი 35 წლის წინ ჩაწერილი ერთობლივი ალბომის საიუბილეო კონცერტს შემოგვთავაზებენ.


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს " საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის " მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამოცხადებულ ტენდერებზე ხელშეკრულებები გაფორმდა:

1. ტენდერზე "კაბელების შესყიდვა" ( T-0306-G-0160 )
ლოტი N1-ის და ლოტი N2-ის მიხედვით - შპს " გეო ინვესტ გრუპთან"
2. ტენდერზე "ღობე-კონსტრუქციების შესყიდვა" ( T-0306-G-0156 )
- შპს "კონსტრუქციასთან"
3. ტენდერზე " ინდუსტრიული ზეთების შესყიდვა" ( T-0306-G-0162 )
ლოტი N3-ის მიხედვით შპს "მეგი და კომპანიასთან"
4. ტენდერზე "ავტონაწილების შესყიდვა" ( T-0306-G-0167)
ლოტი N1-ის და ლოტი N2-ის მიხედვით -შპს "თეგეტა მოტორსთან".

"საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სატენდერო კომისია გაცნობებთ, რომ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების შესყიდვის მიზნით ა. წ. 20 ივნისის გაზეთ "24 საათში" (N135) გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, განცხადების მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

"2. შესყიდვის ობიექტია: ანტირაბიული ვაქცინა კონცენტრირებული, კულტურალური - 55 000 კომპლექტი.

3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. ამასთან, **17 500 კომპლექტი** მოწოდებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 2006 წლის 21 ივლისისა. მიწოდება უნდა განხორციელდეს პირობით:**LINCOTERMS**-2000, **DDP** - თბილისი, უზნაძის ქ. N76/1."

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საქართველოს**
**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს**
**არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსს**
**შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე**

**საოლქო საარჩევნო კომისია:**

| N | საოლქო საარჩევნო კომისიის N და დასახელება | საოლქო საარჩევნო კომისიებში არსებული ვაკანსიები | თანამდებობრივი განაკვეთი |
|---|---|---|---|
| 1. | N79 ბათუმი | 1 წევრი | 250 ლარი |

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის 3 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. N29, III სართული, ოთახი N327.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: **98-70-12, 98-70-13.**

## განცხადება საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ

სააქციო საზოგადოება "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი აცხადებს საჯარო აუქციონს ბანკის საკუთრებაში არსებულ კომპიუტერულ ტექნიკაზე, საკომუნიკაციო მოწყობილობებზე, საოფისე ავეჯზე და ბანკის სხვა ძირითად საშუალებებზე.

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 12 ივლისს 12 საათზე ქ. თბილისში, დოლიძის ქ. №2, სს "ქართული ბანკის" შენობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 44-24-16, 33-04-22, 899 51-13-82.

**სს "ქართული ბანკის" ლიკვიდატორი**

## განცხადება ცვლილების შესახებ

2006 წლის 28 ივნისს შპს "საქაერონავიგაცია"-მ გამოაცხადა ტენდერი არსებული სცენარის მიხედვით სარეკლამო რგოლების (20-წამიანი, 40-წამიანი, 1-წუთიანი) დამზადების (გადაღების) და ტელე და რადიო ეთერში განთავსების მიზნით. განცხადების მე-3 და მე-4 პუნქტებში პირველადი სატენდერო დოკუმენტაციის გატანისა და პირველადი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადად მითითებული უნდა იყოს 20 ივლისის 17:00 სთ-მდე, ნაცვლად 14 ივლისის 17:00 საათისა.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

წალკის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ტენდერს წალკის რაიონში მდებარე შემდეგი სკოლების კაპიტალური შეკეთებისათვის:
1 ლოტი: სოფ. ბაშქოის სკოლის შენობა
2 ლოტი: სოფ. ჯინისის სკოლის შენობა
3 ლოტი: სოფ. წინწყაროს სკოლის შენობა.
მიწოდების საბოლო ვადაა მიმდინარე წლის 28 აგვისტო.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 20 ივლისიდან 24 ივლისის 18 საათამდე წალკის რაიონის გამგეობაში შემდეგ მისამართზე: ქ. წალკა არისტოტელეს ქ. №22.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
1. იურიდიული პირისათვის:
ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (სასამართლო);
ბ) ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე (შსს);
გ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის დავალიანების არქონის შესახებ.
2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას, რომ სასამართლოს მიერ მის მიმართ მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (სასამართლო);
ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის დგანმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე (შსს).
3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე (სასამართლო).

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანიც ალბი აღმოჩნდება.

პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდეგ (სს "სახალხო ბანკის" წალკის ფილიალი, ანგარიშის № 200122900, კოდი № 200101407) მას გადაეცემა სატენდერო დოკუმენტაცია.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. წალკა არისტოტელეს ქ. №22. ტელ.: 877 72-61-16, 899 67-05-44.

## გამაჯანსაღებელი ცენტრი
ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ “STARMASTER”-ის და “NAUTILUS”-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge





## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ “ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

**2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:**
**- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით**

**(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)**
**- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა**
**- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები**
**- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები**
**- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა**
**- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა**
**- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება**
**- სარძევე ჯირკვლის აწევა**
**- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)**
**- შუბლის დაჭიმვა**
**- დაკიდებული მუცლის პლასტიკა**
**- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)**
**+ ლიპოსაქცია**
**- ტუჩების გადიდება**
**- კანის ნაოჭების კორექცია**
**- ნიკაპის გადიდება პროთეზით**
**- სახის დაჭიმვა**
**- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)**
**- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით**

**ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე:** 893 60 30 06
893 65 38 39

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №11
1-2 ივლისი, 2006




## ალფრედო კანამელა - ცრუ პაპარაცი

2

### გულახდილად 4



ლენინი - პოლონეთშია

### დედაქალაქი 8



- ჰეი, მოიცალე ლექსისთვის!..

### შვიდნახადი 10



ვარდების ომის გმირი

# ალფრედო კანამელა - ცრუ პაპარაცი

**ნესტან ნიჟარაძე**

ხელზე - ერთი ავღანური ამეთვისტოთი, ორი ძველი სპარსული, მარჯნით და ფირუზით, ორიც ვერცხლის ინდური ბეჭედი. მეექვსე, პატარა, ნეკა თითზე უკვე დიდი ხანია უკეთია. არასდროს იხსნის. ყელზე მძივები, მოკლე და გრძელი, ტიბეტური. მაჯაზე სამაჯურები, რამდენიმე, ბევრი, ასევე ტიბეტური. გადაპარსული თავი და ოდნავ დამუქებული სათვალე. ერთი საყურე. მის ჩანთაში ორი ნიკონის აპარატი, სამი დიდი ობიექტივი და ერთი პორტატული კომპიუტერია. ჩანთა დაახლოებით ათ კილოგრამს იწონის. შეიძლება თხუთმეტსაც. ერთი სიტყვით, მძიმეა. ამ ყველაფერს ერთად და, ცალ-ცალკე, ფოტოგრაფი **ალფრედო კანამელა** ჰქვია. იგი 43 წლის არის, სიცილიელი ემიგრანტების შვილიშვილია და უკვე 11 წელია, კანის კინოფესტივალის ფოტოგრაფია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველ წელს, მაისის თვეში, საფესტივალო 12 დღის განმავლობაში, დილიდან "შლოპანცებში" და ბევრჯიბეებიან შარვალში, საღამოს ექვსი საათის შემდეგ კი შავ სმოკინგში, შავ შარვალში და ასეთივე შავ პერანგში გამოწყობილი, ალფრედო კანამელა კანის ფესტივალზე აკრედიტირებულ სხვა ორას ფოტოგრაფთან ერთად, ფესტივალების სასახლის წითელ ხალიჩაზე მსოფლიო კინოსამყაროს და შოუბიზნესის ყველაზე, ყველაზე, ყველაზე მნიშვნელოვან და ხანდახან ლამაზ ადამიანებზე "ნადირობს". მათ "შენობით" მიმართავს, ბევრს აცინებს გადაღების დროს და თვითონაც ამდენივეს იცინის. და ამ ყველაფერს იგი განუყრელი ფოტოაპარატებით, ბეჭდებით, სამაჯურებით და მძივებით შეიარაღებული აკეთებს.



ალფრედო კანამელა. კანის ფესტივალი 2006.

## ფოტოგრაფის ყვირილი

პირველი, რასაც იგი ამბობს, რიგითი გადაღების შემდეგ დაღლილი, კანის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სასტუმროს "მაჟესტიკის" ტერასაზე ცივი შამპანიურის ჭიქით ხელში, ის არის, რომ კანის ფესტივალის ფოტოგრაფობა "ძალიან, ძალიან, ძალიან" დამღლელი და მძიმე საქმეა. წითელ ხალიჩაზე ვარსკვლავების საზეიმო ასვლას ორასი ფოტოგრაფი იღებს.

**"თითოეული ცდილობს, რომ რაიმე განსაკუთრებული გადაიღოს. ამიტომ ყველა თავისი კადრისთვის იბრძვის, ამა თუ იმ ვარსკვლავის მზერა რომ მიიქციოს, დაიჭიროს მხოლოდ მისი ობიექტივისთვის განკუთვნილი ღიმილი. მხოლოდ მაშინ ხდება ფოტო ექსკლუზიური; ამიტომაც ვყვირით, ვეჭიდავებით ერთმანეთს. და ეს ყოველ საღამოს ხდება."**

ყვირილით ფოტოგრაფები კანის ფესტივალზე მართლაც ძალიან ბევრს ყვირიან. ყვირიან საღამოს წითელ ხალიჩაზე და დილითაც, ე.წ. "photocall"-ზე. "Photocall" კი სხვა არაფერია, თუ არა სპეციალური სეანსი, სადაც თავს იყრიან ფოტოგრაფები გადაღებისთვის და ვარსკვლავები პოზირებისთვის. თუ გინდა, ფოტო გადაიღო, უნდა იყვირო. ოღონდ ხმამაღლა, ძალიან ხმამაღლა. აი ასე მაგალითად: ჰეი, ბრედ პიტ, შემომხედეეეე! რაც უფრო ხმამაღლა ყვირის ფოტოგრაფი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ბრედ პიტი ან პედრო ალმოდოვარი ან მონიკა ბელუჩი სწორედ მას შეხედავს. ამიტომაც ყვირიან ფოტოგრაფები. ვარსკვლავები კი იღიმებიან. აი ისე, როგორც ეს ვარსკვლავებს სჩვევიათ ხოლმე.

სხვებთან ერთად ყვირის ალფრედო კანამელაც. და იმასაც იხსენებს, რომ გამოუცდელობის ჟამს ანუ, პირველად რომ ჩამოვიდა სამუშაოდ ფესტივალზე, იმდენი იყვირა, რომ ხმა დაკარგა. ფესტივალის ბოლომდე ჩუმად იყო - ვეღარც ყვიროდა და ვეღარც ლაპარაკობდა; თუმცა ფოტოები მაინც გადაიღო. ასევე უხმოდ დაბრუნდა შემდეგ პარიზში. მას შემდეგ ნელ-ნელა ძალების და ხმის იოგების დაზოგვა ისწავლა. ამიტომ, ყვირილით ისევ ყვირის - მხოლოდ ახლა უკვე რაციონალურად. ისწავლა ისიც, რომ ყოველ საღამოს ფესტივალის მსვლელობის დროს, გადაღების შემდეგ ყვირილით გადაღლილ ხმის იოგებს, წამალზე უკეთ ცივი შამპანიური აამებს.

**"აი აქ, მაგალითად, "მაჟესტიკის" ტერასაზე, ერთი ჭიქა"დონ პერინიონი" ან "მოეტი და შანდონი" უცბად დაგავიწყებთ ტკივილს ყელის არეში. მითუმეტეს, თუ თქვენს მეზობელ მაგიდასთან, მონიკა ბელუჩი მიირთმევს იგივე შამპანიურს და ნაზად გიღიმით ობიექტივში, ისე რომ, თქვენ ყვირილიც კი არ გჭირდებათ."**

## ფოტოგრაფის ყველაზე ლამაზი ქალი

**"ყველა ფოტოგრაფს კანის ფესტივალზე თავისი ფავორიტი ჰყავს, ანუ თავისი პატარა სისუსტე აქვს," - ამბობს ალფრედო კანამელა. "ჩემი სისუსტე მონიკა ბელუჩია".**

იხსენებს იმასაც, რომ რამდენიმე წლის წინ, კანში, ასევე ფესტივალის დროს, ქუჩაში მას შემთხვევით სასტუმრო "ჰილტონთან" შეხვდა. "იგი დაცვის გარეშე იყო და მანქანას ელოდებოდა. ვერ მოვითმინე, მივედი და უბრალოდ გამოველაპარაკე. ვისაუბრეთ ფესტივალის საკონკურსო ფილმებზე, ზოგადად კინოზე და კიდევ..." და კიდევ ალფრედო კანამელამ მონიკა ბელუჩის ისიც უთხრა, რომ იგი მსოფლიოს ულმაზესი ქალია. იტალიელ დივას კანამელას სუბიექტურობა არ გაუპროტესტებია. უბრალოდ, დაეთანხმა და გაუღიმა. მას შემდეგ, ყოველ წელს, როდესაც მონიკა ბელუჩი კანის ფესტივალს სტუმრობს და მისთვის ჩვეული პომპეზურებით ფესტივალის წითელ ხალიჩაზე იწყებს ასვლას, ნიკონის აპარატებით შეიარაღებული ალფრედო კანამელა მას იტალიურად ერთი და იგივე ფრაზას უყვირის: "მსოფლიოს ულამაზესი ქალი მონიკა ბელუ-




ალფრედო კანამელა წითელ ხალიჩაზე. კანის ფესტივალი 2006.





ნესტან ნიყარაძის ფოტო

სასტუმრო "მაჟესტიკი". კანი 2006.

ჩია". წარმოშობით იტალიელ ფოტოგრაფს, ალფრედო კანამელას, ამ ფრაზის გაჟღერების პატივი წელსაც ერგო, რადგან მონიკა ბელუჩი 2006 წლის ფესტივალის ჟიურის ერთ-ერთი საპატიო წევრი გახლდათ. ამასთან დაკავშირებით, იტალიელი ემიგრანტების შთამომავალი, საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი ალფრედო კანამელა სიცილიელ ბებია ჯაკომინასაც იხსენებს. "როდესაც შუადღეზე, პამიდვრის და ზეთის ხილის სალათს მიმზადებდა, ჯაკომინა მხოლოდ იტალიურად მელაპარაკებოდა. რას იფიქრებდა მაშინ, რომ მე მისი ნასწავლი იტალიურით მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალს დაველაპარაკებოდი.." სიცილიელ ბებიას ამის წარმოდგენა მართლაც გაუჭირდებოდა.

## ფოტოგრაფის ნოსტალგია

პირველად კანის ფესტივალზე ალფრედო კანამელა 11 წლის წინ ჩავიდა. როგორც თვითონ ამბობს: "ისე უბრალოდ, სასეირნოდ და გასართობად. მინდოდა მენახა, რა იყო ეს ცნობილი კანის ფესტივალი." იმ დროს იგი ახალი დაბრუნებული იყო ინგლისიდან, სადაც ათი წელი იცხოვრა და იმუშავა. მუშაობდა დამოუკიდებლად და ასისტენტადაც დიდ ფოტოგრაფებთან სტუდიურ გადაღებებზე. ფოტოგრაფობა კი ოციოდე წლის წინ მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ თავისი შეყვარებულის ბევრი ფოტო გაეკეთებინა. იყიდა პატარა აპარატი, თვითონ ისაწავლა გადაღება და იმ შეყვარებულ გოგოსაც ბევრი ფოტოები გადაუღო. მერე გოგოს დაშორდა, მაგრამ ფოტოგრაფიაზე უარი არ თქვა. ვერ თქვა.

მისი სისუსტე, როგორც თავად აღიარებს, ყოველთვის იყო ცნობილი ადამიანების, ანუ უბრალოდ ვარსკვალავების, ან როგორც მათ ფოტოგრაფები უწოდებენ "people"-ის (ინგლისურიდან: ხალხი) გადაღება. პაპარაცი? "არა, ნამდვილი პაპარაცი ვერასდროს გავხდებოდი. ძალიან მორიდებული ვარ ბუნებით. კანის ფესტივალზე მუშაობა კი სწორედ იმით მხიბლავს, რომ აქ არ არის აუცილებელი, იყო პაპარაცი, რომ დიდი ვარსკვლავი "მოინადირო". ყველა ხელის გულზე გყავს.." თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ წინა წლებში კანის ფესტივალი გაცილებით უფრო ნაკლებად სნობური და რეგლამენტირებული იყო, - ამბობს კანამელა. ფესტივალის სტუმრების ნახვა, დაცვის გარეშე თავისუფლად იყო შესაძლებელი ქუჩაში ან სადმე სხვაგან. ფოტოგრაფებსაც მეტი თავისუფლება ჰქონდათ. და საერთო ამბიანსიც შესაბამისად, უფრო სასიამოვნო იყო. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ისიც კი იყო შესაძლებელი, რომ ჟიურის პრეზიდენტი ქვენტინ ტარანტინო დღისით პორტის იტალიურ რესტორანში გენახათ, სადაც იგი ყოველ დღე დადიოდა პიცის საჭმელად, ბუნებრივია დაცვის და რაციების გარეშე. წითელ ხალიჩაზე კი ფოტოგრაფებისთვის გამოყოფილ პოდიუმზე, იმ დროს როდესაც ალფრედო კანამელამ ფესტივალზე მუშაობა დაიწყო, თითქმის ყველა მსურველს შეეძლო ასვლა და ფოტოს გადაღება. ახლა ეს გამორიცხულია. კონკურენცია ძალიან გამძაფრდა. ყველაზე კარგი ადგილები, ბარიერებით შემოღობილ და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ წითელ ხალიჩაზე, დიდი ფოტოსააგენტოების (როგორებიც არის სიპა, გამა, როიტერი) ფოტოგრაფებს ეთმობათ. ყველა ფოტოგრაფს თავისი ნომერი და პოზიცია აქვს. საღამოს 6 საათის შემდეგ ფოტოგრაფებს შავი სმოკინგის და ფოტოაპარატურის გულმოდგინედ შემოწმების გარეშე აღარ უშვებენ. "ამ წლების მანძილზე კანში ბევრი რამ შეიცვალა. ფესტივალი კარგავს თავის პირვანდელ მომხიბლაობას და ახალ, სნობურ ხიბლს იძენს," - ამბობს ღიმილით ალფრედ კანამელა. ხოლო შეკითხვაზე, რა სჭირდება ფოტოგრაფს, რომ კანის ფესტივალის აკრედიტაცია მიიღოს, იგი ღიმილით ამბობს: **"ფოტოგრაფი უნდა იყოს მომხიბლავი, ჭკვიანი, ჰქონდეს იუმორი და რაც ყველაზე მთავარია, მას რამდენიმე ძალიან დიდი აპარატი უნდა ჰქონდეს.."**

## ფოტოგრაფი და ვარსკვლავები

"სინამდვილეში კანის ფესტივალი ერთი დიდი დეკორაციაა, რომელიც შორიდან ძალიან ბრჭყვინავს. მეგავარსკვლავებთან სიახლოვე მათი ხელმისაწვდომობის შთბეჭდილებას ქმნის. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა."

თუმცა ისეც ხდება, რომ წლების მანძილზე ფოტოგრაფებს და კინოვარსკვლავებს შორის ნამდვილი ურთიერთობა ყალიბდება და როგორც ფესტივალის ყველა ფოტოგრაფი და, მათ შორის, ალფრედო კანამელაც აღიარებს, ყველაზე დიდი შიკი ფესტივალის ფოტოგრაფებს შორის ის არის, რომ ესა თუ ის ვარსკვლავი წითელ ხალიჩაზე საზეიმო ასვლისას უახლოვდება თავის ნაცნობ ფოტოგრაფს, საგანგებოდ ესალმება მას და სპეციალურად და მხოლოდ მისთვის პოზირებს. ამ დროს ფოტოგრაფი ბედნიერია. სხვა ფოტოგრაფებს კი, უბრალოდ, შურთ. უფრო სწორად კი, შურთ და ისე იღებენ.

თითოეული ფოტოგრაფი, რომელიც ფესტივალის 12 დღის განმავლობაში საღამოს წითელ ხალიჩაზე და დღისით "photocall "-ზე მუშაობს, დღის განმავლობაში 300-400 კადრს იღებს. ბევრია, მაგრამ საჭიროა. "ეს ციფრული ტექნიკის გამოყენებამ გახადა შესაძლებელი, - განმარტავს ალფრედო კანამელა, - როდესაც ფირზე ვმუშაობდით, ამდენს ნამდვილად ვერ ვიღებდით." გადაღების შემდეგ ფოტოგრაფები მასალის დამუშავებას იწყებენ და თავიანთ სააგენტოებს შეძლებისდაგვარად სწრაფად უგზავნიან, რადგან კონკურენცია დიდია და ყველაფერი დასწრებაზეა. სააგენტოები კი, თავის მხრივ, ახალ ფოტოებს სხვადასხვა გამოცემებს სთავაზობენ. იგივეს აკეთებს ალფრედო კანამელაც თავისი ახალი სააგენტოსთვის "Spreadimages", რომლისთვისაც უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მუშაობს. და კმაყოფილია.

## ფოტოგრაფის არდადეგები

**"კანის ფესტივალი ძალიან დამღლელია, მაგრამ ნარკოტიკივით არის. ერთხელ თუ გაუგე გემო, ძალიან რთულია მერე თავის დანებება. ამიტომ, ფოტოგრაფების უმრავლესობა, ფესტივალზე უკვე მრავალი წლის მანძილზე მუშაობს," - ამბობს ალფრედო კანამელა.** ვერც იგი დაუსხლტა ფესტივალის "ნარკოტიკულ" ზემოქმდებას და მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოვიდა კანში, ყოველ წელს, უკვე 11 წელია ერთგულად დგას ფოტოგრაფების მრავალრიცხოვან არმიაში. ცდილობს, არ აჰყვეს ფიზიკურ დაღლილობას, და ფესტივალის დაძაბული სამუშაო დღეები არდადეგებად აქციოს. გადაღებებს შორის დადის საბანაოდ ლამაზ და ძალიან ლურჯ ხმელთაშუა ზღვაში, ირუჯება როგორც ყველა ან თითქმის ყველა ცნობილი ვარსკვლავი და კანში ჩამოსული დამსვენებელი, საღამოს "მაჟესტიკის" ტერასაზე მიირთმევს ცივ შამპანურს და ძალიან დიდი მონდომებით, დღისით ნანახი მონიკა ბელუჩის მომხიბლავ ფორმებზე საუბრობს. ფესტივალის დასრულებისთანავე კი იქვე, კანის მახლობლად, მეორე ძალიან ფეშენებელურ კურორტზე სენ-ტროპეში მიემგზავრება ორი თვით. სწორედ სენ-ტროპეში გრძელდება ხოლმე კანში დაწყებული "არდადეგები" არამხოლოდ ფოტოგრაფებისთვის, არამედ ფესტივალის ძალიან საპატიო სტუმრებისთვისაც. ამიტომ "ცნობილ სახეებზე" მონადირე ფოტოგრაფი ალფრედო კანამელა, ვერასდროს ისვენებს სენ-ტროპეში - იქ ძალიან ბევრი ცნობილი სახე იყრის თავს ზაფხულში. "ცრუ პაპარაცის" არდადეგები დაძაბული მუშაობის თანხლებით გრძელდება.



ალფრედო კანამელას ფოტო

ნესტან ნიყარაძე - პაპარაცის ბოლო კადრი. ინტერვიუ დასრულდა. კანი 2006.



# სამართლის მოლოდინში

არც "თანასწორობის", არც "თავისუფლების" და არც რომელიმე სხვა ინსტიტუტისა თუ ორგანიზაციის წარმომადგენელი, არამედ ერთი რიგითი მოქალაქე ვარ, რომელმაც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის თანმყოლი, ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ცინიზმი აშკარად შევიგრძენი. საკმარისია!

მთელი ქართული საზოგადოება ამ საზარელი მკვლელობის სასამართლო პროცესს თვალყურს ადევნებს და იმედს არ კარგავს, რომ ამჯერად თემიდა მართლაც თვალახვეული, სამართლიანი, ობიექტური, უკომპრომისო იქნება. საზოგადოებას ჯერ კიდევ იმედი აქვს, რომ განურჩევლად ყველა მოწმე დაიკითხება, ყველა მკვლელი და დამკვეთი გამოვლინდება, დაუნდობლად, სამაგალითოდ დაისჯება, სიმართლე, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ხმამაღლა ითქმება და სასამართლოს დასრულების შემდეგ პასუხგაუცემელი შეკითხვები და შეურაცხყოფის, აბუჩად აგდების, დაცინვისა და იგნორირების შეგრძნება აღარავის გვექნება. ჩვენ, ყველანი ერთად, სამართალს ველით.

დიდი იმედის ეს პატარა წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც ირაკლი კაკაბაძის დაპატიმრება გავიგე. ალბათ ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში პროტესტის ამგვარი, ზოგჯერ მართლაც გადაჭარბებული, ზრდილობის ზღვარს გადასული ფორმა ისჯება, მაგრამ საქართველოში, სადაც გირგვლიანის სადისტური მკვლელობის გამო დღეს ოთხი ოფიცერია დაჭერილი და ერთ კომფორტაბელურ საკანში სხედან; სადაც მკვლელობის სავარაუდო დამკვეთებად კიდევ უფრო მაღალჩინოსნები მოიაზრებიან; სადაც მკვლელობა საჯარიმოდან უკანონოდ გამოყვანილი, დალუქული მანქანებით ხდება; სადაც თვეების განმავლობაში გამოძიების მიზანმიმართული აბნევა მიმდინარეობს; სადაც მოწმეებზე გამოძიების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება; სადაც თანამდებობიდან გათავისუფლებული ჩინოსნები დეფაქტო მოხსნილები არ არიან; სადაც პასუხი ყველას ორმაგი სტანდარტით მოეთხოვება და სადაც ეს ყველაფერი პირადად მინისტრის სუბიექტურობის ფონზე მიმდინარეობს, ირაკლი კაკაბაძის დაკავება ან მორიგ სულელურ შეცდომად, ან რიგით თავხედობად აღიქმება. უკანონობების ოდენობით გამორჩეულ გირგვლიანის მთელ საქმეში მხოლოდ პროტესტის გამომხატველ კაკაბაძეზე გაახსენდათ კანონი? თუ კანონია, ბოლომდე კანონი იყოს! კი ბატონო, კაკაბაძეც ოცდაათი დღე დააკავონ და სავარაუდო მკვლელებიც, დამკვეთებიც, ნება იბოძონ და, საზოგადოებას მრავალი წლით ჩამოგვაშორონ.

# "ლენინი პოლონეთშია"



*ლენინი პარიზელი ქალბატონების გარემოცვაში. ლენინიც კრუპსკაიას ღალატობდა, "ჯეოსელი" კი არასდროს გიღალატებთ.*

როდესაც რამდენიმე წლის წინ მობილური ტელეფონი პირველად ვიყიდე და ნომერი უნდა ამელო, ჩემი არჩევანი ერთმა მარტივმა, სასაცილო და შეიძლება სულელურმა მიზეზმაც განაპირობა - არაფრით არ მინდოდა, რომ ჩემი, თუნდაც ათიოცი ლარი მაშინდელი მმართველი კლანის ჯიბეში აღმოჩენილიყო. ამგვარი, ალბათ, მხოლოდ ჩემთვის გასაგები, "პრინციპულობის" შედეგად "ჯეოსელის", რომლის მფლობელთა ვინაობა არ ვიცოდი, კლიენტი გავხდი და მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად რთული, ალოგიკური, ძნელად დასამახსოვრებელი ნომერი მაქვს, მას შემდეგ ამ კომპანიის ერთგული მომხმარებელი ვარ. მისთვის ღალატი არასდროს აზრადაც არ მომსვლია.

"მაგთიც" და "ჯეოსელიც" მომსახურების არეალის გაფართოებაში, ხარისხის გაუმჯობესებაში, ათასგვარ შეღავათსა და კომერციულ "ფინტებში", უფასო წუთების რაოდენობაში, სხვადასხვა ტიპის ლატარეებსა და გათამაშებებში, საპრიზო ფონდებში და ამ ყველაფრის ხმამაღალ, ეფექტურ რეკლამირებაში ერთმანეთს ეჯიბრება. არაბუნებრივი ამაში არაფერია. ჯანსაღი კონკურენცია სრულიად მისაღები, გასაგები და ხარისხობრივი წინსვლისთვის აუცილებელია. მთელი დღეების განმავლობაში საქართველოს ყველა წამყვან ტელეარხზე ამ კომპანიების მრავალფეროვანი რეკლამა ტრიალებს. ზოგიერთი სარეკლამო რგოლი მართლაც რომ მოსაწონი, დასამახსოვრებელი ყოფილა. ზოგიერთი კი პირიქით, არაფრის მთქმელი, სულელური და გამაღიზიანებელიც კი. მაგრამ ის, რაც ბოლო პერიოდში თავისი ერთგულების დასამტკიცებლად "ჯეოსელმა" შემოგვთავაზა, მგონია, რომ უგემოვნობისა და ვულგარულობის გარდა, არაფერში წერია.

ბანალურ, ოჯახურ ღალატზე აგებული სარეკლამო კლიპის შემოკლებული ვარიანტი პირველად რომ ვნახე, რაღა დაგიმალოთ, პრიმიტიულმა, პირდაპირმა ხედვამ, რეკლამისთვის შეუფერებლად გაწელილმა სიუჟეტურობამ, უბრალოდ გამაკვირვა. მხოლოდ მოგვიანებით, გადაცემა "P.S."-ში ამ ჩახლართულსიუჟეტიანი "შედევრის" სრული ვარიანტი ვიხილე, ვისიამოვნე და გავიგე, რომ თურმე ეს მასალა ერთ-ერთ ცნობილ რეჟისორს წლების წინ სულ სხვა მიზნისთვის გადაუღია, ვერ გამოუყენებია და შემდგომ რეკლამისთვის "ჯეოსელისთვის" მიუყიდია. პირველადი პროექტი რომ შემდგარიყო, რა გამოვიდოდა არ ვიცი, მაგრამ რეკლამა რომ არ გამოვიდა, ამაში დარწმუნებული ვარ. მგონი, არც მსახიობების მიმართ კოლეგიალური ეთიკის დაცვა და არც მომხმარებლის მიმართ ტაქტი არ გამოუვიდათ. ალბათ არც რეჟისორს, გადამღებ ჯგუფს და არც "ჯეოსელის" ხელმძღვანელობას, მენეჯმენტს ჩემგან არ ესწავლება, რომ მხატვრულ კინოსა და რეკლამას შორის ძალიან დიდი სხვაობაა. ის, რაც პირველ შემთხვევაში დასაშვები, მისაღები, საინტერესო და მაღალმხატვრული შეიძლება იყოს, რეკლამის შემთხვევაში სულ სხვაგვარად გამოიყურება, სულ სხვა დატვირთვას იძენს ან, პირიქით, კარგავს. მაგალითად, გენიალური ფილმის "უკანასკნელი ტანგო პარიზში" ბრანდოსა და შნაიდერის ცნობილი ეროტიკული სცენა ფილმის საერთო კონტექსტიდან რომ ამოაგდო და კარაქის რეკლამად - "ჩვენი პროდუქტი ამისთვის დაგენანებათ!" გამოიყენო, დარწმუნებული ვარ, ასეთივე თუ არა, არანაკლები ვულგარული იდიოტიზმი გამოვა. "9 1/2 კვირაში" სადარბაზოში წვიმას შეფარებული მოსიყვარულე რურკი და ბესინჯერი ქოლგის რეკლამად - "ქოლგა ყველაფრისგან გიცავთ" - გამოდგებოდა. რიჩარდ გირის და ჯულია რობერტსის როიალზე გამართულ სიყვარულს კი, ალბათ, მეტრონომის რეკლამა მოუხდებოდა და ა.შ. არაერთი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც მაღალმხატვრულად გადაღებული ეროტიკული სცენები კინოფილმის ღირებულებას ქმნიან. საერთო კონტექსტიდან მათი ამოგდების შემთხვევაში კი მხოლოდ უგემოვნოდ გულახდილ, ყოველგვარ დატვირთვასა და კონცეფციას მოკლებულ ყალბ ვულგარულობას მივიღებთ.

არ ვიცი, რეჟისორმა ამგვარი ბოდვა რისთვის გადაიღო, რისთვის უნდა გამოეყენებინა და რა გამოვიდოდა. ამით რისი პროპაგანდა, რისი თქმა უნდოდათ, არ ვიცი. გაუგებარია, ზნეობისა თუ უზნეობის სწავლება სურდათ. არ ვიცი, ამ ფილმ-კლიპ-იდიოტიზმის სცენარი, ტექსტი ვინ დაწერა და ვინ მოიწონა. არ ვიცი, ამ მასალის რომელ შემქმნელ-დამკვეთ-შემსყიდველს ეცნო პიკანტური სიტუაცია, ეახლოვა და თვალნათელი მაგალითის ჩვენება ისურვა. არ ვიცი, იცოდა თუ არა გოგოლა კალანდაძემ გადაღების საბოლოო მიზანი და მოიგებს თუ არა სასამართლოს (მინდა, რომ მოიგოს). არ ვიცი, რამხელა ჰონორარი ეკუთვნოდა და რეალურად რამდენი აიღო, მაგრამ ერთი რამ ვიცი, რომ "ჯეოსელმა" მე, მის მომხმარებელს კი არა, უფრო საკუთარ თავს უღალატა.

მგონი კარგი იდეა დამებადა! თუ "ჯეოსელს" მთავარ პრინციპად ღალატი-უღალატობა აქვს შერჩეული, მაშინ მომავალი რეკლამისთვის ჩვენი ბავშვობის დროინდელ ერთ ანეკდოტს შევთავაზებ: მოქანდაკეს ქანდაკება "ლენინი პოლონეთში" შეუკვეთეს. ძეგლის გახსნაა. გადაფარებული ნაჭერი ჩამოხსნეს და ძერჟინსკის მუხლებში კრუპსკაია ზის. გაკვირვებული კომისია კითხულობს, "ლენინი სად არის?" მოქანდაკე პასუხობს - "ლენინი პოლონეთშია". რეკლამის ბოლოს მინაწერი უნდა გაჩნდეს - "ჯეოსელი ასე არ იქცევა!"

# მოძრაობის უსაფრთხოება



## ფოტო N1

### წინამძღვრიშვილის - თამარ მეფის გზაჯვარედინი

ამ გზაჯვარედინზე (წინამძღვრიშვილის მხრიდან) დგას საგზაო ნიშანი "პირდაპირ და მარჯვნივ", მაგრამ ეტყობა სამარშრუტო ტაქსის მძღოლს ვიღაცამ უბრძანა: "საგზაო ნიშანს ნუ აქცევ ყურადღებას, იარე ჩემს მიერ დადგენილი მარშრუტით"!



## ფოტო N2

### აღმაშენებლის და თამარ მეფის გზაჯვარედინი

ფოტოზე ნათლად ჩანს, როგორ არღვევს N54 ავტობუსის მძღოლი მოძრაობის წესებს. აღნიშნული გზაჯვარედინი ერთ-ერთი ყველაზე გადატვირთული გზაჯვარედინია დედაქალაქში, და წარმოიდგინეთ, როგორ წვალობს მძღოლი, როცა იგნორირებს საგზაო ნიშანს "პირდაპირ და მარჯვნივ", შუქნიშნის წითელ შუქს, მოუწესრიგებელ მოძრაობას ამ გზაჯვარედინზე და მაინც ახორციელებს თავის მარშრუტს. ეტყობა გამოცდილი მძღოლები გყავთ საზოგადო ტრანსპორტზე. მაგრამ ამ მძღოლებზე უფრო "გამოცდილი" ჩინოვნიკები მართავენ ამ მძღოლებს, როცა მოძრაობის მარშრუტს უდგენდენ.

### ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს ბატონ დავით ალავიძეს

გაზეთი "24 საათი" პერიოდულად აქვეყნებს სხვადასხვა აქტუალურ მასალებს მოძრაობის უსაფრთხოების თემაზე. ვინაიდან წელს შპს "შუქნიშანი" და "ვია ესტ ვიტა", რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობის უსაფრთხოებას დედაქალაქში, თქვენს მიერ ფინანსდებიან და კონტროლსაც ალბათ თქვენ უწევთ, რედაქციას აინტერესებს თქვენი მოსაზრება შემდეგ კითხვებზე:

**1. წელს ახლი შუქნიშნების ობიექტებზე და საგზაო ნიშნების მონტაჟზე გამოყოფილია 35 0000 და 13 6000 ლარი შესაბამისად; ხოლო მათ ექსპლუატაციაზე - 105 000 ლარი. საშუალოდ ერთი ახალი შუქნიშნის ღირებულება უდრის 10 000-15 000 ლარი, ხოლო ერთი საგზაო ნიშნის მონტაჟი მერყეობს 100-დან 150 ლარამდე. გთხოვთ გვიპასუხოთ, სად დადგება 35 ახალი შუქნიშნის ობიექტი და 1 300 საგზაო ნიშანი?**

**2. იმედია, გაგაჩნიათ ამ ობიექტების სრული ნუსხა თავისი სქემებით და დამტკიცებებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ განისაზღვრა პირველ პუნქტში აღნიშნული თანხა?**

**3. როგორც ცნობილი გახდა, თქვენი სამსახური აფინანსებს შპს "შუქნიშანს" და "ვია ესტ ვიტა"-ს, აძლევს მათ დავალებებს და აკონტროლებს კიდევაც. ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს სისტემა, რბილად რომ ვთქვათ, არ არის ოპტიმალური?**

**4. წინა წლებში დედაქალაქში დაშვებულია უამრავი უხეში შეცდომა შუქნიშნების მუშაობაში, საგზაო ნიშნების მონტაჟში და ქუჩების მონიშვნაში და ეს შეცდომები, სამწუხაროდ ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. როგორ აპირებთ ამ შეცდომების გამოსწორებას, როცა ტენდერი ამ ხარჯებს არ ითვალისწინებს?**

**5. მკითხველები გვაწვდიან უამრავ ინფორმაციას იმ შეცდომებზე, რაც არის დაშვებული მოძრაობის ტექნიკური საშუალებების დანერგვაში, გაზეთი აქვეყნებს ამ შეცდომებს, რითიც საკუთარ თავზე იღებს საზოგადო კონტროლის ფუნქციას. სამწუხაროდ, ერთი თვის წინ გამოქვეყნებულ შეცდომებზე, დღემდე არავითარი რეაგირება არ არის. აქედან გამომდინარე:**

**ა) ან თქვენი სამსახური და უშუალო შემსრულებლები სრულ იგნორირებას უცხადებენ ამ პრობლემებს;**

**ბ) ან თქვენი სამსახური, რომელსაც ევალება კონტროლი, ვერ (ან არ) ითვლის, რამდენად ზარალდება ქალაქის ბიუჯეტი;**

**გ) ანდა, "სირაქლემას პოზიციას", გვერდს ვერ უვლით.**

**არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნული სამივე კომპონენტი სინქრონულად მუშაობს, მაშინ, რა ეშველება მოძრაობის უსაფრთხოებას დედაქალაქში?**



## ფოტო N3

### წერეთელი-გვეტაძის გადაკვეთა

ისევ ვუბრუნდებით ამ გზაჯვარედინს. პირველი შენიშვნის მერე წერეთელზე დააყენეს ნიშანი "მხოლოდ პირდაპირ", ანუ მარცხნივ მოძრაობა აიკრძალა, მაგრამ ამ ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლი როგორც უხვევდა მარცხნივ, ისევე უხვევს დღესაც, იმიტომ, რომ მას მარშრუტი წესების დარღვევით აქვს დაწესებული.



## ფოტო N4

### ჭანტურიას - ყოფილი ძნელაძის გზაჯვარედინი

ბუზღუნა დარწმუნებულია, რომ ამ გზაჯვარედინზე ვიღაცა ზედმეტია: ან N20 ავტობუსი, ან საგზაო ნიშანი "შესვლა აკრძალულია".

## P.S. ბატონ დავით ალავიძეს.

*იმედია, 1-4 ფოტოებზე აღბეჭდილ მასალებს თქვენი სამსახურის მხრიდან სათანადო რეაქცია მოჰყვება; ამასთან ერთად, გარწმუნებთ, რომ აღნიშნული დარღვევები მოდებულია მთელს ქალაქში. საგზაო ტრანსპორტი მასობრივად არღვევს მოძრაობის წესებს: სამარშრუტო ტაქსები გაჩერების დროს არ იყენებენ მოციმციმე სიგნალს, აჩერებენ შუა სავალ ნაწილზე, რიგიდან რიგში გადასვლა და გასწრება ქაოტურად ხდება და ა.შ.; დამეთანხმებით ალბათ, რომ ასეთი დარღვევები საშიშია ადამიანის სიცოცხლისთვის.*



## ფოტო N5

### შუქნიშნის ობიექტი: ერისთავი-მექანიზაციის ქუჩა

სიმართლე გითხრათ, ბუზღუნას ისე მოეწონა ეს უნიკალური შუქნიშნის ობიექტი, რომ დაეჭვდა კიდეც, სად გაგზავნოს ამ ობიექტის ფოტო - გინესის წიგნში თუ ვენის კონვენციაზე, რომელმაც შექმნა მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სტანდარტი. ბოლოს ბუზღუნამ იფიქრა: "მოდი ჯერ ჩვენმა მკითხველმა გაიხაროს და დატკბეს ამ "შედევრით". როგორც ფოტოზე ჩანს, ორივე შუქნიშანი დგას გზაჯვარედინის ერთ მხარეს, რვა მეტრის დაშორებით. გადამკვეთ ქუჩაზე (მექანიზაციის ქუჩაზე) შუქნიშანი საერთოდ არ დგას და აქედან გამოსული მანქანები იძულებულნი არიან გაძვრნენ მანქანების ორ ნაკადში, რაც ნათლად ჩანს ფოტოზე. ამ შუქნიშნის მონტაჟმა ქალაქის ბიუჯეტი 10 000 ლარით დააზარალა.



## ფოტო N6

### ვაკე-საბურთალოს გზა

ეს ორი საგზაო ნიშანი აფრთხილებს მძღოლებს: "თუ არ დაუთმობ გზას, სული სამოთხეში იქნება!"... ბიუჯეტი კი 200 ლარით დაზარალდა.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ.
№3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10

მალხაზ ხარბედია

# არაყი
# თეთრი აჩრდილი

## აბსოლუტური შვედეთი

ვიღაცას გაუკვირდება, ზემოთ ჩამოთვლილ TOP 10-ში Absolut Vodka-ს რომ ვერ მოკრავს თვალს, არადა ყველა დამეთანხმება - ამაზე ცნობადი ბრენდი თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს და მას ვერც "ფინლანდია" შეედრება და ვერც "სმირნოვი". თუმცა გასაკვირი აქ არაფერია, რადგან აბსოლუტის მთავარი თავისებურება ხარისხი კი არა ბრწყინვალე სარეკლამო კონცეფციაა, რამაც იგი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმულ არყად აქცია.

მოდით, სანამ ამ გენიალურ სარეკლამო ხრიკებზე გადავალთ, ჯერ ისტორიკოსებს მივუგდოთ ყური. ისინი კი გვაუწყებენ, რომ შვედური არყის ისტორია 15-ე საუკუნიდან დაიწყო, როცა სკანდინავებმა "branvin"-ის წარმოება დაიწყეს, რაც ტკბილქართულად "ცეცხლოვან ღვინოს" ნიშნავს. ამ სასმელს ძირითადად სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა და ორი საუკუნე დასჭირდათ შვედებს, რომ მასში თრობისა და დროსტარების წყარო აღმოეჩინათ. გავიდა კიდევ ორი საუკუნე და 19-ში, ლარს ოლსონ სმიტი დაიბადა, ვინაც ბავშვობაშივე გამოავლინა გენიალური ბიზნესმენის ალღო. როგორც ამბობენ, ამ ადამიანს ჯერ პირზე რძე არ შეშრობოდა, უკვე შვედური არყის ბაზრის ერთ მესამედს აკონტროლებდა, 15-16 წლისას კი უკვე "არყის მეფეს" უწოდებდნენ. კომპანია "Absolut Rent Branvin", ანუ დღევანდელი აბსოლუტის წინაპარი, ლარს ოლსონ სმიტმა 1879 წელს შექმნა და მასთან ერთად იმდენად საინტერესო ცხოვრება განვლო, რომ მის მიხედვით კაცი "მოქალაქე კეინივით" ფილმს გადაიღებდა ან "კვაჭი კვაჭანტირაძესავით" რომანს დაწერდა.

20-ე საუკუნეში, უფრო ზუსტად კი 1970-იან წლებში ახალი ენერგიული ხელმძღვანელი გამოჩნდა, ლარს ლინდმარკი, რომელმაც საწარმოს მოდერნიზების შემდეგ Absolut Vodka-ს პირველი პარტია გამოუშვა თავისი კომპანიის 100 წლის თავზე (1979) და ამერიკის ბაზრისკენაც დაიძრა თავისი გამჭვირვალე ვიკინგებით.

ვიკინგებმა ტრადიციას არ უღალატეს და პირველ რიგში Absolut Vodka-მ ამერიკის ყველაზე კელტური ქალაქი, ბოსტონი დაიპყრო, მთლიანობაში კი ამ კონტინენტის დამორჩილების მოკლე ისტორია ასე გამოიყურება: პირველ წელს მხოლოდ 10 ათასი ე.წ. "ცხრალიტრიანი" ყუთი გაიყიდა. უკვე 1982 წელს აბსოლუტმა ფინელ კონკურენტებს გადაუსწრო, ვინც ამერიკაში შვედებზე გაცილებით ადრე გამოჩნდნენ, ჯერ კიდევ სამოციან წლებში. 1985 წელს "სტოლიჩნაიაც" დააჩოქეს. იმავე 1985-ში აბსოლუტი ყველაზე გაყიდვადი სპირტიანი სასმელების ასეულში მოხვდა, 1994 წელს კი ამ ბრენდმა მყარად მოიკიდა ფეხი ათეულშიც.

ახლა სარეკლამო კონცეფციაზეც ვთქვათ. მფლობელებს თავიდან სურდათ ვიკინგები დაეხატათ ბოთლზე, რომელიც დათრთვილული იქნებოდა, ანდა სულაც ქაღალდში გახვეული, მოწვეული ამერიკელი ექსპერტები კი პირიქით, თანამედროვე, ჭყეტელა ფერებიან დიზაინს ანიჭებდნენ უპირატესობას. როგორც სხვა გენიალური მიგნებები, აბსოლუტის დიზაინის საკითხიც აბსოლუტურად შემთხვევით გადაწყდა, როცა სარეკლამო სამსახურის თანამშრომელმა გუნარ ბრომანმა სტოკჰოლმის ერთ-ერთ მაღაზიაში ანტიკვარული წამლის შუშა ნახა, რომელიც ძალზე სადაც იყო და იმავდროულად შვედეთის (და ზოგადად სკანდინავიური) კულტურის ნიშანსაც წარმოადგენდა. თანაც საქმეს ისიც აიოლებდა, რომ 16-17 საუკუნეებში არაყი აფთიაქებში იყიდებოდა როგორც უებარი სამკურნალო საშუალება, რის გამოც კიდევ უფრო მეტი საზრისი ენიჭებოდა ასეთ არჩევანს. პირველი, რაც გადაწყვიტეს, უეტიკეტო ბოთლი იყო, რათა არ დაფარულიყო სასმელის კრისტალური სისუფთავე და წარწერა ფერადი ლიტერებით გაკეთებულიყო ბოთლის ზედაპირზევე. ყურადღება ლურჯ ფერზე შეაჩერეს და დღემდე ეს ფერი ითვლება აბსოლუტის სიმბოლოდ.

ბრენდის მუშა სახელწოდება იყო "Absolute Rent Branvin" (აბსოლუტურად სუფთა არაყი), სიტყვა "absolute" ინგლისურ ენაში ზედსართავი სახელია, ამ ტიპის სახელი არ შეიძლება სავაჭრო ნიშანს წარმოადგენდეს, ამიტომ ამერიკაში იგი ვერ გაივლიდა რეგისტრაციას. შესაბამისად, პრობლემების თავიდან ასაცილებლად "absolute"-დან "e" გააქრეს, რითაც absolut-მა შვედური კოლოროტიც შეიძინა.




სარეკლამო კონცეფციის ავტორი ჯეფ ჰეისი გახლდათ, ერთ-ერთი ნიუ-იორკული სარეკლამო სააგენტოს არტ-დირექტორი. ამერიკაში სწორედ ამ კაცის წყალობით გაიქაჩა ეს არაყი და მანვე აღმოაჩინა ნიჭიერი ფოტოგრაფი სტივ ბრონშტეინი, რომელმაც ბოთლს განუმეორებელი, ჩამუქებული განათება შეურჩია, ასეთმა ბექლაითმა კი ჭურჭელს მეტი მოცულობა შესძინა და საბოლოოდ დაადგინა, რომ აბსოლუტში მთავარი სწორედ ბოთლია და მისი "გარეკანი" და არა შიგთავსი.

პირველი სარეკლამო კომპანია Absolut Perfection (აბსოლუტური სრულყოფილება) 1980 წელს დაიწყო და შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა. შემდეგ (1985 წელს) იყო პოპ-არტის მამა, ენდი უორჰოლი და მისი "Absolut Art" (აბსოლუტური ხელოვნება), რომელსაც მსოფლიოს წამყვანი ხელოვანები შემოუერთდნენ და ამ გლობალურ არტ-გალერეისა და თავად არყის დევიზად შემდეგი ფრაზა იქცა "აბსოლუტი" - არყის ხელოვნება და ხელოვნების არაყი". დღეს უკვე აბსოლუტური ხელოვნების ნიმუშებით მთელი მსოფლიოა მოფენილი - ბოთლის გიგანტური სკულპტურებით დაწყებული, კედლის მხატვრობით დამთავრებული. მხატვართა სახელების ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ისევე როგორც სხვა სარეკლამო კონცეფციების ჩამოთვლა: აბსოლუტური ქალაქები, აბსოლუტური ეგო, აბსოლუტური მემკვიდრეობა, აბსოლუტური ამერიკანა, აბსოლუტური გლასნოსტი და ა.შ. ჩვენ კი რატომღაც არავინ გვამჩნევს, არადა საქართველო კარგა ხანია აბსოლუტების ხანაში ცხოვრობს და ამ არყის მესვეურებს თამამად შეუძლიათ სარეკლამო კამპანია აწარმოონ შემდეგი დევიზებით: აბსოლუტური სინათლის ქალაქი, აბსოლუტური სიბეცე, აბსოლუტური ტყუილი...

*ენდი უორჰოლსა და მის "Absolut Art"-ს (აბსოლუტური ხელოვნება) მსოფლიოს წამყვანი ხელოვანები შემოუერთდნენ და ამ გლობალურ არტ-გალერეისა და თავად არყის დევიზად შემდეგი ფრაზა იქცა: "აბსოლუტი" - არყის ხელოვნება და ხელოვნების არაყი".*

## ეს საინტერესოა (ფხიზელზე)

■ ამასწინათ ერთ ძალზე საინტერესო ფაქტს გადავაწყდი ინტერნეტში. თურმე რუსეთში მაშინათვე იწყებენ იმ სასმლის ფალსიფიკაციას, რომლის ბოთლებსაც მინის ჩამბარებელ პუნქტებში იღებენ. რუსეთში რამდენიმე კვირაში ყველაზე პრესტიჟული სასმელიც კი განწირული აღმოჩნდება ხოლმე. მაგალითად, ამის გამო ორიოდე წლის წინ რუსეთში ძალიან გაუფუჭდა სახელი "აბსოლუტს".




■ მინის ტარის ხარისხი რუსეთსა და მითუმეტეს საქართველოში ძალიან დაბალია, ასე რომ, მაგარი სასმელი 1 წელიწადზე მეტ ხანს არ უნდა შეინახო ბოთლში. ერთი წლის მერე ნალექი წარმოიქმნება, რომელიც, თუკი კარგად დავაკვირდებით, ბოთლის აღმოჩნდება და არა სასმლის.

■ რუსებმა სანკტ-პეტერბურგში არყის მუზეუმიც კი შექმნეს. ეს მუზეუმი ერთი თვის წინ გაიხსნა და ექსპონატების უმდიდრესი კოლექციის გარდა, მის მთავარ ღირსებას სადეგუსტაციო დარბაზი წარმოადგენს.

■ დიმიტრი მენდელეევის ფორმულის მიხედვით, იდეალური გრადუსი 38-ია. ამბობენ, სწორედ ამ გრადუსიდან ალდება არაყიო. ძნელი დასაჯერებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთხელ ერთნახად ვაშლის შამანს ასანთი გავუკარი და კინაღამ უწარბწამწამოდ დავრჩი - დარწმუნებული ვარ, რომ ის წყალწყალა თხლე 38-ზე გაცილებით ნაკლები გრადუსისა იყო.

■ ჩვენში ხშირად გაიგონებთ, თითო სტოპკა ჩავარტყათ და მორჩა, მეტი აღარ დავლიოთო. ამ დროს როგორც წესი სტოპკაში 100 გრამს გულისხმობენ ხოლმე, არადა ამასწინათ გამოვარკვიე, რომ სტოპკა თურმე ლიტრანახევარს ნიშნავს. ასე რომ, როცა სტოპკას ახსენებთ და 100 გრამს იგულისხმებთ, გახსოვდეთ, რომ სადღაც იქვე 1 ლიტრი და 400 გრამიცაა ჩასაფრებული.

■ გამოთქმას "ნა ტროიხ" შემდეგი ისტორია აქვს: საბჭოთა პერიოდის რუსეთში ჩარტყმის მოყვარულ გასლიკულ ქმრებს აფუებული, რვანომერძუძუიანი ცოლები ჯაჭვით აბამდნენ, ქუჩაში კი მხოლოდ მანეთით უშვებდნენ, მათი აზრით სადილის ფულს ატანდნენ. არაყი კი 2 და 87 ღირდა, ჰოდა დადიოდნენ ეს ჩრდილოელი ბედუინები და ერთმანეთს ეძებდნენ. დარჩენილი ხურდა კი სიროკ (ჩვენში მოჭიქულ ყველეულს რომ ეძახიან) "დრუჟბაზეც" რჩებოდათ.

■ ბორის გოდუნოვი პირველი რუსული "მშრალი კანონის" ავტორია.

■ პეტრე პირველის დროს სამეფო კარზე ტრადიცია იყო, ყოველ უცხოელ ელჩს ლიტრნახევრიანი, ე.წ. "თეთრი არწივის თასი" უნდა დაელია არყით სავსე (შესაძლოა აქედან მოდის სტოპკის ტრადიციაც). წლების მანძილზე გატანჯულმა უცხოელებმა ჭკუა იხმარეს, ელჩობაში ორ კაცს უშვებდნენ, ერთი არყით იჭყიპებოდა, მეორე კი მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ვინ იცის, იქნებ იმ რუს ელჩებსაც (17-ე საუკუნეში იმერეთს რომ ესტუმრნენ) ჰქონდათ განაწილებული სმისა და მოლაპარაკების ფუნქციები, თუმცა გამორიცხული არაა, რომ ქუთაისელი თამადების გადამკიდეებს, აერიათ კიდევაც თავიანთი ფუნქციები.







გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# სინათლე ჩვენს ფანჯრებში

ნატა ჯანბერიძე
სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი

*თანამედროვე დიზაინის სფეროში ინტერიერის განათება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სხვადასხვაგვარად განათებული ერთი და იგივე ოთახი განსხვავებულად აღიქმება. განათებასაც აქვს თავისი წესები, სტილი და კომბინაციები.*


santa&cole-antoni arola


ჭაღი Starckis გაფორმებულ BACCAR-ას ბუტიკში.


Barovier&Toso.

სივრცის განათებამ უნდა შეასრულოს როგორც დეკორატიული, ასევე პრაქტიკული ფუნქცია. სინათლე ქმნის განწყობას, სიმყუდროვეს, აქცენტს უკეთებს ინტერიერის გარკვეულ ზონებს. განათების ფერი და ინტესიურობა, განსაზღვრავს ოთახის ფერით გამას. ასევე, გარკვეული განათებით შეიძლება გავზარდოთ ან დავაპატარაოთ სივრცე, შევცვალოთ ოთახის გეომეტრიული ფორმა.

სივრცის პროექტირებისას, თავიდანვე ვითვალისწინებთ ელექტროგაყვანილობას. შეიძლება ითქვას, რომ განათების გადაწყვეტა დამოუკუდებელი პროექტია. ზუსტად უნდა განსაზღვრო ყოველი წერტილი, სადაც დაგჭირდება ესა თუ ის განათება, იმიტომ, რომ ელექტროგაყვანილობის საბოლოო ჩანაფიქრის ბედი მშენაბლობის პირველ ეტაპზე წყდება. თან, რაიმეს შეცვლა თუ მოგინდა, ჩათვალეთ, რომ გადაიმტერებ "ელექტრიკს", "გაჯავიკს" და ა.შ..


Pallucco Italia Fortuny. ტორშერი.



სებასტიან ვრონგის დიზაინი.



ინგო მაურერი.

თანამედროვე განათების აქსესუარები სტილისტური და ტექნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რთულია შეაჩერო არჩევანი რომელიმე მათგანზე, თუ ზუსტად არ იცი რა გინდა. იბნევი, საით წახვიდე - თანამედროვე წერტილოვანი ჰაი-ტეკური განათებისკენ, გათანამედროვებული ტრადიციული ფორმებისკენ თუ კლასიკური ბროლის ჭაღებისკენ. დიზაინერს ეს ყველაფერი გათვლილი აქვს ინტერიერის სტილის და დანიშნულების შესაბამისად. ყველა ობიექტს: ბინას, ოფისს, საავადმყოფოს, რესტორანს, კლუბს სპეციფიური ელექტრობის პროექტი სჭირდება, როგორც შუქ-გავრცელების გადაწყვეტით, ასევე თვითონ განათების "ხელსაწყოს" დიზაინის მიხედვით.

რადგან თბილისში რთულია ხარისხიანად დაამზადო ინდივიდუალური დიზაინის მქონე განათება, ინტერიერისთვის ვარჩევთ ზოგიერთი ცნობილი მარკის მიერ გამოშვებულ ჭაღებს, ტორშერებს, ბრებს, მაგიდის ლამპებს, რომლებიც შეესაბამება ხოლმე წინასწარ ჩაფიქრებულ ფორმას და სტილს. რომ იცოდეთ, კარგი ტორშერი, ჭაღი თუ მიმართულების მიმცემი შეკიდული განათება საკმაოდ ძვირფასია. არ გეგონოთ, რომ სავარძელზე ან საწოლზე ნაკლები ფასი ექნება. კარგი განათება და კარგი ავეჯი დიზაინის სფეროში თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.


Imperiaflex.


Phillip Starck.


Santa&Cole.



*თუ წვეთში ოკეანე აირეკლება, მეტადრე დედაქალაქის ცოდვა-მადლის ფონზე შესაძლებელია, მთელი ჩვენი სათაყვანებელი სამშობლოს მისწრაფება და სატკივარი წარმოჩნდეს.*

*რუბრიკით "დედაქალაქი" განვიზრახე, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდეს ქართული საზოგადოების არსებობა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, მისი უწყვეტობა დროში. უფრო ნათელი გახდეს ქართული საზოგადოების ფიქრი, წადილი, მოღვაწეობა, მისი მხნეობა და სიფხიზლე. თვალსაჩინო გახდეს, თუ რა სულიერი მემკვიდრეობის, რა ღირებულებების გადაცემას აპირებს იგი მომდევნო გენერაციისათვის.*

*რუბრიკის ერთ-ერთი ირიბი ამოცანაა თანამედროვე ქართული საზოგადოების შრომის, გარჯისა და ღვაწლის შუქზე კიდევ უფრო ღიმილისმომგვრელი გახდეს მასმედიის მიერ ხელშეწყობილი ტრაგიკომიკური მითი მასზე, რომ, იყო ზეზვა და მზია, მას მერე არავინ ყოფილა და არც არავინ იქნებოდა, რომ არ მოსულიყვნენ დღევანდელი პოლიტიკოსები და შოუბიზნესის ვარსკვლავები.*

*რუბრიკის პირდაპირი ამოცანა ის გახლავთ, რომ შეძლებისდაგვარად სწორი მიმართულებით გავიშვიროთ ხელი და ვთქვათ, რომ არსებობს მოფიქრალი ქართული საზოგადოება, რომელიც მოკრძალებით განაგრძობს საუკუნეების წინ დაწყებულ საქმეს.*

*იქნებ ამ "აღმოჩენამ" გააქროს პოლიტიკოსთა სახეებიდან ამბიციური თვითდაჯერებულობა და უნიადაგო ამპარტავნობით ნაკარნახევი ირონიული ღიმილი და ისინიც ჩვენი ქვეყნის მოკრძალებულ მსახურებად აქციოს.*

*P.S. კიდევ ერთი და მთავარი. პირადად ჩემთვის სახელმწიფოს შენება სამართლის შენებას ნიშნავს.*

# კაფე "ტიბადან" - რომში, გენუაში, ფლორენციაში...

**ნანა ჭრელაშვილი**

ერთი ჩვეულებრივი დღე, არაჩვეულებრივი დასასრულით. თუ რატომ, ამას მალევე შეიტყობთ, ოღონდ ორი პირობით - უნდა გიყვარდეთ პოეზია და ერეკლეს ქუჩაზე, კაფე "ტიბაში" გამომყვეთ, იქ პოეტ დათო მაღრაძეს შეხვდებით. ალბათ, შემთხვევითი არ არის, რომ შეხვედრა ძველი თბილისის ამ უმშვენიერეს ადგილზე შედგება, სადაც წარსულის ხიბლი და პეწი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გახსენებს თავს. წარსული, რომლის ღირსეული მემკვიდრე, სულიერი და ფიზიკური ნიშნით, დღეს ჩვენი მოსაუბრეა. გაუცვეთელი ეროვნული ღირსებების, საოცარი შინაგანი სიმდიდრის, სილაღის გამო დათო მაღრაძე საზოგადოებაში, მკითხველსა და მსმენელში განსაკუთრებულ ინტერესს, სიყვარულსა და პატივისცემას იწვევს. ცოტა ხნის წინ პოეტის ლექსების გერმანული თარგმანი გერმანიაში გამოიცა, რითიც ქართული ლიტერატურისთვის დიდი ხნით ჩაკეტილი ევროპული სივრცე გაიხსნა. პირველი ნაბიჯები თანამედროვე ევროპელი მკითხველისაკენ ფეხბედნიერი აღმოჩნდა, დათო მაღრაძის პოეზიით ამჯერად იტალიელი ლიტერატორები დაინტერესდნენ და პოეტი იტალიაში პოეზიის ტრადიციულ ფესტივალზე მიიწვიეს. დღეს, დათო მაღრაძესთან ერთად "ვიმოგზაურებთ" რომში, გენუაში, ფლორენციაში.... სადაც არაერთი ექსკლუზიური სიახლე გველოდება.

იტალიაში 14 წელია არსებობს პოეზიის ფესტივალი, რომლის ცენტრი ორგანაა - ტოკიოში და გენუაში. ფესტივალს ხაზგასმული აქცენტები არ გააჩნია, არც თემატურადაა შეზღუდული. მისი მთავარი მისიაა, ყოველდღიურობაში ჩაფლულ ადამიანს გაახსენოს მშვენიერების, უკვდავების იდეა, აზიაროს პოეზიის სიახლეებს და მკითხველს მიანიჭოს ავტორთან შეხვედრის სიამოვნება. იტალიური ფესტივალის არსებობის მანძილზე, წელს იქ, პირველად გაჟღერდა ლექსად ნათქვამი ქართული სიტყვა და ქართული ჰანგი - პოეზიის ფესტივალს მუსიკოსი ნატო გელაშვილიც ესწრებოდა.



*გენუა: კლაუდიო პოცანი, ზაზა გოქსაძე, დათო მაღრაძე.*

ფესტივალი ქალაქ გენუაში დაიწყო, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, მაგრამ ფესტივალის შემდეგ ეტაპზე, რომელმაც, რომაულ, დოჟების სასახლეში თითქმის 500 ათასიანი აუდიტორიის წინაშე გადაინაცვლა, მხოლოდ ოთხი ქვეყანა წარსდგა - იტალია, ამერიკა, რუსეთი და საქართველო.

აღსანიშნავია, რომ დათო მაღრაძის პოეზიით იტალიური მხარე მას შემდეგ დაინტერესდა, რაც მილანში მცხოვრებმა ფილოლოგმა ნუნუ გელაძემ და გაგა შურღაიამ ქართველი პოეტის ლექსები თარგმნეს. ფესტივალს გამორჩეულ ხიბლს ანიჭებდა ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი პოეზია ეროვნულ და იტალიურ ენაზეა გაჟღერებული, რომელსაც ავტორებთან ერთად იტალიელი პოეტები კითხულობდნენ.

**- ევროპის ბევრ ქვეყანაში ვარ ნახეტიალები, მაგრამ, მსგავსი აღფრთოვანება, შთაბეჭდილებები არც ერთი ქვეყნიდან არ გამომყოლია. დღევანდელი იტალია არ არის მოწყვეტილი წარსულს. იტალიელების ურთიერთობებში, ცხოვრების წესში, ჩაცმის კულტურაში, ყველგან იგრძნობთ დიდი წინაპრების მდიდარი ესთეტიკის გამოძახილს. ერში დღესაც ცოცხლობს უდიდესი ფერმწერების ფერთა მეტყველება. იტალიელები ტკბებიან დღევანდელი დღით, გამაოცა ფიზიკურმა სილამაზემ და შინაგანმა სილაღემ. მზერაში საოცარი ლხინი აქვთ ჩამდგარი. იტალიელები პატივს სცემენ წარსულს და იციან, რომ დიდი მომავალი აქვთ. ერში წარსულისა და აწმყოს ასეთი სინთეზი პირველად ვნახე.**

- თქვენი იტალიური შთაბეჭდილებები ახალ წიგნში ხომ არ აისახება?

**- პირველად ვიყავი იტალიაში, ფლორენციაში. ვნახე ტიციანის, ბოტიჩელის, რაფაელის, მიქელანჯელოს, ლეონარდოს გენიალური ნამუშევრები ორიგინალში... შთაბეჭდილებები იმდენად დიდი იყო, სულიერი განწყობის კონცენტრირებას ვერ ვახდენდი, ჩანაწერებს ვაკეთებდი, მაგრამ ვიდრე საბოლოო სახეს მივცემ, ნანახით განცდილი უნდა დაილექოს. ძალიან ძნელი აღმოჩნდა ყველაფრისთვის სულიერ იერარქიაში გრადაციის მიჩენა, ამიტომაც, ეს მასალები დროებით გადავდე.**

- იქნებ ამ შთაბეჭდილებებიდან რამდენიმე ფრაზა მაინც გაგვიმხილოთ...

**- დრო წაიშალა,**
**როგორც ნაპირზე**
**ტალღებისაგან ბავშვის ნახატი.**
**ლეგიონერმა მისცა საყვირი,**
**მარადისობის გადასახადი.**
**გაგიმხელთ წიგნის სათაურსაც - "როცა იქნება!"**

- რა ძირითადი ტენდენციები შეინიშნება თანამედროვე პოეზიაში და ფესტივალზე როგორი დამოკიდებულება იგრძნობოდა ქართული პოეზიის მიმართ?

**- შესაძლოა, სახელოვნებო სამყაროში დღევანდელი ტენდენციები ერთმანეთს არ ჰგავდეს, მაგრამ ეს ბუნებრივიცაა. კულტურის და ხელოვნების მომხიბვლელობა, ხომ მის მრავალფეროვნებაშია, არ უნდა დაკარგოს ერმა ინდივიდუალობა, მხო- ლოდ ამ შემთხვევაში დაინტერესდება უცხო- ელი შენით. კლაუდიო ფოცანი ძალიან ცნობილი იტალიელი პოეტია, მაყურებლისთვის და მსმენელისთვის ღირებული ადამიანია. მან წაიკითხა ჩემი ლექსის იტალიური ვარიანტი, მან საოცრად შთამბეჭდავად გაარღვია ასაფრენი სივრცე და შემიცვალა მოსაზრება, რომ ავტორები უკეთ კითხულობენ თავიანთ ლექსებს. მისთვის ძალიან ახლობელი გახდა ჩემი სათქმელი და ამას გამოხატავდა კიდეც. იტალიელები ზედმიწევნით გულწრფელები არიან და სხვისი წარმატების აღიარებაც სიამოვნებას ანიჭებთ. ფესტივალზე დადებითი მუხტი შეიტანა ნატო გელაშვილის ქართულმა მელოდიებმა.**

**აღსანიშნავია ისიც, რომ იტალიის ინტელექტუალური საზოგადოება ქართველ რეჟისორს ოთარ იოსელიანს ფელინის, ანტონიონის რანგში მოიხსენიებს. ტოსკანა არის იტალიის ულამაზესი ადგილი, რომელიც თავისი ბუნებით საუკეთესო ვაზის ჯიშებით კახეთს მოგაგონებთ. სწორედ იქ შეუთავაზებიათ ბატონი ოთარისთვის მიწის ნაკვეთი. ზუსტად არ ვიცი, მან ეს საჩუქარი მიიღო თუ არა, მაგრამ იტალიელების მხრიდან ეს ჟესტი უდიდეს პატივისცემაზე მეტყველებს.**

- ბრძანეთ, რომ იტალიელმა ერმა შეინარჩუნა ინდივიდუალობა, არ დაკარგა და არ გაემი-

ჯნა წარსულს და ამაყად შეაბიჯა მსოფლიო თანაცხოვრებაში. დღევანდელი ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა კი სწორედ ეს ღირსებები დაივიწყა...

**- იტალიაში წასვლამდე. ჩემს სამშობლოში რაც მიყვარდა ისევ მიყვარს, რაც მომწონდა - ისევ მომწონს. მინახავს ქართველები, რომლებიც პეტრეს ტაძრის ნახვის შემდეგ, ეროვნულ კულტურას ალმაცერად უყურებენ, რაც მათ უვიცობასა და უნიჭობაზე მეტყველებს. ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი, სივრცეში მდგარი ალავერდი თავისი გუმბათის ყელით - შედევრია და ეს არ უნდა დავივიწყოთ. დანტეს გენიალურობა სულაც არ უშლის ხელს ვაჟა- ფშაველას, რუსთაველის, გალაკტიონის გენიალურობას.**

**თუ შენი ერის სულიერი მემკვიდრე არ გახდი, მხოლოდ გენეტიკური მემეკვიდრეობა არაფერს ნიშნავს. ერის სულიერი თავგადასავალი ადამიანში უნდა ბინადრობდეს, სხვანაირად მოქალაქეობაზე საუბარი შეუძლებელია. სამწუხაროდ, დღევანდელი ქართველობის დიდმა ნაწილმა დაივიწყა წარსული, კი არ დაშორდა, თითქოს მოწყდა მას...**

ნუნუ გელაძისა და იტალიის საელჩოს ხელშეწყობით დათო მაღრაძის პოეზიის იტალიური თარგმანები კვლავ გაგრძელდება და სულ მალე წიგნადაც გამოიცემა. როგორც ბატონმა დათომ აღნიშნა “იტალიის საელჩო საუკეთესოა, მათ შორის რაც აქამდე მინახავს, ძალიან მოწადინებულები არიან ქართული კულტურის პროპაგანდით და შედეგსაც აღწევენ".

ივლისის ბოლოს დათო მაღრაძე ორი დღით გაემგზავრება სტამბულში, სადაც წაიკითხავს ლექციებს ქართული კულტურის შესახებ. 29 სექტემბერს კი გერმანიაში დაგეგმილია მისივე წიგნის პრეზენტაცია, რომელიც გამომცემლობა “ფრილინგმა" გამოსცა და გერმანულ წიგნის მაღაზიათა ქსელში უკვე იყიდება. სექტემბერშივე ქართველი მკითხველისთვის ჟურნალ "ლიტერატურულ პალიტრაში" დაიბეჭდება პოეტის ახალი ლექსები.

და მთავარი: **“დრო-რომის მთავარი მოქალაქე!"** - დათო მაღრაძის ეს ფრაზა იქცა რომზე გადაღებული დოკუმენტური ფილმის სათაურად. გადამღები ჯგუფი, რომელიც ქართველ პოეტს რომზე და რომაელებზე კომენტარისთვის დაუკავშირდა, ინტერვიუს ჩაწერის დღესვე სთხოვენ დათო მაღრაძეს მისი ფრაზების სათაურად გამოყენების ნებართვას.

ჩვენი საუბარი დათო მაღრაძის დაბადების დღეს დაემთხვა. ის თავისუფალი, გულწრფელი, მუდამ თანამედროვე ენაზე მოსაუბრე პოეტია - ამიტომაც, მასთან შეხვედრისას არც კი გამხსენებია მეკითხა ასაკი. მაგრამ, ყოველთვის მემახსოვრება ეს ერთი არაჩვეულებრივი დღე, რომელსაც დრო ვერაფერს დააკლებს.

# - ჰეი, მოიცალე ლექსისთვის!..

## დათო მაღრაძის საუბარი კლაუდიო პოცანისთან

**- ბატონო კლაუდიო, ჩვენი საუბარი მინდა გენუით მიღებული შთაბეჭდილებით დავიწყო, რომელიც იმდენად მძაფრია და ემოციური, რომ ალბათ სამუდამოდ გამყვება. როგორც გენუელმა კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, ისე მე გენუა აღმოვაჩინე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კოლუმბმა ამერიკა ყველასთვის აღმოაჩინა, მე კი ბევრისთვის კარგად ნაცნობი გენუა - ჩემთვის. თუმცა გარკვეული ინფორმაცია და წარმოდგენა აქამდეც მქონდა გენუის შესახებ, მაგრამ შედევრთან შეხვედრა სხვაა და შორი ინფორმაცია - სხვა. რაც შეეხება პოეზიის ფესტივალს, რისი მონაწილე მეც გავხდი, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანია და ძალზე მომხიბლავ საქმეს უძღვებით. თუნდაც ის, რომ წელიწადში ერთხელ გენუის ძველ, დიდებულ სასახლეებში და სასახლის ბაღებში ლექსი ისმის, თან ასეთი ფართო აუდიტორიის წინაშე, მართლა დიდებული სანახავია. ლექსი სასახლეში... ლექსი სასახლის ბაღში... ლექსთან მოსული მსმენელი... შთამბეჭდავია...**

- პირველ ყოვლისა, მინდა მადლობა გითხრათ, რომ გვესტუმრეთ. გენუაში წელს მეთორმეტედ ვატარებთ პოეზიის საერთაშორისო ფესტივალს. ეს ფესტივალი 1995 წელს დაიბადა. ტოკიოში შარშან პირველად ჩავატარეთ, ბრუშში ყოველ ორ წელიწადში ერთხელ. 2007 წელს ბრუშში ფესტივალი მესამედ შედგება.

**- პირადად თქვენ რა მნიშვნელობას ანიჭებთ ფესტივალს, რა სულიერი სარგებელი მოაქვს ამას საზოგადოებისთვის...**

- მნიშვნელოვანია პოეზიის გამოთქმა... მნიშვნელოვანია, რომ პოეზია მიიტანო საზოგადოებამდე, რომ ყოველდღიურ საქმეებში ჩაფლულ ადამიანს გაახსენო, რომ მშვენიერებისთვის არის შექმნილი. მნიშვნელოვანია, რომ საქმიანი ნაბიჯით მიმავალს გასძახო: - ჰეი, მოიცალე ლექსისთვის და შენში სულიერება გამოაღვიძე! მნიშვნელოვანია, რომ პოეზია არ დარჩეს მხოლოდ ელიტარულ ჩაკეტილ წრეში. ჩვენი ამოცანაა, რომ გაირღვეს ეს ჩაკეტილი წრე და პოეზია გავიდეს უფრო დიდ სივრცეში და სულიერად უფრო მეტი ადამიანი გაამდიდროს, ვიდრე ამას ელიტარული წრე იტევს.

**- მე, როგორც თქვენ იცით, საქართველოდან ვარ და არაფერი გასაოცარი არ იქნება, გამიჩნდეს წადილი, რომ ფესტივალის ქვეყნების ნუსხაში საქართველოსაც დაეთმოს ადგილი, მეტადრე, რომ საქართველოში ლექსის მდიდარი და ძველი ტრადიცია არსებობს.**



**კლაუდიო პოცანი - ცნობილი იტალიელი პოეტი.**

**ავტორი წიგნებისა: "ნოსტალგია და ერთფეროვნება", "ქეითი და მე", "დროის პერსპექტივა". გენუის, ტოკიოს, ბრუშის პოეზიის საერთაშორისო ფესტივალების დირექტორი.**

- მე ეს ძალიან გამიხარდება, რადგან მინდა სხვადასხვა კულტურასთან შეხვედრა. და ვიცი, რომ საქართველო არის უძველესი კულტურის ქვეყანა და, რაც მთავარია, პოეზიის დიდი ტრადიციის მქონე, ისევე, როგორც გენუა.

**- თქვენ თანამედროვე იტალიური პოეზიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი ხართ. ორიოდ სიტყვით ქართველი მკითხველისთვის დაახასიათეთ თანამედროვე იტალიური ლექსი.**

- მიმაჩნია, რომ თანამედროვე იტალიურ პოეზიაში ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება. კლასიკური მიმართულება და ფუტურიზმით ნასაზრდოები - ექსპერიმენტული. კლასიკური ფორმის გამომყენებლები თვლიან, რომ ისინი არიან ექსპერიმენტალისტები. ექსპერიმენტალისტები თვლიან, რომ ისინი არიან კლასიკოსები... მე, პირადად, მიქსის მომხრე ვარ. რამდენადაც იტალიურად თქვენს ლექსებს გავეცანი, ბატონო დათო, ვფიქრობ, რომ თქვენც მიქსის მომხრე ხართ, როცა პოეტისთვის ორივე ფორმა, კლასიკურიც და ექსპერიმენტულიც, ერთნაირად მისაღებია და მთავარ მნიშვნელობას სათქმელს ანიჭებს და მთავარ აქცენტს ერთ, რომელიმე ფორმაზე არ აკეთებს.

**- მე პირადად პოეზიის მომხრე ვარ ლექსში. სოფლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, სოფლის მარჩენალი მონადირე რა იარაღით ნადირობს, სოფლისთვის მთავარი ნანადირევია.**

- გეთანხმებით.

**- სახელმწიფო და არტი... რა ხელშეწყობა აქვს ფესტივალს სახელმწიფოსგან...**

- დახმარება სამი ტიპისაა: ლიგურიის რეგიონი, ლიგურიის პროვინცია და გენუის მერია.

**- კულტურის სამინისტრო?**

- ვინაიდან იტალიის კულტურაზე საუბრის დაწყებისთანავე ყველას პირველ რიგში მიქელანჯელო და ლეონარდო ახსენდება, ამიტომ ჩვენთან სამინისტროს ჰქვია კულტურული მემკვიდრეობის სამინისტრო და არიერგარდს აფინანსებს.

**- მართალია, სიტყვას - "იტალიური კულტურა", მეხსიერების ზედაპირზე ამოაქვს იტალიის რენესანსი: ჯოტო, ლეონარდო, რაფაელი, დანტე, ბოტიჩელი, ტიციანი, მიქელანჯელო, ბერნინი, მაგრამ ბევრი ძიება მეხსიერების წიაღში არც შემდეგ სახელებს სჭირდება: დესიკა, ანტონიონი, ფელინი, ანა მანიანი, მასტროიანი...**

- მომიტევეთ, გამომრჩა, სამინისტრო კინოსაც აფინანსებს.

**- მაშ, დავტოვოთ არიერგარდი სამინისტროს იმედად, ავანგარდი კი რეგიონს, პროვინციას და მერიას მივანდოთ და, რაღა თქმა უნდა, იმ ხელოვანებს, ვინც ქმნის თანამედროვე ხელოვნებას.**

**P.S.**

საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს საქართველოს საელჩოს მეტად სასარგებლო საქმიანობა იტალიაში კულტურული ურთიერთობის განვითარების საქმეში. მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი საელჩოს ყველა თანამშრომელს და პირადად სრულუფლებიან ელჩს, ბატონ ზაზა გოგსაძეს.

*ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა*

*ბენედეტო კროჩე*

# ვარდების ომის გმირი

**ნოდარ ლადარია**
**ლეილა ბეჟარაშვილი**

თეთრი და ალისფერი ვარდების ომის შესახებ ყველას გაგვიგონია რაიმე მაინც. ამ რომანტიული სათაურის მიღმა მეტად პროზაული მიზეზები დგას: ჯერ კიდევ მე-14 საუკუნის მეორე ნახევრიდან ინგლისში ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული "ლივრეის ფეოდალიზმი" — ვასალს უკვე მიწის ნაკვეთს კი არ აძლევდნენ, არამედ ფულადი თანხით უსწორებდნენ ანგარიშს. ამიტომაც ვასალები სულაც არ იყვნენ დაინტერესებულნი მდგომარეობის შენარჩუნებით: ისინი მდგომარეობის გაუმჯობესებას ესწრაფოდნენ, ამიტომ ადვილად გადადიოდნენ ისეთ სენიორთან, რომელიც მეტს გადაუხდიდა. და რადგან ვასალთა რაოდენობა ავტორიტეტის მაჩვენებელი იყო, სენიორებს შორის კონკურენცია გამძაფრდა. მე-15 საუკუნეში აშკარად გამოიკვეთა ორი ცენტრი, რომელთა შორის დაძაბულობამ ფეოდალური სივრცე გაფხრიწა და ამ განაფხრეწზე წარმოიშვა სისხლიანი კონფლიქტი, ვარდების ომის სახელით ცნობილი.

კაცმა რომ თქვას, ეს გრანდიოზული ოჯახური ჩხუბი იყო: მისი მონაწილე **იორკის** (თეთრი ვარდები) და **ლანკასტერის** (ალისფერი ვარდები) საგვარეულოები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ნათესაური კავშირებით. რა თქმა უნდა, მათ შორის კონფლიქტის მიზეზი მხოლოდ უკვე ნახსენები ეკონომიკური საფუძველი არ ყოფილა და არც ღერბზე გამოსახული ყვავილის ფერი: კონფლიქტის ფორმალურ მიზეზს დინასტიური კამათი წარმოადგენდა. მოკლედ რომ ვთქვათ, 1154 წელს ინგლისის ტახტზე ავიდა ნორმანთა დინასტიის შორეული მემკვიდრე **გოდფრი**, რომელსაც ქუდზე კურდღლისცოცხას (ლათინურად "პლანტა გინესტა") ტოტის დამაგრება უყვარდა. ამ ჩვევის გამო **პლანტაგენეტის** წოდება მიიღო. სწორედ პლანტაგენეტების გვარის ორ განშტოებას წარმოადგენდნენ იორკისა და ლანკასტერის ოჯახები.

ამათ შორის დავა 1455 წელს ატყდა, მაგრამ ახლა ჩვენ ამ ისტორიის მხოლოდ ერთი მონაკვეთი გვაინტერესებს: 1471 წელს **ტიუკსბერის** ბრძოლაში იორკის გვარის **ედუარდ მეოთხემ** გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა და 12 წლის განმავლობაში მშვიდობიანად მართავდა ინგლისს. მისი მემკვიდრე უნდა გამხდარიყო 12 წლის ყმაწვილი, **ედუარდ მეხუთე**. აი, აქ შემოდის ჩვენი გმირი, ედუარდ მეოთხის ძმა, რომელმაც, კანონიკური ისტორიის თანახმად, "მთელი რიგი მკვლელობების შედეგად მიიღო მეფის ტიტული, ტახტზე ავიდა როგორც **რიჩარდ მესამე,** ბრძანა თავისი ძმისწულების დახრჩობა და საყოველთაო სიძულვილი დაიმსახურა გაუმართლებელი სისასტიკის გამო".

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ისტორიის ამგვარი შეფასება აშკარად ატარებს იმ დემონური ხატის გავლენას, რომელიც **უილიამ შექსპირის** გენიამ შექმნა. 1597 წელს გამოქვეყნებული "რიჩარდ მესამე" შექსპირის მეოთხე ტრაგედიაა. თანაც დიდი ბარდი არ ყოფილა პირველი, ვინც ამ თემით დაინტერესდა. მანამდე უკვე არსებობდა რიჩარდისადმი მიძღვნილი რამდენიმე პიესა. 1579 წელს დოქტორმა **ტომას ლეგმა** ლათინურად დაწერა ტრაგედია "Richardus tertius", რომელსაც კემბრიჯის სტუდენტები დგამდნენ საუნივერსიტეტო სცენაზე. 1594 წელს გამოიცა ანონიმური პიესა "მართალი ტრაგედია რიჩარდ მესამის შესახებ" — როგორ ჰგავს ეს სათაური ცნობილ ბესტსელერს "პრინცესა დიანა, მისი ნამდვილი ისტორია"! არ არის არავითარი საბუთი, რომ შექსპირი ამ ნაწარმოებებს იცნობდა: როგორც სხვა დროს, აქაც მისი მთავარი წყარო იყო **რაფაელ ჰოლინშედის** თხზულება "ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის ქრონიკები".

თუმცა შექსპირი თავის შემოქმედებაში სულაც არ ცდილობდა ისტორიული ობიექტურობის შენარჩუნებას. უკვე ტრაგედიის სრულ სათაურში ჩანს მისი ტენდენციურობა: "მეფე რიჩარდ მესამის ტრაგედია, რომელიც შეიცავს მის მუხანათ ხრიკებს თავისი ძმის, კლარენსის წინააღმდეგ, მისი უმანკო ძმისწულის მოკვდინებას, მის მიერ ტახტის ბოროტად დაპყრობას, სხვა ყოველგვარ ცნობებს მისი საზიზღარი ცხოვრებისა და სავსებით დამსახურებული სიკვდილისა". თუ შუა საუკუნეებში ნაწარმოების სათაურ-





*რიჩარდ მესამე - ნამდვილი (მარცხნივ) და გამოგონილი.*



# შავბნელი ლეგენდის ავტორები

ცნობილია, რომ დამარცხებულთა ისტორიას გამარჯვებულნი წერენ — სხვანაირად შეუძლებელია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან ძნელია და იშვიათად ხდება. **რიჩარდ მესამის** შემდეგ მოსული **ჰენრი მეშვიდის**, ტიუდორის უფლებები ინგლისის ტახტზე ერთობ საეჭვო იყო — მისი სამემკვიდრო პოზიცია ასე გამოიყურებოდა: მეფე **ედუარდ მესამის** უმცროსი უკანონო ვაჟის შვილთაშვილი. ტახტზე კანონიერი მემკვიდრე იმ მომენტში იყო გრაფი **უორვიკი**, თვით რიჩარდის მიერ დასახელებული. თუმცა აქ არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: რიჩარდის გამეფების საპარლამენტო აქტის მოსპობით ჰენრი მეშვიდემ ფაქტობრივად აღადგინა იმხანად ტაუერში მყოფი **ედუარდ მეხუთის** უფლებები — ასე რომ, ცნობილი უფლისწული ახლა უკვე მისი კარიერისთვის წარმოადგენდა რეალურ საფრთხეს.

ასე რომ, თავის აღსარებაში ჯეიმს ტირელი ალბათ მხოლოდ ნაწილობრივ ტყუის: როგორც ეტყობა, მხოლოდ შემკვეთის სახელი უნდა შევცვალოთ. 1674 წელს ტაუერის ერთ-ერთი კიბის ქვეშ, სამი მეტრის სიღრმეში მართლაც იპოვეს ადამიანის ძვლები. მეფე **ჩარლზ მეორის** ბრძანებით ისინი ვესტმინსტერის სააბატოში დაკრძალეს. 1933 წელს ნეშტს ექსპერტიზა ჩაუტარდა და დადგინდა, რომ ჩონჩხები ეკუთვნის 10 და 12 წლის ბავშვებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტირელის ჩვენება მართალია, ოღონდ უკვე ჰენრი მეშვიდის ხანას შეესაბამება. თავიდან ტიუდორები არაფერს ამბობდნენ ძმების სიკვდილზე: ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღეს, როცა აღარავინ იყო ცოცხალი იმათგან, ვინც დაამოწმებდა, რომ ბოსუორტის საბედისწერო ბრძოლის დროს ბავშვები ცოცხლები იყვნენ.

ჰენრი მეშვიდის ვერაგობა მართლაც არნახული იყო. მაგალითად, თავისი მეფობის პირველ დღედ მან ბოსუორტის ბრძოლის შემდგომი კი არა, წინ დღე ჩაანერინა, რითაც ყველა, ვინც რიჩარდ მესამის გვერდით იდგა, ავტომატურად მიიჩნეოდა სახელმწიფო მოღალატედ.

რიჩარდ მესამის გაკიცხვაში დიდი როლი შეასრულა **ტომას მორის** მიერ დაწერილმა ისტორიამ. მაგრამ ტომას მორი ცუდი მოწმეა: რიჩარდის სიკვდილის წელს იგი მხოლოდ შვიდი წლისა იყო, ასე რომ, თუ თხზულება მას ეკუთვნის, მასში აშკარად უნდა შევიცნოთ მოღალატე **ჯონ მორტონის**, ახლა უკვე კენტერბერის მთავარეპისკოპოსის ხელი. სწორედ ტომას მორის ამ თხზულებაში გადავიდა პირველად პოლიტიკური პამფლეტის მეტაფორა ისტორიული ნაშრომის ფურცლებზე და რიჩარდ მესამე მკითხველის წინაშე კუზიანი და სატანასავით კოჭლი წარდგა. მოწამეობრივმა სიკვდილმა კიდევ უფრო განამტკიცა ტომას მორის ნაწარმოებისადმი ნდობა.

თუმცა ჭეშმარიტების ხმა ინგლისში მთლად ჩახშობილი არ ყოფილა: ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში რიჩარდის ღირსების დასაცავად დაიწერა დოქტორ **ბაკის** ტრაქტატი; მე-18 საუკუნეში მას მოჰყვა გოთიკური რომანის ფუძემდებლის, სერ **ჰორაციო უოლპოლის** წიგნი. მე-19 საუკუნეში ამავე მიზანს დიდი ენერგია შესწირა ისტორიკოსმა **მარკჰემმა**. მე-29 საუკუნეში კი რიჩარდ მესამის სარეაბილიტაციოდ აქტუალობით წიგნი დაიწერა. შეიძლება დავასახელოთ **ჯორჯ პოტერის** 1983 წელს გამოსული ნაშრომი "კეთილი მეფე რიჩარდი".

მაგრამ ყველაფერი ძველებურადაა სასკოლო სახელმძღვანელოებში. სწორედ ესაა მთავარი — აქ იბუდებს ისტორიული მითოლოგიის გველი. მისი მოკვლა შეუძლებელია, მას ნელ-ნელა თუ ამოხდება სული საუკუნეთა განმავლობაში. მით უმეტეს, იმ ქვეყანაში, სადაც მოქმედებს **ოსკარ უაილდის** გესლიანი ნათქვამი: "საბედნიეროდ, ინგლისში განათლება ვერავითარ კვალს ვერ ტოვებს".

იქნებ დროა ვაღიაროთ, რომ ეს სენტენცია საქართველოშიც მართლდება — ქვეყანაში, სადაც ოფიციალურად წმინდანად შერაცხეს გიორგი ჭყონდიდელი, **კონსტანტინე გამსახურდიას** რომანის, "დავით აღმაშენებლის" პერსონაჟი.

# ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა

*ბენედეტო კროჩე*

ის იდეა ლიტურგიული რუბრიკებიდან წარმოიშვა, ბაროკოს ხანაში ის უკვე აშკარად ანოტაციის ფუნქციასაც ასრულებდა.

შექსპირის მთავარი მიზანი ბოროტების ჩვენება იყო. ამისთვის დრამატურგი ფაქტებთან თამაშსაც არ ერიდებოდა: ტრაგედიაში რიჩარდი გვევლინება **სენტ-ოლბენსის** ბრძოლის აქტიურ მონაწილედ, თუმცა ისტორიული რიჩარდი 1455 წელს მხოლოდ სამი წლისა იყო. შექსპირთან **ლედი ანა** მოკლული პრინცის, ედუარდის ცოლია. სინამდვილეში კი მხოლოდ საცოლე იყო, თანაც არა სიყვარულით, არამედ დინასტიური მოსაზრებებით დაწინდული. სამაგიეროდ შემონახულია რეალური რიჩარდისა და ლედი ანას მიმოწერა, საიდანაც ცხადია, რომ მათ შორის ურთიერთობა ნამდვილად ერთგული ორმხრივი სიყვარული იყო.

შექსპირის რიჩარდი მრავალი ღირსებითაა დაჯილდოებული: იგი მჭევრმეტყველია და დიპლომატი, მოხერხებული პოლიტიკოსი და ფაქიზი ფსიქოლოგი, ადვილად აღწევს ქალებისა და მამაკაცების, ლორდებისა და მდაბიორების შინაგან სამყაროში, ერთნაირი სისხარტით ფლობს ხმალსაც და ინტრიგის ხელოვნებას... თუმცა ეს ყველაფერი კიდევ უფრო საშინელს ხდის მის მიერ ჩადენილ ბოროტებას. თანაც შექპირის რიჩარდი მახინჯია: კუზიანი და კოჭლი, რომლის დანახვაზე ძაღლებიც კი ყეფას იწყებენ.

აქ საქმე გენიოსის შემოქმედებით აღმაფრენასთან გვაქვს: გენიოსმა აბსოლუტური ბოროტების ასახვა მოინდომა და გამოუვიდა კიდეც. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ისტორიული რიჩარდ მესამე სულ სხვანაირი აღმოჩნდება.

დავიწყოთ იმით, რომ ჩვენი გმირი სულაც არ ყოფილა მახინჯი: არც კუზი ჰქონია და არც გამხმარი ხელი. მართალია, ედუარდთან შედარებით ოდნავ ტანმორჩილი იყო, თუმცა დიდი ფიზიკური ძალით გამოირჩეოდა და ჯირითსა და ორთაბრძოლაში ბადალი არ ჰყავდა. ყბადაღებული სიმახინჯე პირველად ვინმე **რუზის** მიერ დაწერილ პოლიტიკურ პამფლეტში გამოჩნდა: ამ ავტორმა, რომელიც რიჩარდის მძლეველის, ჰენრი მეშვიდის კარზე მოღვაწეობდა, დაწერა, რომ რიჩარდმა ორი წელი დაჰყო დედის მუცელში, დაიბადა კუზიანი, გამხმარი ხელით, ყველა კბილითა და მხრებზე დაფენილი თმებით.

ისტორიული რიჩარდის ღერბზე ფრანგულად ეწერა დევიზი: "ერთგულება განმამტკიცებს". ეს სრულიად შესაბამისი იყო მისი ბუნებისა. იგი ყოველთვის მხარს უჭერდა თავის ძმას, ედუარდ მეოთხეს: ტიუსკბერიში სწორედ რიჩარდის ორასი მხედრის საბოლოო შეტევამ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. ედუარდ ლანკასტერის მკვლელად იგი მხოლოდ ტიუდორების დინასტიის გამეფების შემდეგ აქციეს და მას არც **ჰენრი მეექვსის**, ლანკასტერის მკვლელობაში მიუძღვის ბრალი. ამ ბნელ საქმეთა ავტორების სახელები ქრონიკებმა შემოინახა და მათი ხსოვნის გაღვიძება არ ღირს. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ როგორც ისტორიის, ასევე ლანკასტერთა სახლის წინაშე რიჩარდ მესამე სრულიად უდანაშაულოა.

ძმის, ედუარდ მეოთხის მმართველობისას რიჩარდი ჩრდილოეთ ინგლისს განაგებდა. აქ ლანკასტერთა ტრადიციული დასაყრდენი იყო. მაგრამ რიჩარდმა ისეთი პოლიტიკური ალღო და სიბრძნე გამოიჩინა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ამ რეგიონის მოსახლეობა მასობრივად უჭერდა მხარს იორკებს.



*ლონდონის ტაუერი დღეს.*

რაც შეეხება შუათანა ძმის, **ჯორჯის**, კლარენსის ჰერცოგის მკვლელობას, შექსპირი აქაც ურევს ფაქტებს. კლარენსი თავიდანვე მოღალატე და ინტრიგანი იყო. პირველად ძმებს 1470 წელს უღალატა, როცა ლანკასტერთა მხარეს გადავიდა, რადგან ტახტის მემკვიდრეობას დაჰპირდნენ. მაგრამ საქმე არ გამოვიდა და ჯორჯიც ოჯახს დაუბრუნდა, რაშიც უმცროსმა ძმამ, რიჩარდმა დაარწმუნა. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო: ჯორჯმა მალე **მარიამ ბურგუნდიელის** შერთვა დააპირა — ეს ევროპაში ყველაზე მდიდარი პატარძალი, საფრანგეთის მეფის, **შარლ მამაცის** ქალიშვილი იყო. ასე ფიქრობდა ძმის ტახტიდან ჩამოშორებას და ფრანგების დახმარებით შოტლანდიისა და ინგლისის გაერთიანებას. მაგრამ დინასტიურმა მოსაზრებებმა სხვაგვარად წარმართა მოვლენები და მარიამი მაქსიმილიანე ავსტრიელს გაჰყვა ცოლად. მაშინ ჯორჯმა პირდაპირ დაუმიზნა შოტლანდიის მეფის, **ჯეიმს მესამის** ქალიშვილს. ამისათვის იდუმალ მოლაპარაკებებს აწარმოებდა სხვადასხვა სამეფო კარებთან, რათა ეცნოთ მისი პრეტენზიები ინგლისის ტახტზე. ამის ატანა ედუარდ მეოთხემ უკვე ველარ შეძლო და ძმის საკითხი პარლამენტს გადასცა. პარლამენტმა სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა, მაგრამ ჯორჯი საკუთარ თავის მოკვეთას ვერ მოესწრო — ტაუერში გარდაიცვალა. მოგვიანებით გაავრცელეს ჭორი, თითქოს მოღალატე ჰერცოგი ღვინის კასრში დაახრჩვეს. მისი მკვლელის პატივი შექსპირის ხელიდან რიჩარდ მესამეს ერგო. მატიანეების კი სხვა რამეს ამბობენ: როგორ ცდილობდა რიჩარდი ძმის სიცოცხლის დახსნას — ტიუდორთა ქრონიკებმაც ვერ აუარეს გვერდი ამ აშკარა ფაქტს, მხოლოდ გესლიანად ჩაურთეს რამდენიმე სიტყვა: "ამბობენ რომ...".

რაც შეეხება ტახტის უზურპაციას, საქმე ასე იყო: რიჩარდმა მცირეწლოვანი მემკვიდრის მეურვეობა მიიღო. მან დაიწყო მეფედ კურთხევის ცერემონიის მომზადება და ბრძანა, დაეწყოთ მონეტის მოჭრა ახალგაზრდა ედუარდ მეხუთის პროფილით. მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა ვინმე დოქტორი **შოუ**, რომელმაც მართლაც რომ პოლიტიკური შოუ მოაწყო და საჯარო ქადაგებებში ამტკიცებდა, რომ უფლისწულს არა აქვს ტახტზე ასვლის უფლება. შოუმ თვით პარლამენტამდე მიაღწია და იქ დაამტკიცა, რომ უფლისწული უკანონოდაა შობილი: ცხონებულ ედუარდ მეოთხეს ძალიან უყვარდა ქალები; თუ **ჰენრი მერვე** მობეზრებულ ცოლებს ჯალათის ხელში აგდებდა, კეთილი ედუარდი მათ უბრალოდ უშვებდა და ახალს ირთავდა. ამიტომაც ბოლო ცოლთან ქორწინება ვერ მიიჩნეოდა კანონიერად. ინგლისის პარლამენტმა მიიღო სრულიად ლეგიტიმური დადგენილება: ტახტი ეკუთვნის გარდაცვლილი მეფის ძმას, რიჩარდ მესამეს. არავითარი უზურპაცია არ ყოფილა.

ახლა კი **ჰასტინგსის** მკვლელობა. ეს ყმაწვილი მეტად უკმაყოფილო იყო პარლამენტის გადაწყვეტილებით, ამიტომაც მოაწყო შეთქმულება რიჩარდის დასამხობად. ამ უკანასკნელმა საქმე გახსნა და შეთქმულების სამი ხელმძღვანელი დააპატიმრა. კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული, "უტოპიის" ავტორი **ტომას მორი** ამბობს, რომ ჰასტინგსს მაშინვე მოჰკვეთეს თავი და მხოლოდ გამვლელ ბერთან აღსარების თქმის საშუალება მისცეს. სიმართლის მოყვარული ამჯერად ცრუობს: სამივე სახელმწიფო დამნაშავე პარლამენტმა გაასამართლა ექვსი დღის შემდეგ და მხოლოდ ორს მიუსაჯა სიკვდილი: ეპისკოპოსი **ჯონ მორტონი** საკუთარ ეპარქიაში "გადაასახლეს". დანარჩენი შეთქმულნი შეინდეს.

ახლა კი უმთავრესი ბრალდება — მცირეწლოვანი უფლისწულები. პარლამენტის დადგენილების შემდეგ ესენი სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. სამაგიეროდ, იყო თხუთმეტიოდე პიროვნება, რომლებსაც ნამდვილად ჰქონდათ ინგლისის ტახტზე ასვლის უფლება. ყველანი მშვენივრად გრძნობდნენ თავს რიჩარდის სიცოცხლეში (ერთ-ერთი მათგანი, გრაფი **უორვიკი**, რიჩარდმა მემკვიდრედაც გამოაცხადა საკუთარი შვილის სიკვდილის შემდეგ) და მხოლოდ გამეფებულმა ტიუდორებმა გაჟლიტეს სათითაოდ.

რიჩარდის სიცოცხლეში მას არავინ ადანაშაულებდა მცირეწლოვანთა მკვლელობაში. მხოლოდ ერთხელ, გაკვრითაა მოხსენიებული ეს ამბავი ერთი დოკუმენტში, რომელიც ლონდონიდან შორს, ილის ეპარქიაში დაიწერა, სწორედ იქ, სადაც გადაასახლეს მოღალატე ეპისკოპოსი, ჯონ მორტონი. ვრცელი ლეგენდა უფლისწულთა მკვლელობის შესახებ დაიბადა საფრანგეთში და მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ შეაღწია ინგლისში. აქ ყველა მემატიანე რატომღაც ეყრდნობა ვინმე **ჯეიმს ტირელის** ჩვენებას, თუმცა ამ ჩვენების ნამდვილი ტექსტი დღემდე არავის უნახავს. არ უნახავთ ის მაშინდელ ქრონისტებსაც. ტირელმა თითქოს თქვა (სავარაუდო მკვლელობიდან ოცი წლის შემდეგ!), რომ როჩარდმა მკვლელობა ჯერ **რობერტ ბრეკენბერის**, ტაუერის მოურავს დაავალა, მაგრამ იმან წაუყრუა. ამიტომ მეფემ ტირელს დაავალა ბრეკენბერისთვის გასაღების გამორთმევა. ტირელმა ორ ავაზაკს, **დაიტონსა** და **ფორესტს** დაავალა ბავშვების დახრჩობა, მერე გვამები კიბის ქვეშ დამალეს და ქვები დააყარეს. ისინი ვიღაც მღვდელმა იპოვა და უცნობ ადგილას გადაასვენა. მაგრამ ამ დროისთვის ბრეკენბერი უკვე დაღუპული იყო, უცნობ მღვდელს კი, აბა, ვინ იპოვიდა! ტირელი მანამდე მოკლეს, სანამ მის "ჩვენებას" გამოაქვეყნებდნენ და არც ორი ავაზაკი იყო ცოცხალი... საინტერესოა, რომ დღემდე არ იციან უფლისწულთა საფლავის ადგილსამყოფელი — აბა, ტიუდორები ხომ არ დაუწყებდნენ ძებნას იმას, რაც არ არსებობდა.

არც ლედი ანას მოწამლვის ამბავია მართალი, რადგან რიჩარდის მეუღლე 1485 წლის მარტში მოკვდა ჭლექით. ამის შემდეგ, შექსპირის ვერსიის საწინააღმდეგოდ, რიჩარდს არ უცდია **ელისაბედის** მოხიბლვა — ეს მხოლოდ ჭორი იყო.

რიჩარდ მესამის მეფობამ ინგლისში სულ რაღაც ორი წელი გასტანა, მაგრამ ამ დროისთვის მან ბევრი რამ მოასწრო: ჩაატარა პარლამენტის რეფორმა, შემოიღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (დღემდე სამართალწარმოების ყველაზე სრულყოფილი ფორმა), გამოსცა კანონი, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს ნაფიც მსაჯულებზე ყოველგვარი ზემოქმედებისათვის, მიაღწია მშვიდობას შოტლანდიასთან, განახორციელა ჯარის რეფორმა და იყო ხელოვნების მფარველი, განსაკუთრებით, მუსიკისა და არქიტექტურისა.

საყოველთაოდ მიღებული ვერსიის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ რიჩარდი ლმობიერებამ დაღუპა. მან სასამართლოს გადაწყვეტილებით თავები მოჰკვეთა ჰასტინგსსა და ბეკინგებს, მაგრამ დანარჩენები დაინდო. მათ შორის მექრთამე და სეპარატისტი ეპისკოპოსი ჯონ მორტონი იყო, რომელმაც პირველად გაავრცელა ხმა რიჩარდის მიერ უფლისწულების დახრჩობის შესახებ... მან დაინდო მეამბოხე ძმები **სტენლები**, რომლებიც პირდაპირ ბრძოლის ველზე გადავიდნენ ტიუდორთა მხარეზე... მან აპატია გრაფ **ნორტუმბერლენდს** და მანაც ბოსუორტში არ შეიყვანა ბრძოლაში თავისი ლეგიონი: შორიდან უთვალთვალებდა, როგორ იღუპებოდა ერთი მუჭა ერთგული ხალხით გარშემორტყმული კანონიერი მეფე.

მაგრამ სამუდამოდ დარჩება ერთი პატიოსანი ქრონისტის სიტყვები, რომელიც უკვე ტიუდორების დროში, სიცოცხლის რისკის მიუხედავად წერდა: "იმ უბედურ დღეს ჩვენი კეთილი მეფე რიჩარდი, დამარცხებულ და მოკლულ იქნა ბრძოლაში, რის გამო ქალაქებში დიდი მწუხარების ხანი დადგა".

# ნადირობა ცხვრებზე




"...იცეკვე და არ გაჩერდე. არ დაფიქრდე, თუ რა აზრია ამაში. აზრი არ არის და არც ყოფილა არასდროს. დაფიქრდები და ფეხებიც გაჩერდება... დაწყდება სამყაროსთან შემაერთებელი ყველა ძაფი. ამიტომ არ შეიძლება, რომ ფეხები გაჩერდეს. არ მიაქციო ყურადღება არაფერს, თუნდაც ყველაფერი სულელური და უაზრო გეჩვენებოდეს გარშემო. ყური მიუგდე რიტმს და განაგრძე ცეკვა... ლიმონივით გამოწურე საკუთარი თავი და გახსოვდეს - საშიში არაფერია. შენი მთავარი მეტოქე დაღლილობაა, დაღლილობა და პანიკა დაღლილობისგან. ეს ყველას ემართება. მოგეჩვენება, რომ ეს ქვეყანა უკულმართად არის მოწყობილი და ფეხები თავისდაუნებურად გაჩერდება... არადა, სხვა გზა არ არის. აუცილებლად უნდა იცეკვო. და არა მარტო იცეკვო, უნდა ძალიან კარგად იცეკვო, ისე, რომ ყველა შენ გიყურებდეს... ასე რომ, იცეკვე. იცეკვე, სანამ მუსიკა უკრავს!"

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. ღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

"შტატებში თითქმის ხუთი წელი გავატარე. სრულიად მოულოდნელად იქ იაპონიასა და იაპონელებზე წერა მომინდა. მანამდე მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ სამყაროზე ვწერდი".

მურაკამიმ ერთ-ერთმა პირველმა აუხილა თვალი ასიათასობით მკითხველს თანამედროვე იაპონიაზე მისი ალტერნატიული ახალგაზრდული სუბკულტურით, რომელიც არაფრით განსხვავდება ნიუ იორკის, ლონდონის, მოსკოვის, სტამბულის, თბილისის ანალოგიური გარემოსგან. მისი გმირი ახალგაზრდა უსაქმური კაცია, რომელიც უჩვეულო ფორმის ყურების მქონე გოგოს ძებნას იწყებს. უყვარს ავტომობილით უაზრო სეირნობა ქალაქში და მკითხველს უზიარებს თავის სასიცოცხლო შთაბეჭდილებებს და კითხვებს: რატომ არის იაპონური "სუბარუ" უფრო მყუდრო, ვიდრე იტალიური "მაზერატი", როგორ ჭრიან ცალხელა ინვალიდები პურს და რა სასწაულით იქცა "ბოი ჯორჯი" რეპერ-ვარსკვლავად.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".

ის ეთაყვანება პოპკულტურას. "როლინგსთოუნზს", "დორზს", "დევიდ ლინჩს", საშინელებათა ფილმებს, სტივენ კინგს, რეიმონდ ჩანდლერს, დეტექტივებს - ყველაფერ იმას, რასაც არ ცნობს განათლებული ბოჰემური წრის მაღალშუბლიანი ესთეტების ინტელექტუალური საზოგადოება. მის სულთან უფრო ახლოს არიან ხმაურიანი დისკობარების ბიჭები და გოგოები, რომლებსაც უყვარდებათ ერთი დღით, ერთი საათით და თავიანთი გატაცებები მხოლოდ აღმუვლებულ მოტოციკლზე ქროლვის დროს ახსენდებათ. იქნებ სწორედ ამიტომაც ქალში უცნაური ყურები მოსწონს და არა თვალები, რადგან არ აპირებს თავის მოკატუნებას და ნებისმიერ სიტუაციაში და ნებისმიერ ადამიანთან რჩება ისეთი, როგორც არის. აი, ასეთი შეიყვარა კიდეც მთელმა მსოფლიომ. იმედია, ასეთს შეიყვარებს ქართველი მკითხველიც.



ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

## ნაწილი პირველი

### 25.11.1970. პიკნიკი შუა კვირაში

მისი სიკვდილის შესახებ ტელეფონით შემატყობინა ძველმა ნაცნობმა. შემთხვევით გადააწყდა გაზეთში რამდენიმე სტრიქონს. სულ რაღაც ერთაბზაციანი შენიშვნა ხმამაღლა წამიკითხა პირდაპირ ყურმილში. ჩვეულებრივი საგაზეთო ქრონიკა. ახალბედა ჟურნალისტმა, რომელმაც ეს-ეს არის დაამთავრა უნივერსიტეტი, ფხა მოუსინჯა კალამს.

ამა და ამ დროს ამა და ამ ადგილას სატვირთო მანქანის საჭესთან მჯდომმა მავანმა და მავანმა გაიტანა მავანი და მავანი.

მიმდინარეობს გამოძიება. არკვევენ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის შესაძლებლობას.

ზუსტად ისე, როგორც ჟურნალის გარეკანის მეოთხე გვერდზე გარითმული რეკლამა.

- სად ასაფლავებენ? - შევეკითხე.

- აბა, მე რა ვიცი, - გაუკვირდა, - ჰყავდა კი საერთოდ ოჯახი?

* * *

რა თქმა უნდა, ჰყავდა ოჯახი.

პოლიციაში დავრეკე. მისამართი და ტელეფონის ნომერი ვიკითხე. მერე ოჯახს დავუკავშირდი და დაკრძალვის დღე და საათი გავიგე. ჩვენს დროში, როგორც ერთხელ ვიღაცამ თქვა, თუ ძალიან მოინდომებ, ნებისმიერი რამის გაგება შეიძლება.

ოჯახი "ძველ ქალაქში", სიტამატიში ცხოვრობდა. ტოკიოს რუკა გავშალე, მისამართი მოვძებნე და სახლი წვრილი წითელი ფლომასტერით შემოვხაზე. მართლაც ძველისძველი რაიონი იყო დედაქალაქის განაპირას. მეტროს, მატარებლებისა და ავტობუსების ხაზების დატოტვილმა ქსელმა კარგა ხანია დაკარგა რაღაც გამოკვეთილი სახე და ვიწრო ქუჩებსა და ჩამდინარე წყლების არხებში ჩაწნული ნესვის დანაოჭებულ ქერქს დაემსგავსა.

დანიშნულ დღეს სადგურ ვასედადან საგარეუბნო მატარებლით დაკრძალვაზე გავემგზავრე. ბოლოსწინა გაჩერებაზე ჩამოვედი, ტოკიოს გარეუბნების რუკა გავშალე და აღმოვაჩინე, რომ ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა მჭეროდა ხელში მსოფლიოს რუკა. მის სახლამდე მისვლა რამდენიმე კოლოფ სიგარეტად დამიჯდა, რომლებსაც ერთიმეორის მიყოლებით ვყიდულობდი, როცა გზას ვკითხულობდი.

ხის სახლი ჩაშავებულ ფიცრის მესერს იქით იდგა. წელში მოხრილმა გავიარე დაბალი ჭიშკარი და ეზოში შევედი. ბაღი მარცხენა მხარეს, ეტყობა, რაღაც გაურკვეველი მიზნით იყო დაყოფილი, "ყოველი შემთხვევისთვის"; სადღაც კუთხეში მიტოვებული თიხის საცხობი თითქმის მტკაველზე აევსო ადრე მოსულ წვიმებს. ბაღში მიწა ჩაშავებულიყო და სინესტისგან ლაპლაპებდა.

სახლიდან თექვსმეტი წლისა გაიქცა. ეტყობა, ამიტომაც ჩაიარა დაკრძალვამ ასე უხმაუროდ, მალულად, შინაურ წრეში. ოჯახში მხოლოდ მოხუცები იყვნენ, დაკრძალვის საქმეებს კი ოცდაათს ოდნავ გადაცილებული ძმა თუ ბიძაშვილი აგვარებდა.

გარდაცვლილის მამა, ორმოცდაათიოდე წლის დაბალი კაცი, შავი კოსტიუმითა და მკერდზე სამგლოვიარო ბაფთით, კარის ჩარჩოს მიყრდნობოდა. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. ეს-ეს არის წყალდიდობაგადავლილ ასფალტს მიუგავდა სახე. წასვლისას უსიტყვოდ დავუკარი თავი. პასუხად უსიტყვოდვე დამემშვიდობა.

პირველად 1969 წლის შემოდგომაზე შევხვდი. მე ოცი წლისა ვიყავი, ის - ჩვიდმეტის. უნივერსიტეტთან ახლოს, პატარა კაფეში, მთელი ჩვენი კომპანია იკრიბებოდა. ისე რა კაფე იყო, მაგრამ გარანტირებული მძიმე როკითა და ასევე გარანტირებული უგემური ყავით.

ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე იჯდა და იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობილს ერთთავად თავი წიგნებში ჰქონდა ჩარგული. ორთოპედიული ხელსაწყოს მსგავსი სათვალითა და გაჩხინკული მაჯებით სიახლოვის რაღაც უცნაურ გრძნობას იწვევდა ჩემში. ყავა ერთთავად უცივდებოდა, საფერფლე კი მუდამ ნამწვებით ჰქონდა სავსე. თუკი რამე იცვლებოდა, მხოლოდ წიგნების დასახელება. დღეს ეს მიკი სპილეინი შეიძლებოდა ყოფილიყო, ხვალ - ოე კენძაბურო, ზეგ - ალენ გინზბერგი... მოკლედ, წასაკითხი ყოფილიყო და სულ ერთია, რაც იქნებოდა. კაფეში მომსვლელ-წამსვლელი სტუდენტური საძმო დროდადრო რაღაც საკითხავს უტოვებდა, ისიც ბატიბუტივით ერთიმეორის მიყოლებით ახრამუნებდა წიგნებს. ეს ის დრო იყო, როცა ადამიანები დაუნანებლად ათხოვებდნენ ერთმანეთს წიგნებს. ვფიქრობ, მას ამის გამო არავინ შეუწუხებია. "დორზის", "როლინგსთოუნზის", "ბიორდზის", "დიფ ფარფლის", "მუდი ბლუზის" დროება იყო. ჰაერი ლამის ცახცახებდა ძლიერი დაძაბულობისგან: საკმარისი იყო ერთადერთი პანღური, რომ ყველაფერი უფსკრულში ჩაჩეხილიყო. დროს იაფფასიანი ვისკის სმაში, არცთუ ხეირიან სექსში, უაზრო კამათსა და ქირით გამოტანილ წიგნებში კლავდნენ. უგერგილო და უთავბოლო სამოციანი წლები ზრიალ-ჭრიალით ხურავდა ფარდას.

სახელი დამვიწყებოდა.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა კიდევ ერთხელ გადამექექა საგაზეთო ქრონიკა. ის ერთაბზაციანი შენიშვნაც მეპოვა სახელთან ერთად. მაგრამ ახლა ეს სულ ერთი იყო ჩემთვის. ვერც კი ვიხსენებ, როგორ ჟღერდა მაშინ. ეს არის და ეს.

დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა გოგონა, რომელიც წვებოდა ყველასთან, ვისთანაც მოუწევდა...

აი, რა ერქვა მას.

თუ უფრო სერიოზულად მივუდგებით ამ საქმეს, აღმოჩნდება, რომ სულაც არ წვებოდა პირველ შემხვედრთან. ეჭვი არ მეპარება, რომ რაღაც საკუთარი, სხვებისთვის ამოუცნობი კრიტერიუმები ჰქონდა. და მაინც, ნებისმიერი ყურადღებიანი დამკვირვებელი იტყოდა, რომ თითქმის ყველასთან იწვა.

მხოლოდ ერთხელ, ისიც უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ვკითხე ამ კრიტერიუმებზე.

- რა ვიცი აბა, როგორ გითხრა... - თქვა და ნახევარი წუთით მაინც ჩაფიქრდა, - რა თქმა უნდა, სულ ერთი არ არის ვისთან. ისეც ხდება, რომ მარტო გაფიქრებაზეც გერევა გული... მაგრამ იცი? უბრალოდ, მინდა, რაც შეიძლება მეტი ადამიანის გაცნობა მოვასწრო. შეიძლება ეს სამყაროს შეცნობის ერთადერთი საშუალებაა ჩემთვის.

- ვილაცის ლოგინიდან?

- მ-მ-მ...

ახლა მე მომიწია ჩაფიქრებამ.

- მერე... მერე რა, უკეთ შეიცანი?

- სულ ოდნავ, - მიპასუხა მან.

* * *

69 წლის ზამთრიდან 70-ის ზაფხულამდე თითქმის არ შევხვედრივარ. უნივერსიტეტს სხვადასხვა მიზეზის გამო დროდადრო ხურავდნენ. ესეც არ იყოს, მე თვითონაც გვარიანად ჩამითრია პირადი უსიამოვნებების მორევმა.

ხოლო როცა 70-ის შემოდგომაზე, ბოლოს და ბოლოს, შევიარე კაფეში, ვერც ერთი ნაცნობი სახე ვერ აღმოვაჩინე. არც ერთი მის გარდა. ძველებურად უკრავდნენ მძიმე როკს, მაგრამ მოუხელთებელი დაძაბულობა, რომლითაც ოდესღაც სავსე იყო ჰაერი, უკვალოდ აორთქლებულიყო. მხოლოდ ყავა იყო შარშანდელივით უგემური. მის პირდაპირ ვიჯექი და ძველ ნაცნობებზე ვლაყბობდით. ბევრმა უკვე მიატოვა უნივერსიტეტი, ერთმა თავი მოიკლა, კიდევ ერთი უკვალოდ გაქრა... აი, ასე გაგვყავდა დრო ლაპარაკში.

- შენ თვითონ... შენ თვითონ რას აკეთებდი მთელი ეს წელიწადი? - შემეკითხა.

- რა ვიცი, ხან რას, ხან რას.

- დაჭკვიანდი?

- სულ ცოტათი.

იმ ღამეს პირველად ვიწექი მასთან.

წესიერად არც არაფერი ვიცი მის შესახებ. გარდა იმისა, რაც ერთხელ ვილაცისგან, არ ვიცი, საერთო ნაცნობისგან გავიგე თუ თვითონ მისგან ლოგინში, როცა დაღლილები ვისვენებდით. ის, რომ სკოლის დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე საშინლად წასჩხუბებია მამას და შინიდან გაქცეულა (ცხადია, სკოლიდანაც) - ზუსტად ეგრე იყო - მაგრამ სად ცხოვრობდა ან რითი ცხოვრობდა, კაციშვილმა არ იცოდა.

მთელი დღეები პატარა სკამზე იჯდა როკ-კაფეში, ყავას ყავაზე ყლურწავდა, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და მორიგ წიგნს ფურცლავდა იმის მოლოდინში, რომ, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდებოდა თანამოსაუბრე, რომელიც მთელი ამ ყავისა და სიგარეტის ფულს გადაიხდიდა (თვით იმ დროისთვისაც კი არც ისე დიდ თანხას) და ვისაც, სავარაუდოდ, ჩაუწვებოდა კიდეც იმ ღამეს.

სულ ეს არის, რაც მის შესახებ ვიცოდი.

ასეც აეწყო: იმ შემოდგომიდან შარშანდელ ზაფხულამდე კვირაში ერთხელ, სამშაბათობით, ჩემთან, მიტაკას გარეუბანში მოდიოდა. ჩემ მოხლაფორთებულ საჭმელს მიირთმევდა, ნამწვებით მივსებდა საფერფლეებს და ბოლომდე აწეულ "რადიო FEN"-ის მძიმე როკის ხმაზე სიყვარულით ერთობოდა ჩემთან. ოთხშაბათ დილით, გავიღვიძებდით თუ არა, პატარა ტყეში მივდიოდით სასეირნოდ, ასე სეირნობა-სეირნობით მივაღწევდით სტუდქალაქამდე და იქაურ სასადილოში ვსადილობდით. მერე წყალწყალა ყავას ვსვამდით ღია კაფეში ქოლგის ქვეშ და თუ კარგი ამინდი იყო, ბალახზე წამოგორებულები შევცქეროდით ცას.

"პიკნიკი შუა კვირაში" - რატომღაც ასე ეძახდა.

- ყოველთვის, როცა აქ მოვდივართ, ასე მგონია, პიკნიკზე ვარ.

- პიკნიკზე?

- ჰო. საითაც გაიხედავ, ბალახია. ადამიანებს ბედნიერი სახეები აქვთ...

ბალახზე დაჩოქილს ასანთის რამდენიმე ღერი ჩაუქრა, სანამ სიგარეტს მოუკიდებდა.

- მზე ამოდის, მერე ჩადის; ადამიანები მოდიან და მიდიან... დრო ჰაერივით, - ვერც კი გრძნობ, ისე მიედინება. ყველაფერი ზუსტად ისეა, როგორც ნამდვილ პიკნიკზე. ასე არ არის?

ორიოდე კვირაში ოცდაორის უნდა გავმხდარიყავი. ახლო მომავალში არც უნივერსიტეტის დამთავრების იმედი მქონდა, არც შუა გზაზე მისი მიტოვების მიზეზი. ამ ეჭვებისა და იმედგაცრუების გზასაყარზე უკვე მერამდენე თვეა ვერ გადამეწყვიტა ცხოვრებაში ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი.

გარშემო ყველაფერი მოძრაობდა. მეჩვენებოდა, რომ მხოლოდ მე არ ვიძვროდი ადგილიდან. რაც არ უნდა დამდგომოდა თვალწინ 70-ის იმ შემოდგომით, ყველაფერი სევდის დანისლულ საბურველში ეხვეოდა. ყველაფერი იმწამსვე, კატასტროფული სისწრაფით იცრიცებოდა და ჭკნებოდა. მზის სხივები, ბალახის სურნელი, წვიმის ჩუმი შრიალი - მსგავსი რამეებიც კი მაღიზიანებდა. ღამის მატარებელში მოუშორებლად დამდევდა ერთი და იგივე სიზმარი: თამბაქოს კვამლითა და ტუალეტის სუნით სავსე ვაგონი ისეა დატენილი ადამიანებით, ვერ ამოისუნთქებ. იმდენი ხალხია, ნემსი არ ჩავარდება. ნარწყევით დალაქავებული ზეწარი ტანზე მეწებება. მეტს რომ ვეღარ ვითმენ, ვდგები, გასასვლელისკენ ხელებით მივიკვლევ გზას და პირველივე სადგურზე ჩამოვდივარ. მიგდებული, მოშიშვლებული ადგილია - სინათლის ნასახიც არსად ჩანს. სადგურზე მეისრესაც კი ვერ ვხედავ. არც საათი, არც მატარებლების მოძრაობის გრაფიკი. არაფერი. აი, ასეთია ეს სიზმარი.

მგონი იმ ხანებში რაღაცნაირად ვაწყობდი კიდეც. რაღაც შეუგნებლად და ავადმყოფურად, მაგრამ მაინც ვჭირდებოდი ზუსტად ისეთი, როგორიც ვიყავი. რაში ვაწყობდი, რისთვის ვჭირდებოდი - ახლა ვერც კი ვიხსენებ. იქნებ მხოლოდ საკუთარ თავს ვჭირდებოდი და მეტი არაფერი, მაგრამ, ეტყობა, მას ეს სულაც არ ანაღვლებდა. ანდა შეიძლება უბრალოდ ასე ერთობოდა - მაგრამ მაინც რით ან როგორ? ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ზუსტად ვიცოდი: მოფერებისა და სინაზის წყურვილი არ მიზიდავდა მისკენ. აი, ახლაც კი საკმარისია გავიხსენო და მარტოობისა და სევდის რაღაც უცნაური, ენით აუწერელი გრძნობა ბრუნდება - უხილავი კედლიდან გამოწვდილი ვილაცის ხელის შეხებასავით.

70 წლის 25 ნოემბრის ის უცნაური საღამო დღესაც მკაფიოდ მახსოვს. თავსხმის შემდეგ ჩვენს პატარა ტყეში ჩამოცვენილმა გინკოს ფოთლებმა ყვითლად შეღებეს ვიწრო ბილიკი და წყალდიდობის დროს კალაპოტიდან გადმოსულ მდინარეს დაამსგავსეს. ქურთუკის ჯიბეებში ხელებჩაწყობილები წინ და უკან დავბორიალობდით ბილიკზე. ქვეყნად აღარაფერი იყო ძირს გაფენილ ფოთლებზე ორი წყვილი ფეხსაცმლის შრიალისა და ფრინველების მჭახე წამოჩხავლების გარდა.

- მისმინე, რა მოგდის? - უცებ შემეკითხა.

- ისეთი არაფერი, - ვუპასუხე.

ცოტათი წინ წავიდა, ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. გვერდით მივუჯექი.

- კოშმარები არ გესიზმრება?

- გაუთავებლად. მართლა საშინელი კოშმარებია. განსაკუთრებით სიგარეტის ავტომატზე, რომელიც ხურდას არ აბრუნებს...

გაიცინა და ხელი მუხლზე დამადო. მერე ისევ აილო.

- არაფრის თქმას არ აპირებ? არც ერთი სიტყვის?

- რაღაც ენა არ მიბრუნდება.

ნახევრად მოწეული სიგარეტი ძირს დააგდო და კედით გასრისა.

- იმას, რაც ყველაზე ძალიან გაწუხებს, ვერასოდეს გამოთქვამ ხეირიანად... ამას გულისხმობდი?

- აბა, რა ვიცი, - თავი ავარიდე პირდაპირ პასუხს.

ორი ჩიტი ფრთხიალით აიჭრა ზევით. ერთხანს მდუმარედ ვუყურებდით, როგორ ისრუტავდა თვალისმომჭრელად კრიალა ცა ჩიტებს. მერე გამხმარი ჩხირი აიღო და მიწაზე რაღაც ფიგურის გამოყვანა დაიწყო.

- როცა შენთან ვწევარ... ერთთავად ნაღველი მაწვება.

- ჩემი ბრალია... ვიცი.

- შენ არაფერ შუაში ხარ. საქმე არც შენშია და არც იმაში, რომ როცა მეფერები, სულ სხვაზე ფიქრობ. ეგ არაფერი, როგორც გინდა, მაგრამ მე... - უცებ მოჭრა სათქმელი და მიწაზე დახაზულ ფიგურაზე სამი გრძელი პარალელური ხაზი გაავლო, - ა...არ ვიცი.

- როგორ გითხრა... სულაც არ ვაპირებ ჩემს გარშემო რაღაც ბარიკადების აგებას, - ვთქვი პაუზის შემდეგ, - უბრალოდ, მე თვითონ ვერ მივმხვდარვარ რა ხდება. ძალიან მინდოდა მესწავლა იმის გაგება, თუ რა ხდება გარშემო - მიუკერძოებლად, რაც შეიძლება მშვიდად. ისე რომ, არც ღრუბლებში ვიფრინო და არც ზედმეტ რაღაცებზე დავკარგო დრო... მაგრამ ამ ყველაფერს დრო სჭირდება.

- მაინც რამდენი?

თავი გავაქნიე.

- აბა, რა ვიცი. შეიძლება წელიწადი, შეიძლება ათიც.

ჩხირი გადააგდო, წამოდგა და ქურთუკზე მიკრული ბალახი ჩამოიფერთხა.

- იცი რა... არ გეჩვენება, რომ ათი წელი ძალიან ჰგავს მარადიულობას?

- ჰო, ალბათ, - ვუპასუხე.

ხეების ჩრდილიდან პირდაპირ სტუდქალაქს მივაშურეთ. იქ, როგორც ყოველთვის, საზაფხულო კაფეს ქოლგებქვეშ დავსხედით და სოსისები ავატკაცუნეთ. შუადღისას, ზუსტად ორ საათზე, ტელევიზორის ეკრანზე უცებ არაბუნებრივად აცახცახდა მასიმო იუკიოს ხან სახე და ხანაც ფიგურა. ეტყობა, ხმასაც რაღაც დაემართა და ვერაფრით გავარკვიეთ, რაში იყო საქმე. ისე, კაცმა რომ თქვას, იმ წუთებში სულაც ფეხებზე გვეკიდა ყველაფერი. სოსისი შევჭამეთ და თითო ყავაც დავაყოლეთ. სკამზე აჩოჩხებული ვილაც სტუდენტი კარგა ხანს ატრიალებდა ხმის სახელურს, მერე, ეტყობა, ყელში ამოუვიდა, სკამიდან ჩამოვიდა და სადღაც გაქრა.

- შენთან მინდა, - ვთქვი.

- ო კეი, - გაიღიმა.

ხელები ღრმად ჩავიყავით ჯიბეებში და ჩემთან წავედით.

გაღვიძებულმა დავინახე, რომ უხმოდ ტირის. ჩიტის ფრთებივით უმწეო მხრები ოდნავ შესამჩნევად უთრთის პლედის ქვეშ. ბუხარში ცეცხლი დავანთე და საათს შევხედე. ღამის ორი საათია. მთვარე ამოჭრილივით მოჩანს მუქ ცაზე. გამოტირება ვაცალე, წყალი ავადუღე, ორ ფინჯანში პაკეტები გავხსენი და ჩაი დავლიეთ. მერე ერთბაშად ორ სიგარეტს მოვუკიდე, ერთი იმას მივაწოდე. ღრმა ნაფაზი დაარტყა და მაშინვე ხველა აუტყდა. სამჯერ სცადა და სამჯერვე იგივე გამეორდა. საშინლად გაღიზიანდა.

- მისმინე, არასოდეს არ მოგდომებია ჩემი მოკვლა?

- შენი?

- ჰო.

- რატომ მეკითხები?

სიგარეტი პირიდან არ გამოუღია, თვალები დახუჭა და თითის წვერებით წამწამები მოისრისა.

- ისე, უბრალოდ. ტყუილად.

- ჰოდა, არც არის საჭირო, - ვთქვი მე.

- მართლა?

- მართლა. რა ეშმაკად უნდა მინდოდეს შენი მოკვლა?!

- ჰო, მართლა, რისთვის... - ძალისძალად დააქნია თავი, - უბრალოდ, უცებ გავიფიქრე... არც ისე ცუდი იქნებოდა, ვინმეს რომ მოვეკალი. აი, ასე, ძილში...

- სხვისი რა გითხრა, ოღონდ მე არა. ადამიანის მოკვლას ვერ შევძლებდი.

- მართლა?

- რამდენადაც საკუთარ თავს ვიცნობ...

სიცილით ჩაჭყლიტა სიგარეტი საფერფლეში, ერთი ყლუპით დალია დარჩენილი ჩაი და ახალ სიგარეტს მოუკიდა.

- ოცდახუთ წლამდე ვიცოცხლებ, - თქვა მან, - მერე კი მოვკვდები.

ოცდაექვსი წლისა მოკვდა, 78-ის ივლისში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მსოფლიოში უსწრაფესი სერიული კაბრიოლეტი

მერაბ ლორთქიფანიძე

“მერსედეს-ბენცმა” გამოაცხადა, რომ მალე დაიწყებს თავისი ცნობილი კუპეს, CLK DTM AMG-ს ღია ვერსიის გამოშვებას, რომელიც წარმოების დაწყების მომენტიდან, მსოფლიოში ყველაზე სწრაფი და ტემპერამენტიანი სერიული ოთხადგილიანი კაბრიოლეტი გახდება.

ისევე როგორც კუპე, კაბრიოლეტიც შექმნილია გერმანიის ტურიზმის კლასის ჩემპიონატში (DTM - დოიჩე ტურენვაგენ მაისტერშაფტ) აპრობირებული ტექნოლოგიებით და რა თქმა უნდა, შესანიშნავი ტექნიკურ-დინამიკური მახასიათებლებით გამოირჩევა.

ისევე როგორც კუპე-ვერსია, რომლის დებიუტი შარშან შედგა, კაბრიოლეტი CLK DTM AMG-ც აღჭურვილია 5.5-ლიტრიანი V8 აგრეგატით, რომლის სიმძლავრე, კომპრესორის მეშვეობით გაზრდილია 582 ცხენის ძალამდე, მაბრუნი მომენტი კი 800 ნიუტონმეტრამდე.

ძრავთან შეწყვილებულია “მერსედეს-ბენცის” პარტნიორი სატიუნინგო კომპანია AMG-ს კონსტრუქტორთა მიერ მომზადებული, 5-საფეხურიანი, ნახევრადავტომატური გადაცემათა კოლოფი AMG-სპიდშიფტი, რომელიც მძღოლს (პილოტს) საშუალებას აძლევს, გადაცემათა კოლოფის საფეხურები საჭის რგოლზე განთავსებული ღილაკებით ცვალოს.

ამ სუპერაგრეგატებით აღჭურვილ ბოლიდს ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფა სულ რაღაც 4 წამში შეუძლია, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი ელექტრონიკის მიერ 300 კმ/სთ-ითაა შეზღუდული.

უნდა ითქვას, რომ კაბრიოლეტ CLK DTM AMG-ს დაკიდების უკანა სისტემა უშუალოდ ამ ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით შეიქმნა. ოთხივე საკიდარის ამორტიზატორები უფრო ხისტი გახდა. ამასთან, ამორტიზატორების სიმაღლე ავტომატურად, კომპიუტერის მითითების შესაბამისად რეგულირდება. კომპიუტერი კი სპეციალური პროგრამის მიერ ჩატარებული გათვლებით ადგენს, თუ კონკრეტულ მომენტში რა სიხისტისა და სიმაღლის ამორტიზატორი იმუშავებს იდეალურად. სხვათა შორის, ამ გათვლების შესრულებისას, ექეტრონიკა ითვალისწინებს აეროდინამიკური სენსორებისგან მიღებულ ინფორმციას.



ავტომობილი ასევე აღჭურვილია მოდერნიზებული სამუხრუჭე სისტემით, რომელშიც უხვად გამოიყენება კომპოზიციურ მასალები. კერძოდ, კომპოზიტებისგანაა დამზადებული სისტემის ფრიქციული (მოხახუნე) დეტალები. გარდა ამისა, ავტომობილის ეფექტურ დამუხრუჭებას ემსახურება წინა 6-დგუშიანი და უკანა 4-დგუშიანი სამუხრუჭე საყრდენები (სუპორტები).



ავტომობილის უკანა ღერძზე დაყენებულია მრავალდისკოიანი თვითბლოკირებადი დიფერენციალი, რომელიც მაბრუნ მომენტს წამყვან ბორბლებს შორის უფრო ეფექტურად ანაწილებს.

წამყვანი ბორბლები 20-დუიმიანია, წინა კი - 19-დუიმიანი. ისინი ჩამოსხმულია სპეციალურად შექმნილი, ზემსუბუქი და იმავდროულად, ზემტკიცე შენადნობისგან. კომპანია “დანლოპმა” ამ მოდელისთვის სპეციალურად დაამზადა საბურავები. სხვათა შორის, ეს საბურავებიც იმავე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადდა, რომლებიც გამოიყენება DTM-ის რბოლებისთვის საჭირო რეზინის წარმოებისას.

ბევრი არაფერი შეცვლილა ინტერიერში. უბრალოდ, მისი გაწყობისთვის გამოყენებულია დიდი რაოდენობით კარბონის კომპოზიტისგან და ალუმინისგან დამზადებული დეტალები. რა თქმა უნდა, უფრო ასკეტური და უბრალო გახდა პილოტის დამხმარე ხელსაწყო-მაჩვენებლების გაფორმებაც.

შტუტგარტული კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მხოლოდ ას ცალ კაბრიოლეტ CLK DTM AMG-ს დაამზადებს. ამასთან, თითოეულის ღირებულება 277 ათასი ევრო იქნება. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, “მერსედეს-ბენცს” ყველა ავტომობილზე შეკვეთა უკვე მიღებული აქვს. შემკვეთთა შორის კი ფიგურირებს ფორმულა ერთის ორგზის მსოფლიო ჩემპიონის, ფინელი მიკა ჰაკინენისა და ფორმულა ერთის მოქმედი პილოტის, ინდი-500-ის ყოფილი ჩემპიონის, კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიას გვარი.

# ყველაზე ხელმისაწვდომი კაიმანი

გერმანულმა კომპანია “პორშემ” გამოაცხადა, რომ დაიწყო თავისი ახალი მოდელის, კუპე “კაიმანის” საბაზო ვერსიის წარმოება. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, “პორშემ” პირველ რიგში, ამ მოდელის ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის წარმოება დაიწყო და მხოლოდ ამის შემდეგ მიხედა საბაზო მოდელს, რომლის სახელიც, უბრალოდ “პორშე კაიმანი” იქნება (ინდექს S-ის გარეშე).

ყველაზე ხელმისაწვდომი “პორშე” აღჭურვილია 2.7-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ოპოზიტური ძრავით, რომელიც ავტომოყვარულებისთვის მოდელ “ბოქსტერიდანაა” ცნობილი. ამ ძრავის სიმძლავრე 245 ცხენის ძალაა, რაც 50-ით ნაკლებია 3.4-ლიტრიანი “კაიმან S-ის” სიმძლავრეზე.

თუმცა, შედარებით სუსტი ძრავიც საკმარისია იმისათვის, რომ “კაიმანმა” ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარე 6.1 წამში აკრიფოს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 258 კმ/სთ-ს აღწევს (“კაიმან S-ის” მაქსიმუმი 275 კმ/სთ-ია).

“კაიმანის” ქარხნულ ვერსიაზე, ძრავთან შეწყვილებულია 5-საფეხურიანი მექანიკური, ან ამდენივესაფეხურიანი, ნახევრადავტომატური (ტიპტრონიკ S) გადაცემათა კოლოფი. ამასთან, შეკვეთით 6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფითა და ეგრეთ წოდებული აქტიური საკიდარით (PASM - პორშე აქტივ სტაბილიტი მენეჯმენტ) აღჭურვილი “კაიმანის” შეძენაც იქნება შესაძლებელი. აქტიურ საკიდარს ორ რეჟიმში (ნორმალი და სპორტი) შეუძლია მუშაობა, რეჟიმის შეცვლა კი შესაბამისი ღილაკებითაა შესაძლებელი, რომლებიც ინტერიერის ცენტრალურ კონსოლზეა განლაგებული.

6-საფეხურიანი მექანიკური კოლოფით აღჭურვილი “კაიმანი” მეტად ეკონომიურია - ის ქალაქის ციკლით მოძრაობისას, ყოველ ას კილომეტრზე მხოლოდ 9.3 ლიტრ ბენზინს წვავს. სხვათა შორის, ძრავის ასეთ ეკონომიურობას განაპირობებს საწვავის გამანაწილებელის ცვალებადი ფაზების სისტემა (პორშე ვარიო-კამ პლუს), რისი წყალობითაც, მაქსიმალური მაბრუნი მომენტი (273 ნმ) მუხლა ლილვის ბრუნთა რიცხვის დიდ დიაპაზონში (4000-6000 ბრ/წთ) მიიღწევა.



“პორშე კაიმანი” დგას მსუბუქი მეტალისგან ჩამოსხმულ, 17-დუიმიან ბორბლებზე, რომლებზეც ჩაცმულია: წინ 205/55-17 ზომის, უკან კი 235/50-17 ზომის საბურავები.

ავტომობილი აღჭრვილია უსაფრთხოების უახლესი სისტემებით. მძღოლს და წინა მგზავრს იცავს წინა აირბალიშები. გარდა ამისა, მას აქვს დამატებითი სისტემა გვერდითი შეჯახების შემთხვევისთვის. ორივე მხარეს განლაგებულია ორ-ორი აირბალში, რომლებიც მძღოლის და წინა მგზავრის კისერს და თავს იცავს.

საბაზო “კაიმანის” გაყიდვების დაწყების თარიღად გამოცხადებულია 29 ივლისი. მისი ფასი თითქმის 10 ათასი ევროთი ნაკლები იქნება “კაიმან S-ისაზე”. კონკრეტულად კი, ავტომობილის საქარხნო ღირებულებაა 40900 ევრო. გერმანელი დილერები მას მყიდველს 47647 ევროდ შესთავაზებენ, ამერიკელ მყიდველს კი მასში 49400 ევროს ექვივალენტის გადახდა მოუწევთ. საბაზო “კაიმანი” ყველაზე ძვირი რუს მყიდველებს დაუჯდებათ, რომლებსაც დილერები ამ ავტომობილში 62000 ევროს მოსთხოვენ. სხვათა შორის, რუსეთში საბაზო “კაიმან S-იც” ყველაზე ძვირი - 75900 ევრო ღირს.

# თერმობირთვული რეაქტორის მშენებლობა მერმის დაიწყება

მერაბ ლორთქიფანიძე

აშშ-ის, ევროგაერთიანების, ოთხი აზიური ქვეყნის (იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი და ინდოეთი) და რუსეთის წარმომდგენლებმა ბრიუსელში ხელი მოაწერეს ოფიციალურ შეთანხმებას, რომელიც საფრანგეთის სამხრეთში, პროვინცია პროვანსში მდებარე ქალაქ კადარაშის (კადარაშის სიახლოვეს მდებარეობს საფრანგეთის ბირთვული კვლევების ცენტრი) მახლობლად, ექსპერიმენტული თერმობირთვული რეაქტორის მშენებლობას ითვალისწინებს.

შეთანხმების მიხედვით, საერთაშორისო თერმობირთვული ექსპერიმენტული რეაქტორის (ITER - ინტერნეიშნლ თერმონუკლეარ იქსპერიმენტალ რეაქჩა) მშენბლობა მერმის დაიწყება და რვა წლის შემდეგ დასრულდება. პროექტის მთლიანი ღირებულება 10 მილიარდი ევროა, მისი ფუნქციონირება კი 30 წელს უნდა გაგრძელდეს. თუ მოვლენები გეგმის მიხედვით წარიმართება, მაშინ მეცნიერები იმედოვნებენ, რომ 2040 წელს შეძლებენ ახალი ტიპის სადემონსტრაციო ელექტროსადგურის აშენებას.

ITER-ი ყველაზე ძვირადღირებული საერთაშორისო პროექტია საერთაშორისო კოსმოსური სადგურის შემდეგ. პროექტით გათვალისწინებული ხარჯის ნახევარს ევროკავშირი გაიღებს, დანარჩენი ხარჯი კი თანაბრად განაწილდება კონსორციუმის მონაწილე მხარეთა შორის.

ახლა ჯერი კონსორციუმის წევრი ქვეყნების პარლამენტებზეა, რომლებმაც უნდა შეისწავლონ და დაამტკიცონ მათ მთავრობათა მიერ მოწონებული და ხელმოწერილი პროექტი.



თერმობირთვული რექტორი ჭრილში.

## მართვადი თერმობირთვული რეაქცია

თერმობირთვული რეაქციის პრინციპი ძირეულად განსხვავდება ბირთვულისგან. ბირთვული რეაქცია ხდება ატომის ბირთვის გახლეჩისას. თერმობირთვული რეაქცია კი პირიქით, მაშინ იწყება, როცა ატომის ბირთვები ერწყმის (ხდება სინთეზი) ერთმანეთს.

ჩვეულებრივი ბირთვული რეაქციისთვის საჭიროა ისეთი რადიოაქტიური ნედლეული, როგორიცაა ურანი. ამასთან, კონტროლირებადი ბირთვული ჯაჭვური რეაქციის შემდეგ, რჩება რადიოაქტიური ნარჩენები, რომელთა უტილიზაციაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. თერმობირთვული რეაქციისთვის კი საჭიროა წყალბადის მძიმე იზოტოპები - დეითერიუმი (ეგრეთ წოდებული მძიმე წყალბადი) და ტრითიუმი, რომელთა სინთეზის შემდეგაც, წარმოიქმნება ჰელიუმი და თავისუფალი ნეიტრონები. რაც მთავარია, კონტროლირებადი თერმობირთვული რეაქციის შედეგად შესაძლებელია უზარმაზარი რაოდენობის ელექტროენერგიის გამომუშავება, რაც კაცობრიობას პრაქტიკულად გადაუწყვეტს ენერგეტიკულ პრობლემებს.

სამაგიეროდ, თერმობირთვული რეაქციის მოთვინიერება გარკვეულ ტექნოლოგიურ სიძნელეებთანაცაა დაკავშირებული - რეაქციის დროს უნდა მოხდეს წყალბადის გაზის ასეულობით მილიონ გრადუსამდე (ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მზის შუაგულში არსებული ტემპერატურა) გაცხელება და ასეთ მდგომარეობაში გარკვეულ ხანს გაჩერება. ამ პროცესში გაზი პლაზმად გარდაიქმნება, რომელიც მოქცეულია მაგნიტური ველით შექმნილ ერთგვარ "ნაჭუჭში". სწორედ ამ დროს ხდება ატომების ბირთვების შერწყმა, რასაც თან სდევს დიდი რაოდენობით ნეიტრონების გამოყოფა.

პერსპექტივაში, კომერციულ თერმობირთვულ რეაქტორში უნდა მოხდეს გამოყოფილი ნეიტრონების ენერგიის შეგროვება, რისთვისაც მეცნიერები გამოიყენებენ დიდი სიმკვრივის მქონე ნივთიერებისგან (ლითიუმი) დამზადებულ ფარებს.

ჩვეულებრივ ბირთვულ რეაქტორებთან შედარებით, თერმობრთვულს რიგი უპირატესობანი შეიძლება ჰქონდეს. ჯერ ერთი, ის გაცილებით მცირე რაოდენობის ნედლეულით არნახულად ბევრ ენერგიას გამოიმუშავებს და გარემოსაც ნაკლები ნარჩენებით დააბინძურებს. მეორეც, ასეთი რეაქტორები გაცილბით უსაფრთხოც იქნება. კატასტროფის შემთხვევაში, თერმობირთვული რეაქტორი უბრალოდ, გამოირთვება. რა შედეგი მოსდევს ჩვეულებრივი ატომური რეაქტორების კატასტროფებს, ამის მაგალითად თუნდაც ჩერნობილის სადგურის ტრაგედიის გახსენებაც კმარა.

## ექსპერიმენტული რეაქტორები

თერმობირთვული რეაქტორის შექმნის იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში წარმოიქმნა, მაგრამ მაშინ მეცნიერებს მისი განხორციელების საშუალებას შესაბამისი ტექნოლოგიების არფლობა არ აძლევდა. თუმცა, დროთა განმავლობაში, ევროპაში, აშშ-სა და საბჭოთა კავშირში ტარდებოდა რიგი ექსპერიმენტები, რომლებიც მეცნიერებს თანდათან აახლოებდა საბოლოო მიზანს.

ამ ექსპერიმენტების დროს, მეცნიერები რიგ წინააღმდეგობებს წააწყდნენ. მაგალითად, ოქსფორდთან (ბრიტანეთი) მდებარე რეაქტორ "ჯოინტ იუროპიან ტორუსის" ასამოქმედებლად საჭირო იყო უზარმაზარი ენერგია. იმდენად ბევრი, რომ რეაქციის დაწყების შემდეგ გამომუშავებული ენერგია დახარჯული ენერგიის მხოლოდ 70 პროცენტს შეადგენდა. ოქსფორდში ჩატარებული ექსპერიმენტების შემდეგ გაჩნდა სკეპტიკოს მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ თერმობირთვული რეაქტორი იმაზე გაცილებით მეტ ენერგიას მოიხმარს, ვიდრე გამოიმუშავებს.

სკეპტიკოსთა პოზიციებს ამყარებს ამერიკულ თერმობრთვულ პროგრამა "მანჰეტენ პროჯექტის" ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი, საინჟინრო კომპანია "როკუელ ინტერნეიშნლის" მთავარი მეცნიერი უილიამ პერკინსი, ვინც თავისი შრომა ახლახან გამოაქვეყნა. მის ნაშრომში მოყვანილია უამრავი საინჟინრო პრობლემა, რომლებიც ჯერაც გადაუჭრელია.

სკეპტიკოსებივე მიიჩნევენ, რომ კარგი იქნებოდა, თუ იმ თანხას, რომელიც კადარაშის მახლობლად ITER-ის ასაშენებლად და საექსპლუატაციოდ უნდა დაიხარჯოს, ენერგიის განახლებადი წყაროების დანერგვაზე გამოიყენებენ.

თუმცა, ევროპულ-ამერიკულ-აზიური კონსორციუმი იხტიბარს არ იტეხს. მისი წევრები კი აცხადებენ, რომ თუ მიზანი მიუღწეველი დარჩა, პროექტს მაინც ექნება რიგი დადებითი შედეგები. ჯერ ერთი, კონსორციუმის წევრი ქვეყნები ახალ ტექნოლოგიებს აითვისებენ, რომლებიც მომავალში აუცილებლად გამოადგებათ. მეორეც, ევროპაში დაახლოებით 10 ათასი ახალი სამუშაო ადგილი წარმოიქმნება.

## ერთი პრობლემა უკვე გადაიჭრა

დასახელებულ პრობლემათაგან ერთ-ერთი პლაზმის სტაბილურობას ეხება - ექსპერიმეტნების დროს, რომლებიც საბჭოური კონსტრუქციის "ტოკამაკ-კამერებში" ტარდება, გამოვლინდა, რომ პლაზმის გარე საზღვრის (ეგრეთ წოდებული ეჯ ლოკალიზდ მოუდს - ELM) არასტაბილურობა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ ვერ ხერხდება თერმობირთვული რეაქციის ხანგრძლივად შენარჩუნება. სწორედ ამის გამო ხდებოდა, რომ თერმობირთვული რეაქციის წარმართვაზე იმაზე მეტი ენერგია იხარჯებოდა, ვიდრე რეაქციის შედეგად გამოიყოფოდა.

ახლახან კი აშშ-ის კომპანია "ჯენერალ ატომიქსის" მკვლევარებმა ამ პრობლემასაც მოუძებნეს გასაღები.

პრობლემის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ძლიერი მაგნიტური ველისგან შექმნილი ფარის მიუხედავად, უზარმაზარი ტემპერატურა მაინც იწვევდა რეაქტორის კედლების ინტენსიურ კოროზიას, რის გამოც ისინი ხშირად იყო გამოსაცვლელი. ეს აძვირებდა რეაქტორის მუშაობას, რადგან სინთეზისთვის აუცილებელ ტემპერატურამდე მისაყვანად, უზარმაზარი ენერგია იხარჯებოდა. რეაქციის შეჩერება კი ხშირად ხდებოდა იმისათვის, რომ რეაქტორის კოროზირებული კედლები გამოცვლილიყო.

იმის გარდა, რომ სამუშაოების ხშირი შეწყვეტა რეაქტორის ეფექტურობას ამცირებს, რეაქტორის კედლების კოროზია იმითაცაა ცუდი, რომ ის აუარესებს პლაზმის მდგომრეობას, ამას კი შედეგად მოსდევს რეაქტორის მარგი ქმედების კოეფიციენტის შემცირება.

"ჯენერალ ატომიქსის" მკვლევარებმა პრობლემის გადაჭრის გზას მიაგნეს. მათ რეაქტორის შიგნით განალაგეს დამატებითი, მცირე ზომის მაგნიტური კოჭები, რომლებიც პლაზმის გარშემო და მის ნაპირებში დამატებით, მცირე ზომის რეზონანსულ მაგნიტურ ველებს წარმოქმნის. ეს ველები ქმნის ზღუდეს პლაზმასა და რეაქტორის კამერის კედლებს შორის და ამ უკანასკნელის დაშლას უშლის ხელს.

არსებული თერმობირთვული რეაქტორების მუშაობისას მთავარი პრობლემა ისაა, რომ ვერ ხერხდება რეაქციისთვის საჭირო პლაზმის დიდი ხნით შენარჩუნება. სწორედ ამ პრობლემის მოგვარების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი იმის თქმა, რომ ადამიანმა შეძლო თერმობირთვული რეაქციის მოთვინიერება.

ეს კი ის ზღვარია, რომლის შემდეგაც კაცობრიობა საბოლოოდ გადაწყვეტს საჭირო რაოდენობით ელექტროენერგიის გამომუშავების პრობლემას...



კადარაშის შემოგარენი, სადაც ITER-ი აშენდება.

# ჩვენი არჩეONE-ი

## კლუბები/რესტორნები

**ბარი იხსნება: 17:00. კოკა-კოლას საერთაშორისო ჯაზფესტივალის ოფიციალური ღამის კლუბი. ყოველ დღე: 22:00** დიჯეი ფართი და დისკოთეკა. **მიმტანები:** - ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV; ყოველ ხუთშაბათს: Ladies night** საფირმო კოქტეილი უფასოდ მხოლოდ ქალბატონებისთვის. ასევე - **განახლებული** მენიუ **და ლუდების ფართო არჩევანი;**

**მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია კლუბის ყველა მონიტორზე. სტერეო ხმა და სტადიონის ეფექტი. ყოველი ბოლო** საფეხბურთო **მატჩის შემდეგ** გაიმართება **After Football Party,** ხოლო **ბრაზილიის** ნაკრების ყოველი **მატჩის შემდეგ** კი - ცეცხლოვანი **ლათინოფართი ტამტამებით.**

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70);**
ავტოსადგომი უფასოა.

**დიჯეი ფართი: 21.00.** ქართული და ევროპული სამზარეულო. საუკეთესო ადგილი დაბადების დღეებისა და კერძო წვეულებების მოსაწყობად. **დაბადების დღის პაკეტი ბავშვებისათვის: 8** ლარიდან **(9-დან 15 წლამდე); უფროსებისათვის: 25** ლარი. იტევს 80-100 სტუმარს. **დამატებითი სერვისი:** წამყვანი და გასართობი პროგრამა; კარაოკე; დიჯეი; თამაშები; მოსაწვევები; ფოტო და ვიდეოგადაღება; ტორტი; კლუბის დეკორი.

კლუბში გახსნილია **ჰოლანდიის ფანკლუბი.** მატჩების მსვლელობისას **გათამაშდება საჩუქარი "Teliani Trading"-ისგან.**

**რკინის რიგი 6;**
**ტ/ფაქსი (+99532) 75 11 88**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 12:00;**
**22:00-დან 24:00-მდე** კლასიკური მუსიკა, ჯაზ-ბენდი და თათია ხაბურზანია; ევროპული და ამერიკული სამზარეულო;
**პარასკევობით:** ხმელთაშუა ზღვის თევზეულობა; ლანჩის დროს **20%-იანი ფასდაკლება, სამზარეულო მუშაობს 02:00-მდე**; იტევს 130 სტუმარს.

**ბამბის რიგი 7;**
**ტ.: (99532) 43 90 38**
უფასო ავტოსადგომი

**იხსნება: 12:00;** ქართულ-აზიურ-ევროპული რესტორანი შესაბამისი ინტერიერითა და კერძებით. **საუკეთესო დასვენებისა და გართობის ადგილი თქვენთვის და თქვენი სტუმრებისთვის.** აქ შეგიძლიათ ნახოთ ცეცხლოვანი ქართული, აზიური, ბოშური და მუცლის ცეკვები და გემო გაუსინჯოთ სურნელოვანი არომატის მქონე ნარგილეს. რესტორანი **იტევს 160 სტუმარს; VIP დარბაზი** კარაოკეთი და პროექტორით, გათვლილია 50 სტუმარზე; **სამზარეულო მუშაობს: 02:00-მდე;** ერთი ადამიანის **კვების საშუალო ღირებულება: 40 ლარი; 24 საათიანი მომსახურება.** ჩილიმი, ღამის პროგრამა და ტრადიციულად უგემრიელესი კერძები.

**მტკვრის მარჯვენა სანაპირო 2;**
**ტ.: (+99532) 75 11 88;**
**ფაქსი: (+99532) 75 11 88;**
უფასო ავტოსადგომი.

**იხსნება: 13:00;** სიჩუანის პროვინციის სამზარეულოს მოყვარულებს შეუძლიათ ეწვიონ რესტორან **"ჩაინა თაუნს."** ყველა მაგიდაზე დადგმული ინდივიდუალური გრილის აპარატი სტუმარს საშუალებას აძლევს, **თავად შეწვას** ხორცეული და თევზეული და **მოამზადოს** ცნობილი **ჩინური კერძი:** ხუო-კუო, რაც ცეცხლზე ქვაბს ნიშნავს. სპეციალური **ლანჩმენიუ** ყოველ სამუშაო დღეს: **13:00-დან 17:00;** ლანჩ თაიმზე **ერთი ადამიანის** კვების საშუალო ღირებულება: **6-7ლარი; ჩვეულებრივ დროს - 20-25ლარი.** ორსართულიანი რესტორანის **ქვედა სართულზე ჩაის სალონია,** სადაც შეგიძლიათ მიირთვათ მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ჩაის სხვადასხვა სახეობები, **გასინჯოთ** ჩინური სუში და პური. მოქმედებს **ფასდაკლებები** ჯგუფებისთვის. **განსაკუთრებული სერვისი:** "ჩაინა თაუნი თქვენს სახლში" - უახლოეს რაიონებში კერძის მიტანა უფასოა. რესტორანს აქვს **საზაფხულო ღია კაფე.** იტევს **110 სტუმარს.** აქვს **20** ადამიანზე გათვლილი **VIP დარბაზი; სამზარეულო** მუშაობს: **02:00;**

**შარდენის ქუჩა;**
**ტელ: +995 (32) 75 41 14,**
**+995 (32) 75 10 14;**
ავტოსადგომი უფასოა.

**იხსნება: 11:00;** ბარ-რესტორანი **გთავაზობთ** ღვინოების, სპირტიანი სასმელების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო კოქტეილების ფართო არჩევანს. **ევროპული სამზარეულო,** მყუდრო ინტერიერი და **ცოცხალი მუსიკა(ჯაზი)** საშუალებას მოგცემთ დაისვენოთ და გაერთოთ თქვენთვის სასურველ გარემოში. აქ **შეგიძლიათ დააგემოვნოთ** სპეციალურად ამ ბარისათვის, მისი ეტიკეტით **"შარდენის 12"** ჩამოსხმული "თელიანი ველის" **საუკეთესო ღვინოები:** საფერავი და წინანდალი და მიირთვათ რესტორანშივე დამზადებული **ნამცხვრები.** რესტორანში დამონტაჟებულ მონიტორზე შეგიძლიათ თვალი ადევნოთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს. აქვე **გათამაშდება** საჩუქარი **"Teliani Trading"-ისგან.** შესაძლებელია მაგიდების **წინასწარ დაჯავშნა.** შემკვეთის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, **ჯავშანი იხსნება** დათქმული დროიდან 30 წუთის შემდეგ. **ცოცხალი მუსიკა: 21:00-დან 24:00-მდე;** ბარ-რესტორანი **მუშაობს** ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**შარდენის 12;**
**ტ.: 92 32 38;**
**877 52 97 79.**

## აკადემიური რჩევანი

მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელ ოლან გოცირიძესთან ერთად

სასმელები, რომლებიც საკმაოდ ხშირად და დიდი რაოდენობით მოიხმარება მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც, საერთო მოქმედების გემოვანი პროდუქტებს მიეკუთვნება, რომლებიც აღაგზნებენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას და მთელ ორგანიზმზე მოქმედებენ. **მათ ყოფენ** ალკოჰოლის შემცველ(სპირტიან) პროდუქტებად და პროდუქტებად, რომლებიც ალკალოიდებს შეიცავენ(ჩაი, ყავა, თამბაქო). თავის მხრივ, **ალკოჰოლური პროდუქტები იყოფა:** მაღალ ალკოჰოლურ(არაყი, ლიქიორ-არაყის ნაწარმი, კონიაკი, რომი, ვისკი, ყურძნისა და ხილ-კენკროვანი ღვინოები) და დაბალ ალკოჰოლურ სასმელებად(ბურახი, ლუდი, ხილ-კენკროვანი მორსები). ამჯერად თქვენს ყურადღებას ყველაზე პოპულარულ რამდენიმე მაღალ ალკოჰოლურ სასმელზე შევაჩერებ, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობითაა შემოსული ჩვენს ბაზარზე და მომხმარებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს. **დავიწყებ არყით,** - იგი **რუსული ნაციონალური სასმელია,** რომლის მასიური წარმოება მეთხუთმეტე საუკუნეში დაიწყო.



ეს. გემოვნებისა და არომატის მიხედვით მას **ორ ჯგუფად ყოფენ:** არყებად და განსაკუთრებულ არყებად. არყები (ჩვეულებრივი) **სპირტწყალხსნარია,** რომლებშიც არ არის დანამატები ან ძალიან მცირე რაოდენობითაა, რომ სპირტის მწვავე გემო შეარბილოს. განსაკუთრებული არყები კი პირიქით,-არომატულ დანამატებს შეიცავენ, რომლებიც მათ სპეციფიკურ არომატსა და განსაკუთრებულ გემოს აძლევს. სხვათა შორის, ღვინისგან განსხვავებით, **არყის ფალსიფიკაცია** გაცილებით უფრო ხშირი მოვლენაა, თანაც **უფრო ადვილია** და ჯანმრთელობისთვის **მეტად საშიში.** ის ძირითადად **გამოიყენება** გაცივებულ მდგომარეობაში(8-10$^{0}$C), **მცირე ულუფებად** და ყოველგვარი **მინარევების გარეშე** (მას ხშირად კოკა-კოლას უმატებენ, რაც აბსოლუტურად სპობს არყის სპეციფიურ გემოს). არყის **ჭიქის მოცულობა** არ უნდა აღემატებოდეს **50სმ$^{3}$.** მას **აყოლებენ:** საქონლისა და ღორის მსუქან ხორცს (მათ შორის შებოლილს), თევზს, ძეხვეულს და მარინადებს. **ვისკი** - ის განსაკუთრებით პოპულარულია დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში. მას, როგორც ბევრ სხვა ალკოჰოლურ სასმელს, მონასტრებში ამზადებდნენ და წამლად იყენებდნენ, რადგან ცნობილია, რომ მცირე დოზებით ალკოჰოლის მიღება ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას და ორგანიზმიდან გამოჰყავს რადიაქტიური ელემენტები. ამ სასმელის კლასიკურ სახედ მთელ მსოფლიოში შოტლანდიური ვისკი - ე.წ. **"Scotch"-ი** ითვლება. ის გამოხდილია, დაყენებულია და ჩამოსხმულია შოტლანდიაში. **სიმაგრე 40-50% მოც.** ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია: შოტლანდია, ირლანდია, უელსი, კანადა, აშშ, იაპონია. მას **მოხმარების ფართო დიაპაზონი** აქვს. განსხვავებული მარკის მიხედვით ის გამოიყენება: როგორც აპერატივი, წყურვილის მოსაკლავად, სასმელად და სადილის შემდეგ კონიაკის ნაცვლად. **სვამენ:** მასიური დაბალკედლებიანი ჭიქებით, რომლებსაც სქელი ძირი აქვთ, დაახლოებით 200სმ$^{3}$ მოცულობით, ისხმება **ჭიქის მოცულობის 1/3-ზე** და მიიღება მცირე ულუფებად, შეწოვით. მას უმეტესად სვამენ სუფთა სახით, განზავებულს წყლით და ყინულით. შოტლანდიურ ალაოს ვისკის კოქტეილებში არ იყენებენ(ამისთვის ძირითადად ორდინარული ვისკი გამოიყენება), ირლანდიურს კი ურევენ ჩაიში, ყავაში, ლიმონათსა და ნაღებში, ან სვამენ გაუზავებლად. ხოლო ამერიკულს, როგორც წესი, სოდიანი წყლით მიირთმევენ. **ჯინი** - მას ხშირად **ღვიას არაყსაც ეძახიან,** რადგან სხვა ინგრედიენტებთან ერთად(ანისული, ილი, დარიჩინი, ქინძი, ანგელოზი, ლომონისა და ფორთოხლის ცედრა), ის ძირითადად ღვიაზე მზადდება. მისი ტექნოლოგია 1575 წელს ჰოლანდიაში შეიქმნა და ამიტომ ყველაზე პოპულარული ჰოლანდიური და ინგლისური(მათ თავისი ტექნოლოგია აქვთ) ჯინია. საქართველოში განსაკუთრებით პოპულარულია ტრადიციული ლონდონის მშრალი ჯინი **"Beefeater"-ი და " Gordon's Dry Gin"-ი.** ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ საქართველოში, თითქმის უკვე 15 წელია, რაც ჯინის ქართული ტექნოლოგია და რეცეპტურა არსებობს (შექმნილია ქართველ მეღვინეთა და მეცნიერთა ჯგუფის მიერ, რეცეპტურაზე აღებულია საავტორო უფლება). ამის საშუალებას ამ სასმელის შემადგენელი ინგრედიენტების ადგილობრივ ფლორაში უხვად არსებობა განაპირობებს და თუ საკანონმდებლო ბაზა მოწესრიგდება, შესაძლებელი იქნება ქართული ჯინის და დაბალ ალკოჰოლური, გამაგრილებელი სასმელის - ჯინტონიკის წარმოება, რომელზე მოთხოვნაც ძალიან დიდია არა მარტო ადგილობრივ, არამედ, მსოფლიო ბაზარზეც (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის). მით უფრო, რომ ქართული ჯინი თავისი გემოთი და სხვა თვისებებით არაფრით არ ჩამოუვარდება მის სამშობლოში წარმოებულ ანალოგებს. **მიიღება** ძირითადად ტონიკთან ერთად (თუნუქის ქილებში ჩამოსხმული ჯინტონიკი ძალიან მოსახერხებელია პლაჟებსა და დისკოთეკებზე), ცივ მდგომარეობაში, ამატებენ ყინულს. ხშირად მის კოქტეილში აგდებენ ზეთისხილსა და ლიმონს. ისხმება მოგრძო ჭიქებში, რომ ტონიკის გაზმა კარგად გახსნას ჯინის არომატი.

## ბარები/კაფეები

**იხსნება: 12:00;** მყუდრო, **ელიტარული პატარა კაფე** თბილისის კოლორიტულ უბანში. კაფე "კაშე" ფოტო სტუდიას მოგაგონებთ დახვეწილი დიზაინითა და წითელი, შავი და თეთრი ფერებით. ინტერიერტი გაფორმებულია **შავ-თეთრი ფოტოებით.** ღია ცის ქვეშ გამოტანილ წითელი ფერის **სკამებზე** ცნობილი ფოტოხელოვანების სახელებს ამოიკითხავთ. **ესტუმრეთ** კაფეს, მოუსმინეთ სასიამოვნო მუსიკას, **გაგრილდით და დაისვენეთ** სპეციალურად თქვენთვის შექმნილ სტუდიერ გარემოში. **ქართულ-ევროპული მენიუ,** მსუბუქი სალათები და უგემრიელესი დესერტები ნებისმიერი გემოვნების ადამიანს დააკმაყოფილებს. გვერწმუნეთ, **ჩვენ ვიცით** სად იმალება თქვენი ბედნიერების გასაღები. **მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.**

**ბამბის რიგი 7;**
**ტელ: (+99532) 439310.**

## მაღაზიები

**პარფიუმერია და კოსმეტიკა**

მაღაზიათა ქსელი გთავაზობთ: **Issey MIYAKE, Carolina HERRERA, DOLCE & GABBANA, Van Cleef, & Arpels, Cristian Dior, BVLGARI, ALEXANDER McQVEEN, YVES SANT LAURENT, JIL SANDER, ROCHAS, BOUCHERON, CHANEL, CERRUTI, Davidoff, VALENTINO, Jean Paul GAULTIER, ORLAN, LAGERFELD, Ermenegildo Zegna,TRUSSARDI, Calvin Klein, GF, GUCCI, JOOP, LANCASTER, Ghopard, dunhill, STELLA McCARTNEY, Lolita Lempika -** სა და სხვა ფირმების პარფიუმერიასა და კოსმეტიკას.
**სიახლე: Moschino friends men-**ახალი სუნამო მამაკაცური არომატით **ჭეშმარიტი მეგობრებისათვის.** შექმნილი მათთვის, ვისმა მეგობრობამაც დროის გამოცდას გაუძლო. **ახალგაზრდებისათვის,** რომლებიც **მზად არია განიცადონ** ძლიერი, ნამდვილი **მამაკაცური შეგრძნებები.**

**ბრწყინვალე არომატის მქონე მაცდური საჩუქარი Moschino-საგან, ტანის ლოსიონი- I Love Love. სიცოცხლით სავსე, ირონიული, გართობის მოყვარული შეყვარებული ქალბატონებისათვის. ისეთივე ახალგაზრდული, როგორც შთაგონება, როგორც ნოტა, რომლითაც ის შეიქმნა და რომელიც პირველი შეხებისთანავე სიხარულის შეგრძნებით აღგავსებთ. მიმზიდველი და სპონტანური, ფერადოვანი და ქალური, ბედნიერების დაუძლეველი ჟინის მომგვრელი, ის გაიძულებთ - შეგიყვარდეთ!**



**ღიაა: 10:30-დან 20:00-მდე.**
**თბილისი:** რუსთაველის 1/34/42, ჭავჭავაძის 11, ვაჟა-ფშაველას 20, დ.აღმაშენებლის გამზ. 83/114, გამსახურდიას 11, ხიზანიშვილის 6, ვეკუას 3 (სავაჭრო ცენტრი GTS), წერეთლის 69. **ქუთაისი -**თამარ მეფის 5. **ბათუმი** - კოსტავას 7.

**ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო**
**მაია კაპანაძე**
**899 95 57 67**